

Յ Ա Ր Ա Յ Ա Յ Ա

ՏՅԱՂՐԻ ՔՄԻՆՆԱԾՈ

ԴՐԱՄԱԿԱՆ ՑԱՐԱՌՈՒՅԻ

№ VII

03 Ը 0 60, 1900

Օ Գ Ո Լ Ո Տ Ո
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳՐԱՄԱՆԱՀԱՆ

1900

183

Տ Ծ Յ Յ Յ Մ Յ

Տ Հ Յ Յ Յ Բ Յ Յ



შ ი ნ ს ს რ ს ი

I— „გალლი ყოფილხან!“ (ეტიუდი).— შ. არაგვისძირე- ლისა	83.
II— ასული ისრაელისა.—ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია.— ანტ. ფურცელისა	7
III— ძრაზანა.— რომანი იტალიის ცხოვრებიდან, ე. გოდ- ნიჩისა, ნაწილი მესამე.—IV—VIII.— თარგმანი ნა- ტალია რ. გიგაურისა (დასასრული).	30
IV— „ვეზეის-ტუაოსის“ გალგი აღგილები.—LXXIX.— ალ. ს—შეიდისა	1
V— ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან — წერილი მეხუთე.— კიტა ჩააშიძისა	21
VI— ინგლის-ტრანსალის ომის მიზეზ- უელზი.— ინგლისის საზოგადო პოლიტიკა.— ი. გაჭაპაშიძისა.	43
ქ რ ო ნ ი კ ა :	
VII— ზინაური მიმოხილვა.— სამი ახალი საყურადღებო კა- ნონი.— ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა მიწად-მფლობე- ლობის გაწეს-რიგება.— ლირს - შესანიშნავი მუხლები ახალის დებულებისა.— გადასახადთა რეფორმა ამიერ- კავკასიაში.— მისი მნიშვნელობა.— ახალი შეღავათი ჩვენებურ თავად-აზნაუ- რობას.— სამელიორაციი კრედიტი.— ერობა, როგორც საუკე- თესო დაწესებულება მეურნეობის გაუმჯობესობისათვის.— ილია ხონელის გარდაცვალება.— დადლისა	62
VIII— უცხოეთის მიმოხილვა.— არეულობა ჩინეთში.— დადლისა	75

„გალღი ყოფილსარ!“

(ეტიუდი)

I

სასიამოენო სჯა-ბაასისა და ნარდის თამაშის შემდეგ ვახ-შმად მიგვიწვიეს მე და არჩილი. შევედით სასალილო ოთახში, და კოპტია დიასახლისს კოპტიალვე გაეწყო მაგიდა. სიმდიდრით ვერ გაგაკერძობდათ, მაგრამ სიფაქიზოთ—კი. ყოველისფერს დიასახლისის მშენიერი ხელი ეტყობოდა...

— ცოტაზედ კი ნურას უკაცრავად! — ლიმილით წამოი-ძახა დიასახლისმა და გვიჩვენა, ვინ სად უნდა დავმსხდარიყა-ვით.

— რას მიბრძანებთ, ბატონო. ჩვენთან...

— ელო, ამხანაგები არიან ჩემი! ამათთან ბოლიშს არ მო-ვიხდი. არჩილი ხომ წინადა ყოფილა ჩენსა. ეს ხამი არ არის და ელიზბარიც, იმედია, დღეის შემდეგ ხშირად გვეწვევა...

— მეც ელიზბარის წინაშე ვიხდი ბოლიშს. ძლივას გავა-ბედვინეთ მოსვლა, და ეხლაც ესეთ მცირედ ვახშამზე. მგონი, დღეის შემდეგ სულ ამოიკვეთოს ფეხი!

— გინდათ, ქალბატონო, ვახშამი შეგიქოთ, მაგრამ არა. მაგი ისეთი მოუხეშავია, რომ ქათინაურს ვერ მოახერხებს... ქართლელია მაგი!...

— თუ მე მკიცხავ, ჩემო არჩილ, ემასპინძლებმა რაღა და-გიშავეს?! ესენიც ხომ ქართლელები არიან! — ეუპასუხე არჩილს ლიმილით.

— კარგია, ევ მაინც მოახერხე. ესენი კორტოხის ახლო
არიან და სხივი ზრდილობისა...

— თუ ეშმაკობისა?!

— სხივი ზრდილობისა-მეთქი, — მედიდურის კილოთი გა-
ნაგრძო არჩილმა, — კორტოხის მახლო მცხოვრებთაც ეფინე-
ბათ... მგონი, — გიუბრუნდა დიასახლისს, — თქვენი მამა-პაპა კორ-
ტოხის იქიდან არიან გადმოსულნი!

— მამა-პაპისგან ევ მე არ გამიგონია-, — ღიმილით უპასუ-
ხა დიასახლისმა.

— როგორ არა, თქვენი გვარი იმერეთისაა. — დაუინებით
დაუწყო დავა არჩილმა.

— კარგი, მაგრე იყოს! — უპასუხა დიასახლისმა...

მე აღარი მითქვამს-რა. მხოლოდ უჩინჩად დიასახლისს გა-
დევნებდი თვალ-ყურს და შევნატროდი გივის, რომ ასეთი მე-
უღლე შეეძინა. ყოველ მის მიხვრა-მოხვრას, მოძრაობას, სი-
ტყას ემჩნეოდა გრძნობა, გრძნობა და გრძნობა. უძალა-უნე-
ბურად, ვფიქრობდი, ძალიან სასოწარკვეთილიც რომ იყვეს გივი,
უნდა გამოირკვას და ცხოვრებას სიამოვნებით მიევებოს, რო-
დესაც იმას დაინახავს“.

დიასახლისი ჩემ გვერდით იჯდა, არჩილი იმის პირდაპირ,
გივი კი არჩილის გვერდით ჩემს პირდაპირ. მაგიდის თავსა და
ბოლოს ორი ხნიერი მანდილოსანი იჯდა. არ ვიცი, რა და-
მოკიდებულება უნდა ჰქონოდათ გივის ოჯახთან, მაგრამ მახ-
ლობლები კი უნდა ყოფილიყვნენ...

უბრალო ბასით, დიასახლისის კეკლუცობით, გივის ღია
გულით და მანდილოსნების სიმუნჯით ყველას სადლეგრძელო
გამოვათავეთ...

თამადად გივი იყო და ღვინოს, როგორც კიდევ მასპინძე-
ლი, გვაძალებდა. ცოტა არ იყოს, გივის ღვინო გაუჯდა, აალა-
პარაკა. არჩილი ხომ ჩვეულებრივად ორი-სამი ჭიქის შემდეგ
აცულლუტდა; თვალებმა ეშმაკურად კრკალეა დაუწყო...

— მრავალ-უამიერ, მრავალ-უამიერ!.. ეს, მეგობრებო, გაუ-
მარჯოთ ჩვენს მოღვაწეებს!.. მრავალ-უამიერ, მრავალ-უამიერ... —

„ბაღდღი უთვიაღხარ!“



წარმოსთქვა სადლეგრძელო ჩეენის მოღვაწეებისა და მრავალ-
ჯამიერითვე განაგრძო.

არჩილმა და გივიმ მეგობრულად ხელი გადაწევის ერთმა-
ნეთს და, ნაღვინებს როგორც შემფეროდათ, ხმა შეათანხმეს.
მეც, რაკი დიასახლისთან საბასო მასალა შემომელია, ხელი
ცოტა უკან გავაცურე, მის ზურგს მიეცისვენ და დაბალი, თითქ-
მის შეუმჩნევი ბანი დავიწყე. ამავე დროს დიასახლისს თვალს
არ ვაშორებდი, იგი ნიდაყვებზე დაყრდობილი დაბლა დაიც-
ქარებოდა, და დრო გამოშვებით სახე ვნებით უთროოდა, მთე-
ლი ტანი უხტოდა. დაბალ ბანს ვამბობდი, და დიასახლისის ამ
გეარი დროგამოშვებითი ცვლილებათ განცემურებაში მოვყანდი.

გივი და არჩილი კი არ ისეენებდნენ. არჩილი ხმას ძალას
ატანდა, ჯმუჯნიდა გივის და თითქმის ნახევრობამდის მაგიდის
ქვეშ ჩაძრა.

დიასახლისმა საერძელი მაგიდასთან უფრო ახლოს მიით-
რია და შევამჩნიე დიასახლისიც ძირს-ძირს მიღიოდა. აღარა
სცრებიან გივი და არჩილი. სხვა-და-სხვა სიმღერებს ამბო-
ბენ, — „შაშვი-კაკაბი“, „ჩავუხდეთ, ჩავუხდეთ“, „ალაზნის პი-
რას“ და მრავალი სხვა სიმღერა ერთი-მეორეს მოჰყვა...“

საფარძელი უფრო განზე გავწიე, ამავე დროს ხელსახოცი
იატაკზე დავაგდე.

არც არჩილს, და არც დიასახლის ჩემი მოძრაობა არ შე-
უმჩნევიათ. ჩემში აღძრულმა ცნობის მოყვარეობამ მოსვენება
იღარ მომცა. მინდოდა, შემეტყო, მაგიდის ქვეშ რა დრამა ხდე-
ბოდა; ისე კი, რომ ჩემი ცნობის მოყვარეობა არ გამომელავ-
ნებულიყო.

ამისთვის დაეაგდე ძარს ხელსახოცი და ცერად გადაეიხა-
რე ხელსახოცისაკენ და თან მაგიდის ქვეშ შევიწედე...

მოლად აენთევი. გველ-ნაკადენისავით უეცრივ წელში გა-
ვიმართე და რომ სახის ცვლილება არავის შეემჩნია, ორივ ხე-
ლები პირზე მიეციარე და ნიდაყვზე დავეყრდე. ტანი შემის-
ველდა, სუნთქვა, ცოტა არ იყოს, გამიძნელდა.

აღარ მეყურებოდა არჩილისა და გივის სიმღერა. თვალშინინ მხოლოდ ორი წყვილი ერთმანეთში ჩახლაკნილი არჩილისა და დიასახლისის ფეხი მითამაშებდა...

ამ სურათში ჩემზე რად იმოქმედა ასე?!. არ ეიცი. ეხლაც ვერ გამომირკვევია, ის მეწყინა, რომ არჩილს მეგობრულად გივისთვის ხელი გადაეხვია და ამავე დროს კი მის მეუღლეს ფეხებით ეარშიყებოდა, თუ...

მაგრამ ამის გამორკვევა შორს წაგვიყვანს.

ერთ წამს დავპირე წამოედგომოდი, მიმეფურთხა არჩილისთვის. მაგრამ თავი შევიმაგრე...

— ჰუუ!..— ჩემდა უნებურად მაგრად ამოვისუნოქე, ჭიქა წყალით ავასე და ხარბად მოვეწაფე.

— ღვინო მიირთვით, წყალს რად მიირთმევთ.— პირველად გავიგონე მაგიდის ბოლოს მჯდომ მანდილოსნის ხმა.

არ ვიცი, რამ აიძულა მანდილოსანი, დაერღვია თავისი გულმოდგინე სიჩუმე. იქნება ჩემი აღელვების უნებური მოწამეოყო...

— რა ვქნა, ბატონი, თამადა ღვინოს აღარ გვასმევს და უიმისოდ კი წყალის მეტს ვერას გიახლებით.— ხმა-მალლა უკასუხე, რომ გივის გაეგო და სიმღერა შეეწყვიტა.

— უკაცრავად, ელიზბარ, უკაცრავად! მართლაც, სიმღერას აღარ ვათავებთ და ღვინოს ვეღარა ვსვამთ. — გივი წამოდგა, ჭიქა ღვინით გაიქსო და განაგრძო:— ყმაწვილებო, დავლიოთ ჩვენი ქალების სადლეგრძელო. ვუსურეოთ მათ, მოიგონონ ჩვენი წარსული დედები და იმათსავით პატიოსნურად ემსახურონ სამშობლოს და თავიანთ ოჯახს!..

— კაცო, რატომ არ დაცოლშეილდებით?!— უეცრივ მოგეიბრუნდა მე და არჩილს: ეკრ წარმოიდგენთ, ყმაწვილებო, რა ბედნიერებაა დაცოლშეილიანება!.. ღმერთს გეფიცებით,— გულ-წრფელად დაიფიცა, როდესაც იმის უკანასკნელ სიტყვაზე თავი დაბლა დავხარე, — გამოცდილებით გეუბნებით!..

„ბაღდაძი უფლისარ!“

— ქალებით... ოოო... მაინც ვსვამ მათ სადლეგრძელოს!
კარგები არიან!.. თვალთა ბზინვით დიასახლისს გადაჭხედა და
სწრაფ ჭიქა გამოცალა არჩილმა...

II

ბარბაცით გაეითარეთ რამდენიმე ქუჩა. ქუჩები მიყრუებული
იყო, მოძრაობა სრულებით შეწყვეტილიყო. აქა-იქა ჩვენსაეით
შეზარხოშებულნი ბარბაცით თუ გვხვდებოდნენ, თორემ სხვა
კი არავინა.

მე და არჩილი გაჩუმებულები მივდიოდით. არ ვიცი, ის
რაზე ფიქრობდა და მე კი გონებიდან რომანი მაგიდის ქვეშა-
სა არ მშორდებოდა. რაც ორ წყვილ ჩახლაკნილ ფეხს თვალი
მოვკარი, მინდოდა არჩილისათვის როგორმე მეგრძნობინებინა
და გამეკიცხა ჯერ ვახშის დროსვე, მაგრამ იქ ვერ მოგახერხე-
ამისთვის ჯავრით ღვინოს ძალა დავატანე და კარგადაც შევზარ-
ხოშდი.

აი, ახლა რამოდენა ხანია მარტონი მოვდივართ, ყოველ
ნაბიჯზე ვემზადები და ამ მზადებას ბოლო აღარ ეღირსა.

აგერ, გამოეითარეთ რამდენიმე მიხვეულ-მოხვეული ქუჩა და
უმთავრეს ქუჩაზე გამოვედით, რომლიდანაც სხვა-და-სხვა ქუ-
ჩებით უნდა წავსულიყავით...

— აბა, ღამე-მშვიდობისა, ელიზბარ,—მითხრა და ხელი გა-
მომიწოდა.

— არჩილი!.. — წამოვილულლულე და ხელი მაგრა დავუ-
კირე.

— რა იყო, რატომ მაგრე ტრაგიკულად მომაპყარ თვალნი
შენი?!

არჩილის ამგვარმა კილომ გაბედულობა მომიმატა და მკვა-
ხედ ვუთხარი:

— უნდა გრცხვენოდეს, რომ იმ კაცს მეგობარს ეძახი, მე-
გობრულიდ ხელს ჰქვევ და ამავე დროს კი იმის ცოლს ფეხებს
ფეხებში უხლართავ და ვნებით თრთი!..

— ხა, ხა, ხა, ხა!... — გულიანიდ ისე მაგრად გადიხარხარა, რომ ქუჩებმა ბანი მისცეს... — დაინახე? — ხარხარითვე მკითხა არჩილმა.

— კიდევაც ჰქანარებ?! — განცემულებით დავეკითხე.

— ეჭ, ჩემთვ ელიზბარ, ბალლი ჰყოფილხარ!.. — სიცილით
მიპასუხა და საჩქაროდ თავის გზას გაუდგა.

— „ბალლი ყოფილხარ! — მწარის ღიმილით გავიმეორე
არჩილის სიტყვები და თავის ქნევით სახლისკენ დასაძინებლად
წავედი.

၂. နှစ်ပုဒ္ဓဝင်မြတ်

ასული ისრაელისა

ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია

მომქმედნი ბირნი:

ივლით, (ასული ისრაელისა) ყმაწვილი ქვრივი.

ოლომტრე, პირველი მხედართ-ზთავარი ნაბუქადონოსორ მეფისა.

ნაბუქადონოსორ, მეფე ბაბილონელთა.

ელიაკიმ—იგივე იოაკიმ—დიდი მღვდელი ებრაელთა.

ოშია, პირველი მხედართმთავარი ისრაელთა.

ზაბრი, მხედართმთავარი და ბეთილის უხუცესი.

ზარმი, მხედართმთავარი და ბეთილის უხუცესი.

ახიორ—იგივე ახიორ—მთავარი ამონელთა.

ნაბოლიდ, მეცნიერი ბაბილონელთა.

ნაბუზარდან, მხედართმთავარი ნაბუქადონოსორისა.

ასფანაგ, საჭურისი, დიდი პირი ნაბუქადანოსორის კარისა, შვილი ლეამიტთა მეფისა.

ვალია, საჭურისი, მხლებელი ოლომტრესი, დიდებული გვარისა.

ახაია,

ბერებია, { ებრაელნი, ტყვევნილნი ბაბილონს.

იახარ,

აბრი, მხევალი ივლითისა.

ქადაგი ქალდეველთა სამეფოსი.

შეფენი, მთავარნი, ქურუმნი, მეცნიერნი, ასურელთა და ბაბილონელთა წინასწარმეტყველნი, ლევიტნი, ქალწულნი სიონისანი; ქედემიშნი და ქედეშომნი—ყრმაწვილი ქალ-ვაჟნი, მსახურნი ბაალისა და ასტარტას ტაძრისა,—მეეტლენი, *) მეციზმრენი, მსახვრელნი და სხვა, მხედრობა, მესაკრავენი, მეფსულმენენი და სხვა.

*) მეეტლენი, ენლანდელი შეთხული სიტყვა—მეფეეტონენესა და შედროშენეს ანუ კუნძული-იმშენიების მაგივრად რომ ჩიარობდენ, არ ეგონს მიითხველს. შეეტლე ერქვათ, რომელნიც პულიდენ საეტლო წერილებს და პსნიდნენ კაცის ბედს ვორსკვლავთა ნიშნებით. ეტლი არის პლანეტა—планეტა.

მოქადაგება პირზე.

(დიდი ველი დეირასი ბაბილონის მახლობლად. გარშემო ტყე შვენიერი ბალები და ვენახები, დიდი მდინარე წყალი; მოშორებით მოსჩანს დიდი ტბა. შორი-ახლო ბაბილონი დიდებული სანახაობით. შუა ველს არის აღმართული დიდი ოქროს კერპი, ნაბუქოდონისორ მეფის სახითა. კერპის პირიდან აღმოჩდება საშინელი ალი, რომელიც ჰყენს გარშემო სურნელებას. კერპის მახლობლად სდგანან ქურუმნი, მოვდნი, მსახვრელნი, ტაძართა ჭალწულნი და ყრმანი, ანუ ქედემიშნი და ქედეშომნი და სხვა მსახური სალოცავა; ბაალის წინასწარმეტყველნი მახვილებითა და ლახვრებით. ქურუმნი არიან მოსილნი გრძელი, ტანისა-მოსით, რომელიც წააგავს ეხლანდელს ჩეენთა მღვდელთა სამოსელს, და ჰელურავთ მალალი ქუდები, რომელნიც წააგვანან ეხლანდელს მღვდელთა სკუფიაბს. მახლობლად კერპისა სდგას ოქროს საყდარი, რასაც ეხლა ვეძახით სამეფო ჩარდახს. ამ საყდარში სდგას ტახტი (ტრონი) მეფისა ძვირფასი თვლებით მორთული. გარშემო ანთიან შარავანდებრნი ცეცხლნი. ამ ცეცხლთა არტყიან გარშემო ქურუმნი, ქედემიშნი და ქედეშომნი, მოსილნი თეთრი სამოსლითა (ტან-საც-მელით) და მორთულნი ჟვავილებითა და ოქროს ქსოვილებით. მო-შორებით სდგანან მხედრობანი და აუარებელი ერი. მხედრობანი არიან სხვა-და-სხვა ერისანი, რომელთაც უძღვიან წინ თავიანთი მე-ფენი და მთავარნი თავიანთი მხედართ-მთავრებით. საყდრის მახლო-ბლად სდგას მეფე ბაბილონისა, ნაბუქოდონისორ, მოსილი ღვთაებ-რივის სხივ-მოსილი ტანისამოსით. ასზია ქლამიდა, რომელშედაც ძვირფასი თვლებით არის გამოსახული მთელი მისი საბრძანებელი. შორი-ახლო სდგანან საჭურისნი სამზიურებითა და მარავოებით).

ნიბუქადრონთსორ. (მარტო) ვინ? მე? მაშ მე არა ვარ ღვთაება?!
არის უძლიერეს ჩემსა ღმერთი?! შევმუსრნე ყოველ-ნი ერნი, შევმუსრნე მეფენი და მთავარნი მათნი,

შევმუსრნე ეკვიფონისი და ზღუდენი მისნი, რომელთა მსგავსნი მანამდის ქვეყნის გაჩენიდან არ იგებულა კაცის ხელით; შევმუსრე უძლეველი არფაქსად, აღმგებელი იმა ზღუდეთა და მფლობელი ნახევარ ცის ქვეშეისა, შევმუსრე ეგვიპტე, ტირი, სილონი; შევმუსრნე სალოცავნი და ლმერთნი ყოველთა ერთა; დღეს ჩემს ხელთ არის სიკვდილი და სიცოცხლე ყოველთა სულდგმულთა,—და რომელი ლმერთია, რომ ეჭიროს ძალა უძლიერეს ამისა? მინამ მე ვიცნობდი ჩემს თავში ღვთაებრივსა ძლიერებასა, სხვები უკვე მცნობდნენ მე ლმერთად და მცემდნენ ღვთაებრივსა თაყვანსა, და ბოლოს მრავლოთა და ცხადითა საბუთებითა მიჩვენეს, რომ მე ვარ ლმერთი—ღვთაება. ჯერ ისევ ნორჩი ვიყავ, რომ ჩემნი აღმზრდელნი მეცნიერნი და მეეტლენი შესძინდნენ ჩემს მშობლებს, რომ მე არ ვგევარ სხვა ძეთა კაცოსა, რომ სახე, გონი და ძალა ისახვის ჩემში ღვთიური, არა ქვეყნიური... შემდეგ პირველ ქურუმთა მიკმიეს მე საკმეველი ღვთაებრივი, და ღალადითა სალმრთოითა მიწოდებდნენ ლმერთად კაცნი, რომელნი იდგნენ ჩემგან შორს, და დღეს გამხდარან ჩემნი უახლოვესნი პირნი და მთავარნი ქვეყნისანი. ყოველს ჩემს დანახვაზედ პლალადებდნენ ხმითა ღილითა: „შენ ხარ ლმერთი, ლმერთი უძლიერეს ყოველთა ლმერთთა“-ო, და ლოცულობდნენ ჩემზედ, როგორადაც უძლიერესს და უძლეველესს ღვთაებაზედ. არა მარტო ესენი: მრავალნი დამორჩილებელნი და ძლეულნი ჩემგან მეფენი და მთავარნი ცხადად და საქვეყნოდ მიღიარებდნენ მე ლმერთად. გადიოდა ხანი და მეც თვითონ ცხადად ვხედავდი ჩემს თავში ღვთაებრივს ძალას, ლმერთთა ძლიერებას, და დღეს ცხადად ვსცან, რომ მე ვყოფილვარ ლმერთი, ლმერთი ნამდვილი, ლმერთი უძლეველი, და



ვაი მას, ვინც არ აღიარებს სახელსა ჩემსა ღვთაებად,
და აღგებულსა ხატსა ჩემსა არ მიიღებს ღმერთად,
როგორადაც მე, რომლისაც სახეს წარმოადგენს ხა-
ტი იგი!.. (შემოდის ოლომფრე).

თლომფრე. (დაქმობა პირქვე, უზავს მეტანის). გახლავართ ოლომფ-
რე, მონა და ფერხთა მტვერი ღვთისა თვისისა და
მთელისა ქვეყნისა ნაბუქადონოსორისა.

ნაბუქადონოსორ. აღსდეგ, დიდებულო მხედართმთავარო, მარჯ-
ვენაო ჩემო, ოლომფრე, და ისრე მომახსენე მოსახსე-
ნებელი შენი.

თლოლფრე. (აღგება). ღვთაებაო და განგებაო ყოვლისა სოფ-
ლისა! სულთა და ხორცია გამგეო ბაალისა და ას-
ტარტას ყოველთა ქმნილებათა! მოსრულან მთელი
ცის ქვეშეთით მეცენი, მთავარნი, სატრაპნი, ივა-
რორნი, წინამძღვარნი, მოგვნი, მსაჯულნი სჯული-
სა და ერისანი, ერნი და მხედრობანი, რათა გცინ
შენ და შენგნით აღგებულსა ხატსა ღვთაებრივი თაყ-
ენი, გაღიარონ ღმერთად და გამგებლად სულისა
და ხორცისა ყოველთა ქმნილებათა. ყოველივე მზად
არის ენკენიანდ და ელიან ბრძანებასა შენსა ღვთა-
ებრივსა.

ნაბუქადონოსორ. მთავარო უძლეველო, ოლომფრე! შემდგომ
ჩემისა, შენ ხარ პირველი უფალი ყოვლისა საბრძა-
ნებლისა ჩემისა. რაკი აქაც შენა ხარ პირველი გამ-
გე საქმისა და ჰედავ, რომ ყოველივე მზად არის,—
უბრძანე კიდეც შეუდგნენ საქმეს.

თლომფრე. (წარსდგამს რამდენსამე ნაბიჯს წინა და გასძახებს ქურუმთა
და მხედრობათა.) იწყეთ დიდება მცფისა ჩვენისა, იწყეთ
ენკონია!

(გაჩნდება შედლუხი, სროლა წუმწუმათა და შუშნუნათა. აღიგვზ-
ნიან სამღრთო ცეცხლნი. მეფენი, მთავარნი, ქურუმნი, ქალდეველნი,
მემისნენი, მესიზმრენი, მეეტლენი, მოგვნი, სპასეტნი, ქალაქეტნი
და მხედრობანი იწყობენ დენას. გაიმართება საკრავთა ჩმანი. ქელ-
მიშნი და ქედეშომნი, ქურუმნი და მღალადებელნი ჰგალობენ).

აღვედი ღმერთთა საყდრად
ღვთაეობაო შეუდირებელო!
აღმართეთ ღმერთი ღმერთად
საყდარსა უფლისასა.

(მეფენი, მთავარნი, მხედართმთავარნი, ქურუმნი და წინასწარმეტყველნი ჰსმენ ნაბუქადონოსორს ოქროს ტახტრევანზე და აპყავთ კიბეზე ოქროს საყდარში, სადაცა სდგას ტრონი და ასვენებენ ტრონზე. ამ აყვანის დროს თანა ჰგალობენ):

აღვედინ უფალო საყდარსა უფლისასა!
განაგე მეუფეო ხილულნი და არა ხილულნი!
მოჰეთინე ღვთაებაო წყალობა მორჩილთა შენთა!

(გარეშე ნაბუქადონოსორისა სდგებიან ქურუმნი, წინასწარმეტყველნი, მოგვენი, ვარსკვლავმრიცველნი. საჭრისნი აღებიან თავს გაშლილი სამზეურით, და მარაოებით აგრილებენ).

ნაბუქადონისთვის. (ოლომფრეს) ჩემს მაგიერ, როგორც პირველს
სამეფოს გამგეს, შენ გეკუთვნის ამ ეამად ქურუმთა
მთავრობა. ამიტომ დასდეგ ქურუმთა და წინასწარ-
მეტყველთა თავსა და განუცხადე უცხო. ნათესავთა,
ქურუმთა და მთავართა განჩინება ჩეენი მათთა ღმერთ-
თა და სალოცავთა ზედან.

ოდიმფრე. (დგება ქურუმთა წინ. ქურუმნი აძლევენ დიდს, ფიცარსა-
ვით ფილაქანს, რომელიც არის დაწერილი ოქროს ასოებით.
ოლომფრე ჰკერთხულობს). „ქურუმთა ჩვენ, კვლევითა,
ჩეენებითა მრავალითა და ძველიდ გარდმონაცემით
აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი უძლიერესი მეფე, ნაბუქა-
დონოსორ, მთელი ცის ქვეშეთისა დამპყრობი იყო
სოფლის დასაწყისითვე დასახულ ღვთაებად და ინა-
ხებოდა იგი ღმერთთა არსებათა შინა, რათა, ოდეს
ღმერთნი იგი მიეცემოდნენ ქამთავითარებისახვან ცვლის
მოვლენოდა ეგ უპირველეს ღვთაებად სოფელს. მი-
ზეზითა ამით იქმნა ცნობილ ქურუმთავან, რომ ნა-
ბუქადონოსორს, მეფესა ჩვენსა, არა აქვს არცა

დასაბამი, არცა დასასრული და არის ღმერთი ყოველთა ერთა და კაცთა ნათესავთა.

ნაბეჭერიდ. (აიღებს ხელთ სხვა ფილაქანს ოქროს ასოებით დაწერილს და ჰკითხულობს). ჩვენ, ყოველთა მეცნიერთა, კვლევითა ჩვენითა, ვარსკვლავთა და ეტლითა სინჯვით და გამოცნობით, აღმოეკითხეთ და აღმოვცანით ვარსკვლავთა და ეტლთა წყობათაგან, ასწილ ასოთა შეწყობით და გადათვლით, რომ ნაბუქადონოსორ მეფე არის ღმერთი, ღმერთი ნამდვილი. ვინაიდან ვარსკვლავთა და ეტლთა შეწყობით მუდამ გამოდიოდა სახე ნაბუქადონოსორ მეფისა და ასწილ ასოთა გადათვლით და შეწყობით გამოდიოდა მუდამ სამი სიტყვა: „ნაბუქადონოსორ ღმერთი ყოველთა“. მის გამო ჩვენ, მეცნიერთა და ქალდეველთა *) ვიცანით და ვაღიარეთ უძლეველი მეფე ნაბუქადონოსორ უძლეველ ღმერთად ყოველთა ერთა, და ხატი მისი აღმერთული აგრძელებული ღმერთი სახედ მისად.

წინასწარმეტებადთ უსუცესი (ცალს ხელში აღმართავს მანვილს და ცალს ხელში აიღებს მესამე ფილაქანს ოქროსავე ასოებით). გულთამხილაობითა ჩვენითა, შთაგონებითა სიზმრისათა, საუბრითა სულთა მამათა ჩვენთა და შთაგონებითა ღმერთთა უხილავთა და ხილულთა ჩვენ წინასწარმეტყველთა ქალდეველთა და ასურთა ვსუანით და ვაღიარეთ, რომ ღმერთი ყოვლისა სოფლისა არის ნაბუქადონოსორ უძლეველი მეფე ჩვენი და ხატი მისი.

(აქ უცებ აღმოხდება ნაბუქადონოსორის თავის გარშემო ბრწყინვალე შარავანდელი. კერპის პირიდან უფრო ძლიერად აღმოხდება ალი და ჰყენს გარშემო სურნელებას. კერპი მოძრაობს, იცქირება ყოველმხრივ, ახედებს აქეთ-იქით თვალებს, გაჰყურებს მრისხანედ ერს და მხედრობას).

*) მეცნიერთ ქალდეველთაც ეძახდნენ მაშინ.

სამეფო ქადაგი. ისმინეთ ერნო, ტომნო, ნათესავნო, ენანო, მხედრობანო, მეუფენო, მთავარნო და ყოველნო დიდებულნო! ოდეს განისმის ხმა საცეირისა, სასტვინელისა, ქნარისა, ციმენტისა, საფსალმუნისა, ორლანთა და ყოვლისა მუსიკისა, რომელნიცა შემოკრებილან აქ ყოველთა ტომთაგან, თაყვანი ეცით და აღიარეთ ღმერთად ახალი ბაალ, რომელ უნილაობისაგან მოვლენილა ხილულად ორ სახელ: თეით მეფედ და ხატად მისად, და პირეელ არსებითად იმყოფება უხილაობასა შინა, და ვა მას, რომელიც არა სცემს თაყვანს და არ აღიარებს ღმერთად მას, რომელმანცა შემუსრნა ყოველნი ღმერთნი უცხოთა ტომთა და ერთა და დადგა უმაღლეს ყოველთა ღმერთთა ხილულთა და არა ხილულთა! მას ელის ცეცხლი აღმომდინარე პირისაგან ღმერთის ნაბუქადონოსორის ხატისა.

(ჩატის პირიდან ამოქმინავს საშინელი ცეცხლი.—გაისმის ხმა საცეირთა და საკრავთა... იწყობა გალობა და ღალადისი. ცველანი დაემხობიან პირქვე. ასტარტისა და ბაალის ტაძრის ქალწულნი ანუ უფრო მხევალნი და მარყნი, ესე იგი ქედომიშნი და ქედეშომნი ჰგალობენ სხვა-და-სხვა სამუსიკო ხმებზე).

აქებდით და აღიდებდით ცანი და ქვეყანანი, უფალსა და მეუფესა უკუნთა და საუკუნეთა!

ქურუმნი და წინჩენარმეტეგედნი. (ღალადებენ მუსიკისავე ხმაზე. წინასწარმეტყველნი იქნევენ ჰაერში და სცემენ მახვილთა ალაგზედ).

აქებდით და აღიდებდით, მზევ და მოვარევ ცისანო, ღვთაებასა და გამეესა ცხოვრებისა ჩვენისასა!.. უხმობდით ღმერთსა ღვთაებად და ხვთათავე ხატსა მისსა!

მხედალნი და ურმანი:

აქებდით და აკურთხებდით მცავნი ცისა და ჰაერისანი, ცვარნი, წვიმანი და ქარნი, ღრუბელნი, ზღვანი და ხმელნი,

შეფერისა ღმერთისა და ხატისა მისისა, ხილულად არა ხილულისაგან
მოვლენილთა!

ჭურუმნი და წინასწარმეტეჯვალნი. (წინასწარმეტეჯვალნი იქნევენ მა-
ნვილთა და თანა ჰეგალობენ).

აქებდით და აღიდებდით, სიცხევ, ყინეავ, თოვლო, ცეცხლო,
მეხნო და მედგარნო ცისანო ღმერთისა ნაბუქადორნოხორს
ხილულისა და არა ხილულისა!

სამეუფელ ქადაგი. აღსდექით ყოველნი და შემართეთ თვალნი
თქვენი ღმერთისა ნაბუქადონოსორ ხილულისა და
ხატისა მისისა ღმერთისა ძლიერსა. (ყველანი აღვებიან).

ხატი. (აღმოაქმენს საშინელისა ცეცხლისა და უცებ ჩასწყდება ცეცხლი.
დაუშვებს ძირს თვალებს, მოპხრის თავს, გადიღებს ხალხისა-
კენ ხელებს და აღმოიძახებს გვრგვინვით) წყალობა ჩემი
თქვენდა მაღიარებელნო ჩემნო! (ცეცხლი ისევ ამოვარ-
დება პირიდან)

მდიბით საღსი (ემხობა კიდევ პირქვე ამ სანახავზე და ისმის) ღმერ-
თით ნამდვილი, ღმერთი მოვლენილი. გვიხსენ, ღვთიე-
ბაო ხატო, რისხვისა შენისაგან.

სამეუფელ ქადაგი. ერნო, მხედარნო, მეფენო და ღიდებულნო
ცის ქვეშეთისანო! იღიარეთ ნაბუქადონოსორ და ხა-
ტი მისი ღმერთიდ და ლალად ჰყავით ხმითა ღიდითა
მუსიკისა და მღალადებელთა ხმითა თანა.

(მოსაკრავენი უქრავენ მეფენი და ღიდებულნი ჰეგალობენ)

„გაღიარებთ შენ უძლეველო, შეუდარებელო და სან-
ცვიფრებაო სოფლისაო, მეფეო ღმერთო ნაბუქადო-
ნოსორ და ღმერთო ხატო ნაბუქადონოსორისაო, რა-
მეთუ ხელთა თქვენთა არს ცა და ქვეყანა, ზღვა და
ხმელი, კაცნი და პირუტყვნი, მეფენი და მთავარნი,
ყოველნი ერნი და სალოცავნი მათნი! გაღიარებთ
შენ, შეგვიწყალე, გვაცხოვნე და მოგვიტევენ უსჯუ-
ლოებანი ჩვენნი.

ნაბუქედონისთვის. ვინცა მიწამა მე და იწამა ხატი ჩემი ლვთაებად ცხონდეს იგი უკუნისამდე.

ქურუმი, მოგვინი, ქალდეველი, მსახვრელი, მესაზმრენი, მემტავრენი, მემტავრენი, წანასწარმეტყველი და მღაღადებელი კალობენ.

„საუკუნო იყვეს ცხონება და მშვიდობა თქვენ ყოველთა თანა“!

ქედემაშნი და ქედუშმომნი (პგალობენ)

„და იყვეს ცხონება და სასუფეველი თქვენი უკუნისამდე!“

ხატი (გადიშვერს ხელს ხალხისაკენ) ცხონდით უკუნისამდე!

შდაბბით ხალხი. (დაემშობა კიდევ პირქვე ხატისაკენ) ღმერთი ხარ, ნამდვილი ღმერთი, ხატო ცხოველო. გვიხსენ რის-ხვისა შენისაგან. (ადგებიან ისევ და შესცემიან შიშით ხატსა.)

სამეუფო ქადაგი. ერნო, მხედრობანო, მეფენო, მთავარნო, ყოველნო, დიდებულნო, ქურუმნო, მეცნიერნო, მოგენო, წინასწარმეტყველნო და ყოველნო აქ დამსწრენო და ყოველნო შესაწირავნო და შეწირულნო ამა ხატისანო, წარმოსთქვით ჩემთან: გვრწამს ჩვენ უკელას.

ეგაღანი. გვრწამს ჩვენ ყველას.

ქადაგი. და ვალიარებთ.

ეგაღანი. და ვალიარებთ.

ქადაგი. მეფეს ნაბუქადონოსორს.

ეგაღანი. მეფეს ნაბუქადონოსორს.

ქადაგი. და ხატსა მისგან აღგებულს.

ეგაღანი. და ხატსა მისგან აღგებულს.

ქადაგი. უდიდეს ღმერთად — ლვთაებად.

ეგაღანი. (იმეორებენ).

ქადაგი. ვფიცავთ წინაპართა ძვალთა.

ეგაღანი. (იმეორებენ).

ქადაგი. მათი სულისა ძალასა.

უგედანი. (იმეორებენ).

ქადაგი. შეესწიროთ მათ თავი ჩეენი.

უგედანი. (იმეორებენ).

ქადაგი. ჩეენი ცოლი, ჩეენი შვილი, და ჩეენი საცხოვრებელი.

უგედანი. (იმეორებენ).

თღომფრე. მე ამ ეამაღ, როგორც ქურუმთა უხუცესი, გიბრ-
ძანებთ მთავარნო, დიდებულნო, სამღვდელონო უც-
ხო ტომთა და თესლისანო, რომელთაც დღევანდლამ-
დის არ გიწამებიათ ბაალ, ასტარა და სხვა ცამეტნი
ლმერთნი ბაბილონისა და მათთან უძლიერესი ყო-
ველთა ლმერთთა ნაბუქადონოსორ და ხატი მისი, მოი-
ტანეთ აქ თქვენისავე ხელით ლმერთნი და სალო-
ცავნი თქვენნი და მიეცით იგინი ცეცხლსა, აღმომგ-
ზნებარესა პირისაგან ამა დიდებულის ხატისა.

(შემოაჭვთ მეფეთა და სხვა დიდებულთა და სამღვდელოთა სხვა-
და-სხვა თავიანთი ლმერთები: ზოგი მშისა და მთვარის სახითა, ზო-
გი სპილო-კაცის სახითა, ზოგი მეფეთა სახითა; ზოგი ნიშა ხარის
სახითა, ზოგი ხბოს თავისა, ზოგი ლომ-კაცისა, ზოგი ნიანგისა, ზო-
გი ტიტველა ქალისა და კაცისა, ზოგი კატისა და სხვა. ყველა ამას,
ჰყორიან ნაბუქადონოსორ მეფის ფერხთა ქვეშე.

უგედანი. ამა ლმერთნი და სალოცავნი ჩეენნი ფერხთა ქვეშე
შენთა, ლმერთო, მძლეველო ყოველთა ლმერთთა და
სალოცავთა.

ქურუმნი. (ანტვრევნ ამ კერპებს, ჰყორიან ცეცხლში და ჰგალობენ): შე-
იწირე ესე შესაწირავი, მეფეო ლმერთო ნაბუქადონო-
სორ და ხატო მისო ძლიერო.

ქადაგი. (ყველა). წარმოსთქვით: გაპერით პირისაგან ქვეყნისა,
ცრუ ლმერთნო, კაცთა ხელითა შექმნილნო, გვიგ-
მიხართ უკუნისამდე.

უგედანი. (იმეორებენ).

ნაბუქადონოსორ. სცხონდით უკუნისამდე და აღგერიდოთ შახ-
ვილი ჩემი მრისხანებისა.

ქედემიშნი და ქედეშომნი. (ჰგალობენ) და იყვეს ცხონება და სასუფეველი თქვენი უკუნისამდე.

თაღომფრე. ყოველნო დიდებულნო და მდაბიონო, სამლედელონო და მეცნიერნო უყავით მეტანია უძლიერესს ღმერთსა ნაბუქადონოსორს და ხატსა მისსა ღვთაებასა და შეუდევით ენკენისა.

უგადანი (უყრიან მუხლს ნაბუქადონოსორს და ხატსა მისსა და შეკვედრიან). იყავ მეოს და შემწყალე სულისა და ცხოვრებისა ჩვენისა.

თაღომფრე. აღსდევით, შექმართეთ თვალნი თქვენნი სახეთა დიდებულთა ღმერთთა და მიპყევით ენკენის წესსა, ვითარ განგვიგია ჩვენ წინადვე.

(ყველანი ადგებიან. მეუფენი ადიან, იღებენ მზრებზე ოქროს საყდარს, რომელშიაც ჭის ნაბუქადონოსორ, ჩამოაქვთ ჩარდაზიდან ძირს, მიუძღვიან ჭინ ხალხსა და მხედრობასა. მათ წყობისათ მისდევენ სხვა მთავარი და მოგვინი, სამლედელონი და სხვა დიდებულნი, ხალხი, მხედრობა და სხვანი. იწყობა საერთო საკრავთა ხმა, ცემა ტაბლაკთა, ხმა საყვირთა, შედლუხი, ცეცხლების აშვება ჰაერში; ცა მოიტინება ცეცხლებით და განათდება ათასფერად).

ქედემიშნი, ქედეშომნი, ქურუმნი და მდადადებელნი ჰებალობენ. „გალიარებთ შენ, მეუფეო სულისა და ხორცია ჩვენისაო, ნაბუქადონოსორ და ხატო მისო, ღმერთად—ღვთაებად და სალოცავად ცის ქვეშეთისა“. (ენკენია მიღის ხატის მეორე მზრისაკენ).

კრთი მდაბითაგანი. ხატია ნამდვილი ღმერთი, ღმერთი უძლეველი. როდესაც ამ სამოცოთხოცი წინად ჩვენს ღმერთს ბელლა-მაროდოხეს*) დაეცა თუბალ მოშოთა ღმერთი და მოსცა წასარლენელად ზღვაზე უძლიერესი ღვარი და ის იყო უნდა შთანთქმულიყო ამ მრისანე ტალღათაგან, ამ დროს, როგორც გვიამბობდნენ ჩვენი სახლის უხუცესნი, მოჟველებია მას ღმერთი

*) სალმრთო წერილით: ბალ—მოლოხი.

სწორედ ამ სახისა, როგორც ეს ხატი, მაგისთანა მრისხანე, შეურისხავს თუბალბოშოხთა ღმერთი, განუდევნია, აუშვრია ღვარნი და გადურჩენია ჩვენი უძლეველი ღმერთი დანთქმას. რაც ეს ამბავი გავი- გონე, ეგ ხატი ხშირად მევლინებოდა სიზმრად, და, როდესაც ამ ათი წლის წინად მოხდა საშინელი მიწის ძერი, დაანგრია და შთანთქა უფსკრულში მრა- ვალი დაბა და ქალაქი, მეცა და მრავალნი სხვანიც ჰქედავდნენ, რომ ეგ ღმერთი დადიოდა, არყევდა მიწას, მრისხანებდა და იძანოდა: მუსრი ბაბილონს, მუსრი ქალდუთ, მუსრი ასურს, რადგან მრავალთა ამათაგან უარჲყვეს ბელლა—მარადოხე და შეუდგნენ ისრაელთა ღმერთის მსახურებას და უსმენენ წინას- წარმეტყველთა მათთაო.

დამდენიმე ხმა მდგბარ ხადგხადან. ეგ ხატი არის ნამდვილი ღმერთი. მრავალჯერ ჩვენც გვისიზმრებია სახე მისი. არა ხალხს არა ჰყავს აგრე დიდებულიც შემკული ღმერთი. მხოლოდ უძლიერესს და უძლეველს მე- ფეს ნაბუქადონისორს შეეძლო აგრეთი დიდებული ღმერთის გაკეთება. (გადიან).

ერთი დადებულთაგანი. მეფე იგი, დიდებული ნაბუქადონი- სორ, სწორედ ნამდვილი ღმერთია. როდესაც მესმო- და ჩვენს შორს ქვეყნებში დიდება და ძლიერება მა- გისი, როდესაც ზარდაცემული ქვეყანა ელოდა მის- გან ცეცხლსა და სისხლში სიცოცხლის ბოლოს მო- ლებას; როდესაც შემუსრნა მაგან ღმერთნი და სა- ლოცავნი ყოველთა ერთა და ნათესავთა და ვერც ერთმან ღმერთმან ვერ შეუძლო მაგის რისხვასა, ცეც- ხლსა და მახვილს,—მე რამდენჯერმე მევლინა სიზ- მრად ღვთაებრივის სახით სწორედ ეგრე, როგორც ეხლა ვნახე და ბრძანებდა: ემონეთ მახვილსა ჩემსა, მაღიარეთ ღმერთად და ცხონდეთ უკუნისამდეო...

მეთრე დიდებული. მრავალნი ამბობენ, რომ ეკ ცხადლივ თუ სიზმრივ, როცა ჯერ არც კი მოვლენოდა ქვეყანას და არ დაბადებულიყო, ევლინებოდა მათ ღვთაებრივის სახით. სწორედ მეფე ეგა არის ღმერთი ნამდვილი, ულძიერესი ყოველთა ღმერთთა... (გადიან). (შემოდიან ნაბუზარდან, ნებოლიდ და ასფანაგ).

ნაბუზარდან. ნებოლდინ! ასფანაგ! არ მოსდევს არავითარი კეთილი ამგვარსა აზვავებასა. არც მამა-პაპათა ღმერთი შეუნდობენ მაგას მათსა ასეთსა შეურაცხებასა. მრავალნი წინასწარმეტყველნი ებრაელთა ჰქადაგებენ ბაბილონისა დამხობას და საუკუნოთ ბოლოს მოლებას, და სიტყვანი მათნი არიან სიტყვანი არა მარტო ღვთისა ისრაილისა, არამედ უფრო სიტყვანი ღმერთთა ჩვენთა, რომელნიც ათქმევენ ამას ებრაელთა ენას, რადგან წინასწარმეტყველებისა და მესიზმრობის ნიჭი აქვთ მიცემული სუკველა ერთა უმეტეს ებრაელთა... ვის არ ახსოეს ნაბუქადონოსორ სიყმაწვილეში. რა ჰქონდა მაგას ღვთაებრივი?! მაგის ძალას შეადგენდა მხოლოდ ღრმო გული, დაფარულო ხასიათი, მრისხანე სახე, და კილო მბრძანებლობისა. გონივრულნი და გმირულნი საქმენი მაგისი არავის უნახავს. ვის არ ახსოეს ეგ უბრალო სიზმრისაგან გონ-დაკარგული და მეხსიერება გაბნეული, როდესაც იგი ელოდა სხვებისაგან მეხსიერების აღდგენას და სიზმრების აღსნას?! ეგეც ხომ გუშინ იყო, რომ მაგან წარმოიდგინა თავი პირუტყვად, დაიწყო პირუტყვებრ ღმუილი, გავარდა მთასა და ტყეებში და ჰსაღეურობდა მხეცეთა თანა. და დღეს შინაური და გარეული მტრისა ძლევამ, რომელნიც უფრო ეკუთვნიან ზეციერთა ეტლთა წინადვე განგებულებას, ამასთან სხვათა ძალას და ცოდვა დაწყებულებას, ვიდრემ მაგის ნიჭსა და ძლიერებას, ააზვავა და დაარწმუნა, რომ ეგ არის

ღმერთი, ღვთაება ნამდვილი. ოთ, ძლიერო ბაბი-ლონი! ო, ერო ქალდეველო, ო ასურ! მოსულან დღენი აღსრულებისა თქვენისა!!

ასფანგა. ღმერთობს ეგ ებრაელთა წინასწარმეტყველობის ძალით, მეეტლეთა, შოგვთა და ქალდეველთა მეცნიერების შემწეობით. ისინი უჩვენებენ ეტლს, უხსნიან საეტლოს, უჩვენებენ მომავალს. და მათ, რომელნიც უნდა ჰმსესურებდნენ ნამდვილთა ღმერთთა განგებულებას, უკუკვიათ ნიჭნი და მეცნიერებანი თვისნი მაგისი მტარვალობისა და მესისხარობის მსახურად. ნაბუზარდან! ნებოლდინ! სად მიდის საჭმე, საღ?!.. რად? რად უნდა ვიყვე მე საჭურისი, მასხარა ქვეყნისა,—თუმცა მრავალს დიდებას მინიჭებული და ეპრ ერთი უპირველესი პირი ამ უსაზღვრო მის საბრძანებელში,—რად უნდა ვიყვე უძლური მსახური მისთა ხორქათა და ქალწულთა სახის ყრმათა, მე, მთავარი ქვეყნისა, რომელიც ერითა თვისითა არ ჩამოუვარდებოდა მამასა მისსა ნაბაპალსარს?!.. რად შეო სახიჩარ და საზიზღარ თვით თავისა ჩემისათვისი?! უძლური ლალა მაგისი სახარქოსი, და არა მოცილე მაგისი ცოცხალთა კაცთა დანიშნულებაში?!.. ან შენ ნებალდინ, ან შენ ნაბუზარდან, რით იყავით ნაკლები მაგაზე?! მკლავითა, მახვილითა, ცოდნითა და მეცნიერებითა თქვენითა გაძლიერდა, გახდა ბატონი ცის ქვეშეთისა, და დღეს ოლომფრე აღუმაღლებია თანასწორ თვისისა და ბრძანებს: შემდგომ ჩემსა შენა ხარ პირველი ჩემს საბრძანებელშიო, ოლომფრე, რომლისაც ნიჭსა და ძალას შეაღვენს მხოლოდ მისი მშვენება და დიდებული სანახვობა, რომელიც არის ამაღლებული უფრო ქალთა ქებით, ვიდრემ თვისის ნიკით, თვისის რიხით, ვიდრე ძლიერებით და რომელიც არის შთანთქმული მაგისი შურით, და თავს კი უჩვენებს უსაზღვრო ერთგულად... ნუთუ ჩენ

უნდა სიკვდილიმდის ვზიდოთ სირცხვილი და დამ-
კირება თავისა ჩვენისა და არ მიუგოთ ღირს მისა-
გებელი უსამართლოსა მტარვალსა ჩვენსა?!

ნაბუზარდან. ჰეზარდეთ მრისხანება თქვენი გულის სილრმესა
თქვენსა და იყავით იქამდის ფრთხილ, რომ ზრახვანი
გულისა თქვენისა არ იცოდეს თვით ენამან თქვენ-
მან, ვიდრემ არ მოვა უამი, რადგან თვით ხეთაცა
და ბალახთაც ასხიან ყურნი ნაბუქადონოსორისა... და
შენ, მეცნიერო ნებოლდინ, შენ, რომელიცა მეცნიე-
რებითა და გონითა შენითა შთასწდომიხარ ცათა
სილრმესა, ჰკითხულობ კაცის გულში ყოველთა მისთა
განზრახვათა, ჰხედავ ღმერთთა ყოველთა განგებუ-
ლებათა, შენ, რომელიც ყველაზედ უფრო ნათლად
ჰხედავ, რომ ძალა ნაბუქადონოსორისა არის მესისხა-
რობა და არა სხვა რაიმე,— შენ ჰირველი უკმევ მას
საკმეელს, ახმარებ შენთა სამეცნიერო ძალათა კაც-
სა მავნეს, კაცს, გონებიდან გადამდგარს, გამხეცებულს,
ბუნების გარდამავალს, და იმავე დროს ცდილობ
ქვეყნის პატრონობას, გტკივა ქვეყნისთვის გული...
შენ ხარ ბურჯი, რომელზედაც არის დამყარებული
ბორცვი, ჰაერში გადმოკიდული.

ნებთლიდ. მხეცობასა და მესისხარობას, რომელნიც დამკვიდრე-
ბულან კაცთა ბუნებაში, მოუყრია თავი ნაბუქადო-
ნოსორის გულსა და გონებაში: ამით ჰჰოვებს ის
კაცთა გულში თეისებას და ნათესაობას თავის სულ-
თან და მით არის იგი ძლიერი. ღმერთი ჩვენნი მე-
სისხარობენ, ხალხნი არიან აღზრდილნი და შთავო-
ნებულნი მესისხარობით. ქურუმნი ჰქადაგობენ მესის-
ხარობას და ბრმა რწმუნებას: ამაშია მათი ძალა, სიბ-
ნელე იარალი მათი. მეცნიერება არის სინათლე, და
სინათლე არის მხილავი და მაჩვენებელი ცოდვათა
და სიცრუეთა მათთა. მეცნიერება და ბრმა რწმუნე-
ბა არიან მოსისხლე მტერნი, და ეი მეცნიერებას,

თუ უდროვოდ აღმართა დროშა თვისი, რათა დაი-
ცვას მეცნიერება, იძულებულ ვართ ჩვენ, მეცნიერ-
ნი გვეჭიროს მაგვარი მტარვალნი ხელთა, უჩვენებ-
დეთ მეცნიერებას მსახურად მათდა; მხოლოდ ამითი
შეგვიძლიან გადავარჩინოთ მეცნიერება დევნისაგან ქუ-
რუბთა, უშეერებისაგან გრარვალთა, რომელთა გონება
უფრო ემონვის უცნაურებას, ვიდრემ რასმე საცნაურს.
და რომ არ ჰქარდოს მტარვალმა მეუფემ მტარვალი
ერთა, უნდა კაცნი, რომელთაც აქვთ შესმენა და
უკირავთ ძალა ხელთა, სცდილობდნენ გადიტანონ
ეს ძალა მათ ხელთა, ვისაც შეუძლიან კაცთა შორის
ნათელის მოფენა, კაცთა გულში მხეცური ბუნების
აღმოფხვრა, უცნაურების შებრძოლვა და საცნაურ
ყოფა. მიშევით მეცნიერებას და კაცთა, რომელთა
უპყრიათ მეცნიერება, და აღსასრული ნაბუქადონო-
სორისა გოსულა... ნაბუქადონ! ასთანაგ! იყავით მზად
და უფრთხილდით ოლომფრეს. იგი ჰლამის მეფობას
და ნაბუქოდონოსორცა უმზადებს თავისი უმეცრე-
ბით თავის აღაგს არა ნაკლებ მისსა აზეავებულს
ოლომფრეს. (გადიან სამივენი).

(სცნაზე უმოდიან სამი ებრაელი: ახადა, ბერესა და იახარ. სამნივენი არიან ძაბა შოსილნი, აღტაცებულის სახით).

ახად. ოჲ, ეგოვავ! ეგოვავ! საბაოთ ღმერთო! ღმერთო ძალ-
თო! ღმერთო ასრაელისავ! ოჲ, იერუსალიმ! იე-
რუსალიმ! ზღუდენო სიონისანო! დამმგრევი, შემ-
მუსერელი და შემვინებელი თვევნი, კაცი ხორც
მოსილი, კაცი, რომელსაც არც კი შეუძლიან გო-
ნებით შემართვა ძლიერის. და უხილავის ღმერთისა,
ეგოვავ! უარს გყოფს შენ და ნაცვლად შენისა აღია-
რებს თავის თვისსა ღვთაებად!... ოჲ, ღმერთო, საყ-
დართა ზედან ცათა მჯდომელო! ნუ თუ ცოდვათა
ჩევნთათვის არ გვაკმირე დამცრობა და დამხობა ჩვენი'

შემუსრვა ერისა და სახლისა შენისა და უნდა დაეცეს წინაშენ მთელთა ნათესავთა, ენათა, ერთა და ყოველთა ტომთა უხილავი და უძლიერესი ძალა შენი?! ბერებიავ! იხარ! არ იღსნა ერი ჩვენი ცოდვათა ჩვენთა სასჯელისაგან არც ელიამ, არცა დავითისა ფსალმუნთა, არცა სიბრძნემან სირაქის ძისაგან, არც ესაიამ, არცა ღალადმან და გოდებამან იერემიასი და მიქაიასამან!... უარ ჰყვეს ეგოვა და მცნებანი მისნი... და წარხდეს იგიცა ნაშთი, რომელი გადარჩა ტყვევნასა და სპოლვასა, და აღსრულდეს წინასწარმეტყველება იგი, რომელი იტყვის: „და აღიღებენ მას, და დასწევენ ცეცხლითა, და ვაქცევ ქალაქთა იუდისასა უდაბურად და უკაცურად“...

ბერების. და ჩვენ, რომელთაც მოგვცემია ძალა ღმერთთან საუბრობისა, რომელთაცა გონება არის შეუწყვეტლივ ღვთაებრივთა საქმეთა შემეცნებაში და რომელთაცა ვიცით ძლიერება ნამდვილის ღმერთისა, ღმერთისა, რომელი არაეს უხილავს, არცა იხილვის და არცა გონით კაცისათა იცნობების,—გვეუბნებიან: უარპავით იგი და იწამეთ ღმერთად შემგინებელი ღეთისა თქვენისა, დამრღვევი სახლისა ღვთისა თქვენისა, წარმტყვევნი, შემბილწველი და შემმურველი ტაძრისა უფლისა თქვენისა... ოჰ, ეგოვავ! ეგოვავ! ღმერთო ძალთაო! გველის წამება, გველის ცეცხლი სახმილისა, მაგრამ არა გაგცევ შენ და გარეშე შენსა არა ვალიაროთ სხვა ღმერთი.

იახარ. აღიგსო სული ჩემი დიდებითა ღვთისათა და ადიდებს მას უსაზღვროსა, უხილავსა, მიუწდომელსა და შეუხებელსა! არა გაგცე შენ არცა შიშითა, არცა ხასყიდლითა, არცა დიდებითა, არცა წამებითა.

(სამივენი იჩოქებენ, განიპყრობენ ცისაკენ ხელებს და ჰელობენ ფსალმუნს).

„ღმერთო! დაიპყრეს! წარმართთა სამკუდრებელი შენი, შებილწეს წმიდა ტაძარი შენი, აქციეს ნატამალად იერუსალიმი, მძოვრნი მსახურთა შენთა მისცეს საჭმელად ფრინველთა ცისათა და გვამნი წმიდათა მმოსახეთა შენთა მხეცთა ველისათა. დაპირი უფალო მრისხანება შენი ერთა ზედა, რომელნი არა გცნობენ შენ, და მეფეთა ზედა, რომელნი სახელსა შენსა არა აღიარებენ. შვიდ წილ მიუზღე უფალო მეზობელთა ჩვენთა სახლსა შინა მათსა შეგინებისა და შეურაცხებისა შენისათვის!“

ახალა. ვხედავ მაღალთა შინა ღმერთსა და სული ჩემი ქერაბიმთა შორის ნეტარებს, ესაუბრების და ადიდებს უფალსა.

ბერება. ჰელავს სული ჩემი საბაოთს დაუსრულებელსა... ჰა! იხილეთ: განაპყრობს იგი ხელთა თეისთა, მჯდომი სერაბიმთა ფრთეთა ზედა... გვილოცავს გზასა წამებისასა...

იახან. მესმის ხმა უფლისა... ჰელავნის ანგელოზთა ხსნად ჩვენდა სახმილის ცეცხლისაგან... ღმერთი ღმრთაება ესაუბრების სულსა ჩემსა. (სამივენი გადიან).

(შემოდის კვალად ენგენია. შემოაქვთ საყდრით ნაბუქადონოსორ გალობითა და საკრავებითა და ასვენებენ მისგნით აღგებულს კერპთან).

ნაბუქადონოსორ. ახლა მიჩვენეთ, ვინც გაპკადნიერდა და არ აღიარა ღმერთი ღმერთად. ვინ არიან იგი წარწყმედნი სულთა თვისთა, ყოველთა მოდგმათა და ნათესაეთა თვისთა.

ნაბუქადონოსორ. არიან მაღიარებელნი ღმერთისა უხილავისა და უცნობისა (შემოპყავთ ბერებია, ახაია და იახარ).

ნაბუქადონოსორ. ვინ არის ღმერთი თქვენი? სად არის ღმერთი თქვენი?

ასული ისრაელისა

ბეჭება. ღმერთი ჩვენი არის საყდარსა ზედან ცათასა მჯდო, მარე და არის იგი შემომქმედი ცისა და ქვეყნისა-უხილავი, უხორუო ღმერთი, რომელმაც გაგაჩინა შენც ისრე, როგორც სხვა ყოველი სულდგმული.

ნაბუქადონისთარ. სად იყო ის, როდესაც მე შევმუსრე ერი მისი, საყდარი მისი, ქალაქი მისი?.. თუ მე ვარ შე-ქმნილი მისი, მაშ როგორ ვძლიერ მე იგი?.. უსჯუ-ლონო, ურწმუნონო! ცა იცვალა, ქვეყანა იცვალა! ქვეყანამ აღახილნა თვალნი თვისნი და თქვენ ისევ მამით უკუნისამდე არ იცვლებით სჯულისა თქვენი-საგან... და სჯულისავე თქვენისათვის იქნებით უკუ-ნითი უკუნისამდე დევნილ ყოველთა ერთაგან პირსა ყოველისა ქვეყნისასა...

ქადაგი. აღიარეთ ღმერთი ღმეოდ და ხატი მისი ღვთაებად და ხატად მისად. უარჲყაეთ ეგოვა თქვენი და აღიარეთ ნაბუქადონოსორ.

ახაია. ნაბუქადონისორ არის მეფე უძლიერესი, უძლეველი, არის მბრძანებელი ჩემი, ხოლო ღმერთი არის ეგოვა, ღმე-რთი ძალთა, უძლიერეს ყოველთა ღმერთთა.

აახარ. არ არის ღმერთი ხორც-მოსილი, არც შობილი, არცა მაკვდავი. ღმერთი არის დაუსაბამო, დაუსრულებელი, უსაზღვრო, უხილავი, მიუწვდომელი. მეფე ნაბუქა-დონისორ კი არის ძე, უკვე მკვდართა, ნაბაპალისა-რისა და ნეტოქრისასი, აქვს დასაბამიცა, დასასრუ-ლიცა და საზღვარიც. მხოლოდ მეფეთა შორის იგი არის უძლიერეს ყოველთა, ვითარცა ღმერთთა შო-რის ღმერთი ეგოვა.

ბერება. არა არს ღმერთი უძლიერეს ღვთისა ისრაილისასა, მხოლოდ ნაბუქადონისორ არის რჩეული მისი, რა-თა ხელითა მისითა დაჭავოს ყოველნი ერნი შეცო-დებათა და უსჯულოებათა მათისათვის.

ნაბუქადონისთარ. მე გაჩვენებთ, რომ ვარ თქვენი, მეფე კი არა, ღმერთი... და, ვაი თქვენ, უარისმყოფელნო ჩემნო!

ან აღიარებთ თქვენ და ნაშთი ერისა თქვენისა მე-
ფესა ცის ქვეშეთისასა ნაბუქადონოსორს და ხატა
მისსა ღმერთად, ან აღიგვის მთელი ერი თქვენი პი-
რისაგან ქვეყნისა, მახეილისა ჩემისაგან, და დაე გი-
ხსნასთ თქვენ გვოვამან თქვენშან რისხეისაგან ჩემისა...
შევმუსრავ საუკუნოდ სიონს და აღვაგებ მუნ ხატა
ჩემსა და გაეხდი შესაწირავად მისსა ქალწულთა და
დედათა თქვენთა, ჩჩილთა და ნორჩითა თქვენთა, რო-
მელთაც ხელითა თეისითა დავაკვლევინებ შესაწირა-
ვად ძეთა და ასულთა მათთა და შევასმევ მათ სი-
სხლთა თავისისავე ხელით დაკლულთა შვილთა მათ-
თა...

ხატი. იწამეთ და ცხონდეთ უკუნისამდე!

შურუმთ უხუცესი. აგერ თვით ხატი იგი გიბრძანებთ იწამოთ
იგი ღმერთი ხილული, და უარჰყოთ ღმერთი უხილა-
ვი, რომელიცა თქვენისავე სწავლით არავის უხილავს,
არის გონებისა და ცნობიერებისათვის მიუწვდომელი.
უწინარეს თქვენსა ერმან ჩვენშა აღიარა ღმერთი
უხილავი და თქვენ ისწავეთ იგი ჩვენგან. მხოლოდ
ჩვენ უარვყავით იგი, რადგან: რაი არს ღმერთი, რო-
მელი არა იხილეის, არცა მიიწვდომების, არცა იც-
ნობის?.. ჰა ღმერთი (უჩვენებს ნაბუქადონოსორზე) ხილუ-
ლი, რომლისა ძალა და ძლიერებანიც იცნობებიან
ყოველთაგან და იხილვიან ყველასაგან. ცხად არს ყო-
ველთათვის, რომ მას უპყვრია ძალა შემუსერად ყო-
ველთა ღმერთთა და სულთა და ხორცთა ყოველთა
ერთა, მეფეთა და მთავართა.

ხატი. იწამეთ და ცხონდეთ უკუნისამდე.

**ბერებია, ახად და იახარ (უცებ იჩოქებენ და აღაბყრობენ ზეცისაკენ
ხელთა). ჰე, უფალი ღმერთი ჩვენი! იხილეთ ურწმუ-
ნონო მჯდომი იგი ღრუბელთა ზედა, მოსილი მზე-
ზე უცხოველესის ნათლით. ისმინეთ გალობა და
ღალადი ძალთა ზეციერთა. ისმინეთ ხმანი ციურნი,**

რომელნი ადიდებენ და შეამკობენ ღმერთსა ისრაი-
ლისასა. (ჰგალობენ თვითონაც.) „აღივსი სული ჩეენი ძა-
ლითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა
ჩეენ..“

ნაბუქადონისათ. ასწით და ჩაუშვით ეგენი ხატის პირისაგან
ამომფშვინვარე ცეცხლში და დევ, უშველოს მაგათ
ეგოვამან მათმან.

(მტარვალნი სტაცებენ ხელს და მიჰყავთ ცეცხლისაკენ. ხატის პი-
რიდან მატულობს ცეცხლი და აღმოჰქმენს საშინლად.)

ქურუმი. დაიწვით, ურწმუნონო და გაუტეხელნო, ცეცხლსა
სახეილისასა!

ნაბუქადონისათ. ნაბუქარდან! შენ ხარ მიზეზი ამა ჩემი უპა-
ტიურებისა. შენ გქონდა ბრძანება ჩემი, რათა მო-
გესპო და დაგეტყვევებინა მთელი იერუსალიმი, მთე-
ლი იუდა და შენ არ აღასრულე იგი, მეტი წილი
გაუშვი ცოცხალ და დაუტყვევებელ, მრავალნიც და-
აბრუნე ტყვეობიდან. (თავისთვის) უნდა შეიმუსროს ნა-
ბუქარდან, რადგან მაგას თავისი თავი ოლომურებე
ლირსად მიაჩნია და ოლომურე კი უფრო აღვამაღ-
ლე. ამგვარნი კაცნი ყოველთვის იმარხვენ გულსა
შინა თვისსა ბოროტსა თვისდა მეუფეთადმი და მზად
არიან ვნებად მათდა. ყოველს მაგის სახის მოძრაო-
ბაში ისახეის სიძულვილი და ორგულობა ჩემი. თეთი
თავდაჭერა და სიფრთხილე ვერა ჰფარვენ მაგის გუ-
ლში იღგზნებულს შურის ცეცხლს, რომელიც ჩაჰ-
ქრება ან სიკვდილით, ან გულის წადილის შესრუ-
ლებით. უნდა შეიმუსროს იგი! (მტარვალ) შეიკართ
ესე და განამზადეთ ლომთა შესაჭმელად. (ასფანაგს).
ასფანაგ! შენცა დიდი ცოდო მიგიძლვის ამ საქმეში,
რადგან მენ მირჩიე დაახლოება ებრაელთა ჟინას-
წარმეტყველთა და მესიზმრეთა, და აგრძ დღეს ისი-
ნი პირველნი შეიქნენ უარისმყოფელნი ჩემნი. (მტარ-

ვალთ) წაიყვანეთ ესეც და შეასვით მას სამსალა ტკბილ-მისაძინებელი საუკუნოდ განსასვენად და შექსეას ფია-ლი ხელითა შშვენიერთა ხარქათა ჩემთა, და იგემოს სიკვდილი ტკბილი ხელთა მათთაგან, რათგან სულ სწუხდა, რომ იყო მოკლებულ შშვენიერთა თანა განცხ-რომით. ნებოლიდ! არცა შენ, მეცნიერებაი შენი კეთილ განზრახვებს ჩემდამი. სული ჩემი ჰედავს გუ-ლის თქმათა შენთა, ძილის შინანი ჩემნი მიჩვენებენ შურსა და განზრახვათა შენთა. (მრარვალთ) შეიპა-რით ეგეც და მიეცით სამკითხაოდ მეტლეთა და მესტროლაბეთა, რაისა საჯელისა ღირსია იგი გუ-ლის თქმათა და განზრახვათა ნათათვის. (ოლომტრეს) ოლომტრე! (მრარვალნი იჭერენ ასტანაგს, ნაბუზარდანს და ნებოლიდს).

თაღომფრე. (წარსდგება ნაბუქადონოსორის წინა შე). გახლავართ მონა ლვთაებობისა შენისა და ლვთაებრივის ბრძანებისა შენისა.

ნაბუქადონოსორ. აღმხედრდი ყოველითა მხედრობითა ჩემითა, მოჰკრიბე ყოველი ჩემი საბრძანებლიდან მეფენი და დიდებულნი, მთავარნი და სატრაპნი, ყოველი კაც-თა ნათესავნი, წალი და აღმოჰქმბარ ძირით ყოველი ერი ებრაელისა, რომელი აღიარებს ეგოვას და არა მე და ხატსა ჩემსა ღმერთად; ჩაჰმარხე უფსკრულსა ქვესკნეთისასა ქალაქნი და დაბანი მათნი, და დამკ-ვიდრე სამკვიდრებელსა მათსა ერი მსახური და ერთ-გული ჩვენი (ხალხში გაისმის ქრისტული). ახია, ბერეხია და იახარ მიჰყავთ მრარვალთა კიბეზე ცეცხლში ჩასყრელად).

ქადაგი. იწამეთ მეფე ნაბუქადონოსორ და ხატი მისი ღმერ-თად და ცხონდეთ უკუნისამდე.

ახაია, ბერეხია და იახარ, ჩვენა გვწამს ეგოვა, საბაოთ ღმერ-თი, უკვდავი, უხილავი, მიუწლომელი, მსაჯუ-ლი ცათა და ქვეყანათა. (პგალობენ), აღიდებს სული ჩვენი ეგოვას, ღმერთსა ისრაილისასა და არა არს

ଲମ୍ବରତି ଉଦ୍ଧଳୀଯର୍ଥେ ମିଳିବା । (ମୁହଁରାରୁଦ୍ଧ ମିଳିବାରୁ କାରିବି
କିମ୍ବାତାନ ଆଶାରୀ, ଡେର୍ହେବୀରୀ ଏବଂ ବାଚାରୀ) ।

ଶ୍ଵାଦଃପଦ. ଗାନ୍ଧୀସେବନ, ପ୍ରସରିତ ଜୀବନବ୍ୟବବ୍ୟାପ, ଏବଂ ଶତାନତକ୍ଷି ଉର୍ଧ୍ବମୁ-
ନନ୍ଦି ଯେବନ୍ତି ।

(ଗାନ୍ଧୀବା କିମ୍ବା କାରିବା, ଅନ୍ତରେ କିମ୍ବା କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ
ଯୁପକଳିବା ଯୁପକଳିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ
କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ) ।

ଶ୍ରୀରାମବାଦିନି. (ମନମାଜିକାବାନି) ଅଦିକଳେ ଶାଶ୍ଵତ ଦ୍ୱାତାବେଦିବା ଏବଂ ଲମ୍ବରତି
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତିବା ନାମଦ୍ୱାରା ଦ୍ୱାତାବେଦିବା ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତିବା
ଲମ୍ବରତି ଏବଂ ଏକା ଏକା ଲମ୍ବରତି ଉଦ୍ଧଳୀଯର୍ଥେ ମିଳିବା । (ବିଶ୍ଵାମୀବାନି).
ଶକ୍ତିବାଦ, ଶ୍ଵେତବ୍ୟକ୍ତିବାଦ ଏବଂ ବାଚାରୀ. ଅଦିକଳେ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତିବା,
ଶକ୍ତିବାଦ, ଶ୍ଵେତବ୍ୟକ୍ତିବାଦ ଏବଂ ବାଚାରୀ କିମ୍ବା କାରିବାରୁ କାରିବାରୁ
କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ କାରିବାରୁ
(ବିଶ୍ଵାମୀବାନି ଯୁପକଳିତି) ।

ଅନ୍ତରେ ଯୁଗଭାବିଧି

(ଶ୍ଵେତବ୍ୟକ୍ତିବାଦ, ବାଚାରୀ)



და მაგრა მარტინ მარტინი მარტინი მარტინი
(მარტინი მარტინი მარტინი მარტინი)
— და მაგრა მარტინ მარტინი მარტინი მარტინი
— და მაგრა მარტინ მარტინი მარტინი მარტინი
— და მაგრა მარტინ მარტინი მარტინი მარტინი
— და მაგრა მარტინ მარტინი მარტინი მარტინი

პ რ ა ზ ა ნ ა

რომანი იტალიის ცხოვერებიდან

ე. გონინისა

ნაფილი გვ. 200

თუ *)

შრისხანებაშ არ დავიწყა მონტანელლის დანაპირები. ის დიდად აღშფოთდა, რომ კრაზანასათვის ნატკივარი ხელები შეებოჭათ და საყვედური გამოუცხადა გუბერნატორს, როს გამოც გუბერნატორი სრულიად დაიბნა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და ბრძანა სულ ერთიან აესნათ ჰატიმარისათვის ბორკილი.

— არ ვიცი, შემდეგ კიდევ რიღასი წინააღმდეგი გახდება მათი უსამღვდელოესობა. თუ ხელების შებოჭვა სიმკაცრედ მიაჩნია, შესაძლებელია, ისიცა ბრძანოს, რომ იმის სადგომს მავთულებიანი სარკმელიც არა ჰქონდეს, ანდა ვუგზავნო რივარესს სადილად კართოფილი და ზღვის ლოკოკინები. როცა მე ახალ-გაზდა ვიყავ, ისეთი დრო იყო, რომ ჰატიმარი ჰატიმრად მიაჩნდათ და შესაფერადაც ეპყრობოდნენ; არავინაც არა ჰფიქ-რობდა, რომ გამცემელი მეტი ყოფილიყოს ქურდზე. მაგრამ ეხლა იჯანყება მოდაში შემოვიდა და მათი უსამღვდელოესობა აპირობს მფარველობა გაუწიოს ქვეყნის ყოველ მაწანწილას.

ქრიზტიანი

— არ მესმის, თუ რისთვის ჩაერია ის ამ საქმეში, — შევნიშნა აღიურანტმა. — ის პაპის დესპანი არ არის, და არც არა-ითა რი უფლება არ აქვს სამოქალაქო და სამხედრო საქმეებში გაერიოს. კანონის ძალით...

— რა საჭიროა კანონებზე ლაპარაკი? განა ეინშე ჰატივს-ლა დასდებს კანონს, იმის შემდეგ, რაც წმინდა მიმამ დაალო საპყრობილის კარები და გადაგვკიდა ყველა ლიბერალი მაწან-წალები. რასაკვირველია, მონსინიორ მონტანელლი იჩენს ეხ-ლა უფლებას. წინად, განსვენებულ პაპის დროს წყნარად იქ-ცეოდა და ეხლა კი, ეგ არის უფროსი. უცებ შეისხა ფრთხები და როგორც სურს, ისე მოქმედობს. როგორ შემიძლიან გა-ვიარო იმის წინააღმდეგ? იქნება იმას საიდუმლო მოწერილობა აქვს ვატიკანიდნ, ეხლა ყოველივე უკულმა ტრიალებს. არ შეგიძლიან კაცს იცოდე, რა იქნება ხვალ. ძეელ დროს შესა-ლო იყო გცოდნოდა, როგორ გემოქმედნა და ახლა....

გუბერნატორმა თავი გადააჭია შეწუხებულის სახით. ქვეყა-ნა, რომელშიაც კარდინალები ზრუნავენ საპყრობილის წეს-რი-გის წვრილმანზე და ლაპარაკობენ პოლიტიკურ დამანაშავეთა უფლებებზე, მისთვის წარმოუდგენელი იყო. კრაზანაც მეტის-მეტად აღშფოთებული დაბრუნდა საპყრობილები. მონტანელ-ლის შეხვედრამ და იმასთან საუბარმა კინალამ მოთმინება დაუ კარგა და უკანასკნელი მკვახე სიტყვები ცირკის შესახებ მხოლოდ იმიტომ წარმოსთქვა, რომ გათავებულიყო საუბარი იმათ შო-რის და განშორებოდნენ ერთმანერთს, რადგან ხუთი წუთი კიდევ და კრაზანა ტირილს დაიწყებდა.

იმ დღესვე საღამოს, როცა კრაზანა მიიწვიეს გამოკითხვებისათ-ვის, ის მხოლოდ იცინოდა ყოველ კითხვაზე. როცა გუბერნატორ-მა, მოთმინებიდან გამოსულმა, დაუწყო ლანძღვა, ის უფრო და უფრო ხარხარებდა. გუბერნატორი აჩხლობდა, ემუქრებოდა თავის მოწინააღმდეგე ჰატიმარს, ათასვეარ დასჯას უქადიდა, მაგრამ ბოლოს მივიდა იმ დასკვნამდის, როგორც რამოდენი-მე წლის წინად ჯემს ბერტენი, რომ არ ლირდა აღშფოთება იმნაირ კაცთან ლაპარაკით, რომელიც შეუსმენარია.

კრაზანა ისევ წაიყვანეს ოთახში. იქ ის მიწერა ტახტზე უი-
მედო შფოთიან მდგომარეობაში მყოფი და საღამომდის გაუნძ-
რევლად იწვა, თითქმის უაზროდ. დილანდელ აღშეფოთების
შეძლებ ის უცნაურ გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფე-
ბოდა. მისთვის სულ ერთი იყო, როგორც უნდა გათავებული-
ყო ეს მდგომარეობა, მხოლოდ გადარჩენა სწადდა ამ აუტანელ
ტკივილებისაგან და სულ ერთი იყო, ეს შვება გარემოებათა
შეცვლით წარმოსდგებოდა, თუ იმით, რომ თვით დაეყარგნა
ნიჭი გრძნობისა. იქნება გაქცევა მოახერხოს, ან იქნება მოჰკ-
ლან, მაგრამ მოძლვარს კი მაინც ვერასოდეს ვერ ნახავს.

ერთმა მექარეთაგანმა საჭმელი შემოუტანა; კრაზანამ შე-
ხედა მას გულ-გრილად.

— რამდენი საათია?

— ექვსი. სადილი მოგიტანეთ, სინიორ.

კრაზანამ ზიზღით გადახედა წყალ-წყალი ციც წვენს და
მიიხედა გვერდზე. საჭმლის დანახევამ იმას ზიზღი აღუძრა.

— ავად გახდებით, თუ არა კამეთ-რა, — აჩქარებულის ხმით
უთხრა მექარემ, — სკამეთ ერთი ნაკერი პური მაინც, ეს თქვენ
მოგეხმარებათ, — როგორლაც ძალდატანებით ეუბნებოდა მექა-
რე და ამ სიტყვებთან ერთად აიღო თევზიდან პური და ისევ
დასდო.

უეპრივ გაიღვიძა მეამბოხემ, მიხვდა რომ პურში რაღაც
ძევს.

— დასტოვეთ სადილი, მერე ვჭამ, — უთხრა დაუდევნე-
ლად.

კარები ლია იყო, კრაზანამ იცოდა, რომ სერეანტი — უფ-
როსი მცველი, — კიბეზე იდგა და ისმენდა თითოეულ იმათ
წარმოთქმულ სიტყვას. როცა მექარე გავიდა და კარი გაიხუ-
რა, კრაზანაც დარწმუნდა, რომ აღარავინ უთვალთვალებდა
კარებს ჯუჯრუტანიდან, აიღო პური და სიფროხილით დაუწ-
ყო დაფშვნა. შუაგულ პურში აღმოჩნდა ის, რასაც კრაზანა
ელოდა — წვრილ-წვრილი ქლიბები ერთად შეკრული. ისინი
პატარა ქალალდის ნახევში იყო გამოხვეული და იმიანად პურ-

ქრაზანა

ში მოთავსებული. ქალალდზე რამდენიმე სიტყვა ეწერა წვრილი ასოებით. გახსნა სიფრთხილით და სინათლეზე მიიტანა: „კარი არ იქმნება დაკეტილი და ღამეც ბნელია. ეცალეთ რაც შეიძლება მალე გახერხოთ სარკმლის მავთულები და გამოხვიდეთ ლამის ორს, ან სამ საათისათვის. ჩვენ მზად ვართ და იქნება ძეორედ ამნაირი შემთხვევა არ მოგვეკვეს“.

კრაზანამ ციებიანსავით დაჭმუჭნა ქალალდი. მაშ, ასე, ყველაფერი მოუგვარებიათ. ესლაა, რომ ამან უნდა სარკმლის დახლართული მავთულები გაქლიბოს, რა ბელნიერებაა, რომ ბორკილები შეხსნეს. რამდენი მავთულია გასაქლიბი? ორი, ოთხი. თითო-ოროლ ადგილას უნდა გაიქლიბოს—მაშ რეაა. მოასწრობს ერთი ლამის განმავლობაში გაქლიბვას, თუ აჩქარდება. როგორ მოასწრეს ყველა ამაების მოხერხება გემმამ და მარტინმა, საიდან იშოგვნეს ასე საჩქაროდ ტანისამოსი, ბაშფორთიც და დასამილი ადგილიც? როგორის სისწრაფით უნდა ემოქმედნათ, რომ ყოველივე ასე მცირე ხნის განმავლობაში მოეგვარებინათ. რასაკვირველია, გემმას წინადადებას ვიღებ და არა ვისმეხსეისას,—ჰეთიერობდა იგი და ჩაეცინა თვითვე,— განა სულ ერთი არ არის, ვისიც უნდა იყოს, ოღონდ კი თვით გეგმა იყოს კარგი. მაგრამ მაინც მოხარული ვარ, რომ მაინც და მაინც გემმამ ურჩია მიწის ქვეშ სასიარულოთი ესარგებლნა, იმის მაგიერ, რომ ოჯების კიბეზე დაშვებულიყო, როგორც კონტრაბანდისტებს განეზრახათ.

გემმას გეგმა უფრო რთული და საძნელო იყო, მაგრამ, მაგიერად ეს არ იყო მაენებელი აღმოსავლეთის კედლის დარაჯისათვის. ამიტომ, როცა წარუდგინეს კრაზანას ორი პროექტი, დაუყოვნებლივ აირჩია ის, რომელიც გემმას შეედგინა. ერთგულ მექარეს, რომელსაც „კრიპინა“-ს ეძახდნენ, უნდა მოეხერხებინა, რომ დანარჩენ ამხანაგების შეუმჩნევლად გაელო აღაყაფის კარები. რომელსაც ეზოდან, ციხის კედლის ქვემოდ, მიწაში სასიარულო ადგილებში მიჰყავდა. მერე ისევ უნდა წაელო გასაღები და დაეკიდნა კედელზე, მორიგის მცველის ოთახში.

კრაზანას შეატყობინეს ეს განზრახვა და იმას უნდა გაე-
ქლიბა სარკმლის მაეთულები. უნდა თავისი ხალათი დაეხია,
იმითი თოვი დაეწია, რომელიც გამოადგებოდა იმისთვის, რომ
გადმოშვებულიყო განიერ კედელიდან, რომელიც დიდ ეზოს
გარს ევლო. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იდგა ნახევრად და-
გრეული პატარა კოშკი, ის თითქმის სქლად აღმოცენილ ბა-
ლახეულობას ეჭირა და მრავალი ალქატი ქვები შაგ კედლის
გვერდზე ეგროვა.

ამ კოშკიდან უნდა დაშვებულიყო ძირს ეზოში კრაზანა,
იმ დაგროვილ ქვებზე, ჩუმად გაელო დაუკეტავი კარები და
გაევლო მიწაში სასიარულო გზა, რომელიც ამ დაგროვილ
ქვებიდან იწყებოდა. უწინდელ საუკუნოებში საიდუმლო სასია-
რულო ხვრელად იყო გარდაქცეული ციხესა და კოშკის შეა.
ეხლა კა გაუქმებული იყო, მხოლოდ კონტრაბანდისტებმა იცო-
ლნენ ერთი მოხერხებული დაფარული შესავალი, საითაც ამ
ხვრელს მიჰყავდა. არავის არ უფიქრნია თუ იქ, ციხის კედლის
ძირში მთელი კეირაობით უბარო საქონელი ინახებოდა ხოლ-
მე, იმ დროს, როდესაც დამოუწის მოხელენი ამაოდ სჩერეკ-
დნენ მთიულების ბინას. ამ ხვრელიდან უნდა გაევლო კრაზა-
ნას, მთებში მისახელელად, სადაც მარტინი და ერთი კონტრა-
ბანდისტი ელოდა. ერთად-ერთ სიძნელეს ის შეადგენდა, რომ
ყოველ ღამე არ მოუხდებოდათ ხოლმე ჭიშკრის გაღება იმის
შემდეგ, რაც დარაჯი დაათვალიერებდა ხოლმე იქაურობას და
ძნელიც იყო სხვა დროს სარკმლიდან გადმოპარვა მთვარიან
ღამეში, დარაჯის შეუმჩნევლად. ეხლა, როცა საქმე მოხერხე-
ბულად იყო, ხელიდან არ უნდა გაეშვათ ეს შემთხვევა.

კრაზანა დაჯდა და დაიწყო პურის ჭამა, რომ ღონე არ
დაჰქარგოდა. საჭირო იყო ცოტა წაძინებაც, ათ საათამდის ვერ
შეუდგებოდა საქმეს და ღამე კი დიდი მუშაობა მოელოდა.

მაშ ასე, მოძღვარმა მოისურვა მიეცა შემთხვევა გაპარვი.
სა. ეს სრულებით არ მიაგავდა იმის საქციელს. მაგრამ თითონ
კრაზანა კი არასოდეს არ დათანხმდებოდა ამაზე. ყველაფერზე
დათანხმდებოდა, მხოლოდ ამაზე კი არა. თუ გაიქცევა, უთუ-

ოდ თავისი ნებით და ამხანაგების დახმარებით და პატრებისა-
ზან კი არა ჰსურს მიიღოს არავითარი წყალობა.

— რა სიცხეა! უეპველად ქარიშხალი ამოვარდება, ისეთი დახ-
შული და მძიმე ჰაერია.—კრაზანა მოუსვენრად ტრიალებდა
ლოგინზე და შეხვეული ხელი თავ-ქვეშ დაედო. მერე ისევ
ძარს დაუშვა, საშინლად უხურდა ხელი და ასივებოდა. ყველა
ძელმა ჭრილობებმა დაუწყეს მწვავედ ტკიფილი. რა ნახეს?

რა სისულელეა, საქმე მხოლოდ ქარიშხალის მოახლოვე-
ბაშია. ეხლა წაიძინებს ცოტას და დაისვენებს, მანამ საქმეს შე-
უდგებოდეს. რვა მავთულია, ყველა მსხვილი და მაგარი. რამ-
დენი დარჩა კიდევ? უთულ ცოტა. უეპველად ქლიბავდა კიდევ
რამოდენიმე საათი, აი ამიტომაც სტკივა ხელი. ოხ, რა საშინ-
ლად სტკივა, მაგრამ, ვითომ ამის გამო სტკივა გვერდიც? და
ეს მწვავე ტკიფილი ფეხში, რომლითაც კოჭლობს, ნუ თუ
ესეც ქლიბით მუშაობისაგან აღეძრა?

კრაზანა წამოდგა. არა, იმას არ სძინებია, ის ბოლავდა
თვალ-გახელილი. მოეჩვენა, ეითომ კიდევაც ხერხდა და ჯერ კი
არც დაეწყო. საჩემელი ხელუხლები იყო. სადღაც შორს კოშკ-
ზე ათი საათი დარეკა. ეხლა კი დროა საქმეს შეუდგეს.

არა, სრულებით კარგად არის. ყველა ეს ოცნება იყო.
გვერდის ტკიფილი გაციებისაგან არის, ან სხვა რამ მიზეზით.
ან კი რა გასაკვირველია, თავს ცუდად ჰვრინობდეს, სამი კვირის
საპყრობილები ყოფნითა და უქმელ-უძილოდ გატარებულ ლა-
მებით. ყველა ეს ტკიფილები, მაჯის აჩქარებული ცემა ერთის
მხრივ ნერვების ძლიერებისაგანაც არის გამოწვეული და
მეორე მხრივ იმისაგანაც, რომ მოძრაობა არა აქვს. დიალ,
სწორედ ამაშია საქმე, მოძრაობას არის მოკლებული. ვე,
როგორ წინედ ვერ მოიფიქრა ეს; სჯობს პატარა ხანს იჯდეს,
დაიმშვიდოს ნერვები, მანამ მუშაობას შეუდგებოდეს. რამოდე-
ნისამე წუთის შემდეგ ყველაფერი გაიელის. მაგრამ ჯდომა უფ-
რო არ ვარგა. როცა ზის და არ მოძრაობს, სულ-ერთიანად
ნერებს ემორჩილება და სახე სულ ერთიანად უნაცრისფერდე-

ბა. არა, სჯობს ადგეს და საქმეს შეუდგეს. თვით თავის თავ-ზეა დამოკიდებული, ჰერძნობდეს, თუ არ ჰერძნობდეს. გარდას-წყვიტა, აღარაფერი ეგრძნო, განეშორებია თავიდან ყოველი-ვე გრძნობიერება. ადგა და უთხრა თავის თავს გარკვევით და ხმა-მაღლა:

— მე ავად არა ვარ, არცა მაქვს დრო ავად ვიყვე. უნდა გავქლიბო სარკმლის მავთულები. არა მსურს ავად ვიყვე.

შეუდგა ქლიბვას.—თხუთმეტი წუთია თერთმეტის.—ნახე-გარია თერთმეტის.—ორმოც და ხუთია თერთმეტის. ის განაგრ-ძობს ქლიბვას. წრიპინი, ხერხვისაგან გამოწვეული, ისე ჰმოქმე-დობს იმაზე, თითქო თვით იმისს სხვეულსა და ტვინს ხერხავ-დნენ.

— ნეტა ვიცოდე, — სთქვა თავისითევის ჩაცინებით კრაზანამ, — რომელი უფრო ადრე გაიქლიბება: მე თუ ეს მავთული. — და კბილი კბილს მოუჭირა და განაგრძო ქლიბვა.

ნახევარია თორმეტისა. ის კიდევ ქლიბავს, თუმცა ხელი სულ-ერთიან გაუშეშდა, გაუსივდა და ძლივს-ლა უჭირავს ქლი-ბი. მაგრამ მაინც ვერ შეუჩერებია ერთ წუთს, რომ ხელიდან გაუშეას ეს საშინელი იარალი, ვეღარაფრის გულისთვის ვეღარ შესძლებს ხელი-ახლა აიღოს. დარაჯი შეინძრა დერეფანში და მოარტყა კარებზე თოფის კონდახი. კრაზანა შეჩერდა და მო-იხედა. ქლიბი ისევ ეჭირა ხელში, რომელიც მაღლა ასწია და ისე გაუშეშდა.

— ნუთუ შეუტყვეს ყოველივე?

დაჭმუჭვნილი პატარა ქალალდი გამოჰტრიალდა კარების ჯუჭრურანიდან და დაეცა იატაკზე. კრაზანამ დასდო ჩუმად ქლი-ბი და დაიხარა ასაღებად.

• • • • •

რა ძნელია დაბლა-დაბლა დაქანება, როცა გარშემო შევი-ზეირთები ღელავენ. ოჰ, როგორ ღელავდნენ!

ახ, ის მხოლოდ დაიხარა, რომ ქალალდი აეღო. მას ცუ-ტა თავს ბრუ მოუფიდა. ეს მოხდება ხოლმე ხან-და-ხან, როცა დაბლა დაიხრება ადამიანი. ეს არაფერია, არაფერი.

აიღო დაჭმუქვნილი პაწაწა ქაღალდი, მიიტანა სინათლე-
ზე და გაშალა, რომელშიაც ეს ეწერა:

„გამოიპარეთ ამაღამ, რაც უნდა იყვეს. „ქრისტინა“ ხვალ
სხვა ადგილზე გადაჰყავთ. დღეს უკანასკნელი დღეა, რომ ასეთი
კარგი შემთხვევა გვაქვს“.

კრაზანამ დახია ბარათი, როგორც წინანდელი, ისევ წა-
ვლო ხელი ქლიბსა და დაუბრუნდა საქმეს, გაჩუმებული და დი-
დად შეშფოთებული.

პირველი საათია. სამი საათია მუშაობს. ექვსი კიდეც გა-
დახერხა, ორილა დარჩა და მერე კი შეეძლება გადიპაროს. და-
იწყო მოფიქრება, თუ წინედ რა დროს ეწყობოდა ხოლმე თა-
ვისი ჩვეულებრივი საშინელი ავადმყოფობა. უკანასკნელად ახალ
წელიწადს მოუარა. კრაზანას შეაერეოლა, რომ გაახსენდა მა-
შინდელი ხუთი ლამე. მაგრამ მაშინ მოულოდნელად შეიქმნა
ავად, ისე არასოდეს არ მოსვლია.

მან გაუშვა ხელი ქლიბს. ბრმასავით გაიწოდა ორივ ხელე-
ბი წინ და დაიწყო ლოცვა აღშფოთებულმა, პირველად იმის
შემდეგ, რაც რწმენა დაჰკარგა. თვითონაც არ იცოდა, ვის ევე-
დრებოდა. ოჭ, ამაღამ ნუ და ხვალ თუნდა გავხდე ავად. ყვე-
ლაფერს ავიტან ხვალ, მხოლოდ ამაღამ კი არა. ერთ წუთს
შექრდა და საფეთქლებზე იტაცა ხელები. მერე ისევ აიღო ქლი-
ბი და განაგრძო მუშაობა. ორის ნახევარია... უკანასკნელს მავ-
თულს-და ქლიბაედა. ხალათის სახელო სულ ერთიან დაეხა, ტუ-
ჩები დაუფიცხდა, თვალებზე სისხლი მოაწვა და ბურუსი მოე-
ფინა. ოფლი ღვრად სდის შუბლზე და ის კი ქლიბავს... ქლი-
ბავს... ქლიბავს...

ირაერავა და მონტანელლის მაშინ ჩაეძინა.

უძილობისაგან დაშინებულს რამდენსამე ხანს დამშეიდე-
ბულად ეძინა. შემდეგ კი სიზმრები მოევლინა, ჯერ ბუნდოვა-
ნი და გამოურკვეველი. სხვა-და-სხვა ფანტაზიები ირეოდნენ
ერთი მეორეის მიყოლებით იმის გარშემო და ისევა ჰქონდოდნენ.
ისინი ყველა სავსენი იყვნენ ერთი და იგივე ბრძოლითა და და-

ტანჯულობით, იგივე ბუნდოვან გამოურკვევლობის შიშით. შემდეგ მოესიზმრა უძილობა, რომელიც სტანჯავდა იჩას მრავალ წლების განმავლობაში. ეხლაც, ძილშიაც კი ახსოედა, ახსოედა, რომ ოდესმე ყველა ამაებს ჰკრძნობდა წინედ. ეჩვენებოდა, რომ დაბოდიალობდა დიდ ცარიელ აჯგილას და ცდილობდა ეპოვნა რაიმე კუთხე, რომ დაწოლილიყო და დაეძინა. ხალხი დადიოდა ყველგან, იკინოდა, ხმაურობდა, ლოცულობდა, ზარებსა რეკდნენ და აელარუნებდნენ სპილენძის საკრავებს. თვითონ ხან-და-ხან განეშორდებოდა ამ ხმაურობიან ალაგს და წამოწვევებოდა მინდორზე. ხან ხის სკამზე, ან-და ქის ფიქალზე. ხუჭაეს თვალებს, ხელსაც იფარებს თვალებზე, რომ სინათლეს მოარიცოს და ეუბნება თავის თავს: „ეხლა კი დავიძინებ“, მაგრამ ამ დროს მოდის იმასთან მრავალი ხალხი აგუფად, ვეღრებით:

„გაიღვიძე, გაიღვიძე ჩქარა! შენ საჭირო ხარ ჩვენთვის!“ მეორე სიზმარი კიდევ: დიდ სასახლეშია, ოთახებში ყველგან ტახტები, დივნები და რბილი საწოლებია გამართული. დაღამდა და ის ეუბნება თავის თავს: „აქ როგორც იქმნა ვიშვენე მყუდრო ალაგი, რომ დავიძინო“. მაგრამ როცა აირჩევს ბნელ ოთასს და ეპირება ძილს, ვიღაც შემოდის ლამპარით ხელში, შეუბრალებლად უნათებს თვალებთან და ეუბნება: „ადექ, შენ საჭირო ხარ ჩვენთვის!“

დგება და მიდის ჩეხევით, როგორც სასიკვდილოდ დაჭრილი, კიდევ იქით. მოესმა სადღაც პირველშია საათმა დაჭკრა და იცის, რომ შუა ღამე უკვე გაღვიდა. ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვს საათზე კიდეც გააღვიძებს ხალხი და აღარსად იქმნება მყუდროება. ის მიდის მეორე ოთახში და აპირობს დაწოლას ლოგინში, მაგრამ ვიღამაც წამოიწია ბალიშიდან და ეუბნება: „საწოლი მე მეკუავნის“. და ის უნდა გულამლვრეული გაეძარ. თოს სხეაგან და ეძიოს მოსასვენებელი ადგილი. გადის საათი საათზე და ის კიდევ დაფუსტუსებს ოთახიდან ოთახში, სახლიდან სახლში, დერეფნიდან დერეფნანში. ნაცრისფერი განთიადი ეფინება ნელ-ნელა ქვეყანას, საათმა დაჭკრა ხუთი. ღამემ გაია-

რა და იმან კი ვერ ნახა მოსვენება. ოხ, საშინელებაც, მოეკუთხავ და კიდევ დღე. მიწის ქვეშ გრძელ დერეფანში იმყოფება. იქობა გაჩაღებულია სხვა-და-სხვა ფერი ლამპრებითა და ჭრაქებით. მოქსმის ბანიდან მუსიკისა და სიცილის ხმა. იქ მაღლა, ცოცხალ არსებათა ქვეყანაზე აღმად რაიმე დღესასწაულია. ოხ, ნეტა იშოვნოს საღმე კუთხე აღგილი, რომ მიიმალოს, მიიძინოს. სულ პატარა აღგილი, თუნდ საფლავი. ამ სიტყვებთან ერთად ის გაჩნდა ამოთხრილ საფლავთან, საიდანაც სიკვდილის სუნი ამოდის. სულ ერთია, ოღონდ კი დაიძინოს.

— „საფლავი ჩემია!“ — ეს გლოდისია! — ქალი წამოიწევს საფლავიდან სუდარაში გახვეული და უცქერის იმას.

მონტანელლი იჩოქებს იმის წინაშე ხელებ გაწვდილი.

— გლოდის, გლოდის! შემიბრალე. მომეცი ნება დავწევ ამ ვიწრო ალაგს და დავიძინო. არა გთხოვ სიყვარულს, არ გახლებ ხელს, არ დაგიწყებ ლაპარაკს, მხოლოდ მომეც ნება დავიძინო. ოჰ, ძეირფასო, რა დიდი ხანია არ მძინებია. აღარ შემიძლიან ერთი დღე კიდევ გავძლო უძილოდ. სინათლე აბრა-მივებს ჩემს სულს, ხმაურობა ამსხვრევს ჩემს ტვინს და ჰემის მტრიად. გლოდის, დამითმე მცირე აღგილი, დავიძინო! აპირობს შეეხოს იმის სუდარას, რომ თვალებზე გადიფაროს, მაგრამ გლოდისი დაიკივლებს: „ეს ცოდვაა, შენ მღვდელი ხარ!“

მონტანელლი განშორდება და მიღის კიდევ იქით, შორს. მივიდა ზღვის ნაპირას, რომელსაც შუქი დანათის; წყალი კვნესის წყნარის მუღმივრს შეწუხებულის ხმით.

— „ოჰ, — ამბობს იგი, — ზღვა შემიბრალებს მე. ესეც დაღლულია, მოქანცული, სიკვდილამდე არ შეუძლიან დაიძინოს“. მაშინ არტური ამინიტივტივებს ზღვიდან და მაღლა დაიყვირებს: — ზღვა ჩემია!

• • • • • • • • • • •
თქვენო უსამღვდელოესობავ, თქვენო უსამღვდელოესობავ.

მონტანელლი მთელის სხეულით შეინძრა და გაიღვიძა. მოისმა კარებზე რახუნი, მონტანელლი წამოდგა სწრაფად

და გაალო კარი. მოსამსახურებ დაინახა იმისი შეშინებული, ველური შეხედულობა.

— თქვენო უსამღვდელოესობავ, ავად ხომ არ ბრძანდებით?

მონტანელლიმ შუბლზე გადისვა ხელი.

— არა, მეძინა და შემეშინდა, ხმაურობა რომ შემომესმა.

— მომიტევეთ, თქვენო უსამღვდელოესობავ. მე მეგონა გელვიძათ, ვფიქრობდი, რომ....

— ეხლა გვიან არის?

— ცხრა საათია. გუბერნატორი მობრძანდა. ამბობს, რომ დიდი საქმე მაქვსო და რადგან ვიცი ადრე აბრძანება იცით...

— კვევით არის? ეხლავ მოვალ.

ჩაიცა და ჩავიდა ქვემო სართულში.

— მომიტევეთ, რომ უდროვოდ მოყველ, თქვენო უსამღვდელოესობავ, — დაიწყო გუბერნატორმა.

— იმედია, მშეიდობიანობაა.

— სულაც მშეიდობიანობა არ არის, თქვენო უსამღვდელოესობავ, რიგარესსი კინალამ გაიქცა.

— რადგან ველარ მოუხერხებია, საშიში არა არის-რა. როგორ მოხდა?

— ის იპოვნებ ეზოში პატარა რკინის კარებთან, ღამის სამ საათზე, როცა ცხენოსანი ყარაული შესულიყო ეზოში დასათვალიერებლად. დასჯახებოდა მიწაზე რალაც საგანს, მიიტანეს სანათი და იღმოჩნდა რიგარესსი, უგრძნობლად მწოლიარე. როცა დავათვალიერეთ ოთახი, რომელშიაც რიგარესი იყო დაპატიმრებული, შეენიშნეთ, რომ სარკმლის მავთულები გაქლიბულია და იქიდან თოკი, დახეულ ხალათის ნაჭრებისა, გაღმოშვებული. იქიდან გაღმოპარულა ძირს, კედელზე ცოციალით. რკინის კარები, რომელსაც მიწაში სასიარულო ვზისაკენ მიჰყავს, ღია დაგვიხვდა. აქედან სჩინს, რომ დარაჯნი მოყიდული ყოფილან.

— როგორ გაჩნდა გზაზე მწოლიარე, გაღმოვარდნილა?

— მეც ევრე ეფიქრობდი, თქვენო უსამღვდელოესობავ, მაგრამ საპყრობილის ექიმი ჩამოვარდნის ნიშნებს ვერას ამჩნევს. დარაჯი, რომელიც გუშინ იყო მორიგე, ამბობს, რომ რივარესი ცუდად გამოიკირებოდა უკანასკნელ ღამეს, როცა ვახშამი მიუტანეთ არასა სკამდაო. მაგრამ ეს სისულელეა; ავადმყოფი ვერ შეიძლებს რკინების გაქლიბეას.

— თითონ რას ამბობს?

— უგრძნობლად არის, თქვენო უსამღვდელოესობავ!

— ეხლაც?

— დროვამოშვებით მოდის გრძნობაზე და კვნესის, შემდეგ ისევ ჰყარგავს გრძნობას.

— ექიმი რას ფიქრობს?

— არც იცის რა იფიქროს. გულის ტკივილის ნიშნები არა აქვს, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ როცა უკვე განთავისუფლებული ყოფილა, უეცრივ მოუვლია რაღაც ავადმყოფობას. კერძოდ მე ვფიქრობ, რომ თუმცა იბრძოვა გაპარვისათვის, მაგრამ თვით განგებამ შეიპყრო იგი.

მონტანელლიმ წარბი ოდნავ შეიხარა და ჰქითხა:

— რას უპირობო ეხლა?

— ამ კითხვას რამოდენიმე დღის შემდეგ გადავწყვეტ. მაგრამ კარგი გაკვეთილი კი იყო ეს ჩემთვის. აი, რას ნიშნავს ბორკილის ახსნა... მომიტევეთ, თქვენო უსამღვდელოესობავ.

— იმედია, — გამწყვეტინა სიტყვა მონტანელლიმ, — მანამ ავად არის პორკილს აღარ დაადებთ. მაგნაირ მდგომარეობაში მყოფმა კაცმა, როგორც თქვენ ამიწერეთ, ძნელად თუ მოახერხა გაძლიერება.

— ეხლა კი ვეცდები, რომ გაქცევა აღარც იფიქროს, — წაიბურდებუნა გუბერნატორმა, როცა ოთახიდან გადიოდა. — მათმა უსამღვდელოესობამ როგორც უნდა, ისე იფიქროს და რივარესი კი, ეხლა როგორც წესია, შებორკილია, და ასეც დარჩება ავად არის თუ კარგად.



— როგორ მოხდა ეს? იმ დროს გულის შეწუხება, როცა უკეთ განთავისუფლებული იყო, როდესაც კიშეკართან გამოჩნდა! ოჯ, რა საზიზღარი დაცინვაა ბედისა.

— ეს-და შემიძლიან ვთქვა,— მიუგო მარტინმა,— რომ, ალბად, მოუარა ძველმა ავადმყოფობამ და იბრძოდა იმის წინააღმდეგ, მანამ ძალა შესწევდა. შემდეგ კი დალალულობის გამო გრძნობა დაუკარგავს, როცა კიდევაც გადმოპარულა.

მარკონემ გაჯავრებულად ჩიბუხი გამობერტყა.

— როგორც უნდა ყოფილიყო, ეხლა ყველაფერი გათავებულია და ჩვენ ვეღარას ვუშველით იმ საბრალოს.

— საბრალო,— ჩუმის ხმით გაილაპარაკა მარტინიმაც. მიხვდა, თვით იმისთვის როგორ დაჰკარგა ქვეყანამ მიზანი, კრაზანას გაქრობასთან ერთად.

— ის რაღას ამბობს? — იკითხა კონტრაბანდისტმა და გაიხედა ოთახის მეორე კუთხისაკენ. გემმა იჯდა და გამოიცემერებოდა უაზრო გამოშეტყველებით.

— იმისთვის არა მიკითხავს-რა; იმის შემდეგ რაც შეიტყო, თუ რაც მოხდა, აღარას ამბობს. სჯობს ნურასა ვკითხავთ, ნუ შევაწუხებთ.

გემმა თითქო ვერ ამჩნევდა ამთ იქ ყოფნას, მავრამ ისინი მაინც დაბალის ხმით ლაპარაკობდნენ, თითქო ოთახში მიცვალებული ყოფილიყო.

კარგა სიჩუმის შემდეგ მარკონე ადგა და ჩიბუხი გვერდზე გადაღო.

— საღამოს დაებრუნდები, — სთქვა იმან. მარტინმა შეაჩერა:

— ნუ წახვალო ჯერ, სათქმელი რამ მაქვს თქვენთან. უფრო დაუმდაბლა ხმას და ჰქითხა თითქმის ჩურჩულით:

— ნუ თუ აღარაფერი იმედი აღარ არის?

— რაღა იმედი შეიძლება? ცდა ხელმეორედ გაპარვისათვის ხომ მოუფიქრებელია. თითონ რომ კიდევაც შეეძლოს მოქმედება, მაშინაც კი ვეღარას ვუშველიდით. მცველები ყველა გამოსუვალეს, რადგან ეჭვი აიღეს იმათზე. კრიჭინას არაფერი მოხმარება ეხლა აღარ შეეძლება.

— და როგორა გვითხოთ, — უცებ ჰყითხა მარტინშა, — როცა მორჩება რიგარესსი, არ შეიძლება როგორმე ისე მოვა-სერხოთ, მცველების ყურადღება მოვაშოროთ და იმ დროს როგორმე გავაპაროთ?

— რა გინდათ მაგით სთქვათ.

— აი, რა მოვიფიქრე. იესო ქრისტეს დღესასწაულზე, რო-ცა მოელი საზოგადოება ლიტანით მსვლელობას შეუდგება და ციხეს გვერდით აუვლის, იმ დროს, რომ მე გუბერნატორს მი-ვუახლოვდე და პირდაპირ სახეში დამბახა დავსცე, მაშინ ხომ ყველა მცველები გამოცვითან ციხითან და მიეხევიან გუბერ-ნატორს. ამ არეულობის დროს შეგვეძლება კრაზანა გავანთავი-სუფლოთ. რასაკვირველია, ეს კარგად მოფიქრებული გეგმა არ იყო, არამედ უცირივ თავში მოსული ფიქრი.

— არა მგონია, რომ ამის მოხერხება შეიძლებოდეს. — უპასუხა მარკონე შეწუხებულის სახით. რასაკვირველია, კარგად მოფიქრებაა საჭირო, თუ რა გამოვა ამით, მაგრამ....

ის შეჩერდა და შეხედა მარტინს:

— რომ შესაძლოც იყოს, შენ მოიმოქმედებდი ამას?

მარტინი ყოველთვის თავ-დაჭრილი კაცი იყო, მაგრამ ეხლა სულ სხვა დრო იყო. შეხედა კონტრაბანდისტს პირდა-პირ სახეში და უთხრა:

— მოვიმოქმედებდი? შეხედეთ იმას.

აღარიაფრის ახსნა საჭირო აღარ იყო. ამით ყველაფერი ით-ქვა. მარკონე მიბრუნდა და გაიხედა იქით, საირაც გემმა იჯდა. იმათ ლაპარაკის დროს გემმა არ იძროდა. სახეზე არც ეჭვი, და არც გაოცებულობა, მწუხარებაც კი არ ემნეოდა. იმის სახეზე იკა გამოხატული მხოლოდ სიკედილი. კონტრაბანდისტს თვალები ცრემლით აევსო, როცა იმას შეხედა.

— ჩქარა მიკელლე, — უთხრა იმან, როცა კარი გააღო და გაიხედა. ორნი მუშაობთ და ნუთუ ჯერ ვერ გაათავეთ? ბევ-რი საქმეა კიდევ.

მიკელლე შემოვიდა ჯინოსთან ერთად.

— მზადა ვარ,— სთქვა იმან,— მხოლოდ უნდა სინიორასათვის მექითხნა... — უნდოდა მიახლოვებოდა გეშმას, მაგრამ მარტინმა სახე ცოჩე წავლო ხელი.

— ნუ შეუშლით ხელს. ნუ შეაწუხებთ.

— თავი დაანებეთ, — დასძინა მარკონემ. სულ ერთია, ჩვენის ჩარევით ვერას ვუშველით. ჩეენთვის ყველასათვის სამძიმოა, მაგრამ მაგ საწყლისათვის უფრო გამოუთქმელი მწუხარებაა.

▼

ერთი კვირის განმავლობაში კრაზანა საშინელს მდგომარეობაში იმყოფებოდა. სნეულებამ მძლავრად მოუარა და გუბერნატორმა შიშისა და მოულოდნელობისაგან გააფორებულმა ბრძანა, არამც თუ ხელფეხი შეებოჭათ იმისთვის, არამედ თვით საწოლზე დაებათ თასმებით, რომ ყოველ განძრევაზე თასმები სხეულში ჩასჭეროდა. ექვსი დღის განმავლობაში კრაზანა გაბოროტებული ჯიუტად ითმენდა. შემდევ კი მოთმინება იმისი შეირყა და დაუწყო თხოვნა საპყრიბილის ექიმს, რომ ოპიუმი დაენიშნა იმისთვის. ექიმი დასთანხმდა, მაგრამ გუბერნატორმა მკაცრად აღუკრძალა „ყველა ამნაირი სისულელე“.

— არ იცით რისთვის უნდა იმას ოპიუმი? — ეუბნებოდა ის ექიმს. — ადვილი შესაძლებელია, სულაც თვალმაქცობდეს და ოპიუმი იმისთვის სჭირდებოდეს, რომ დაათროს ვინმე მცველთაგანი. ან და ეინ იცის კიდევ რამდენ ეშმაკობას ფიქრობს. რიგარესსისაგან ყოველივე მოსალოდნელია.

— ერთხელ მისაღები ოპიუმი რომ მივცე, არა მგოანი ამან შეიძლოს დარაჯის დათრობა — მიუგო ექიმმა და სიცილს ძლიერ იმაგრებდა. და რაც შეეხება იმას, რომ იგი იგონებს ავადმყოფობას და თვალობაქცობს, მაგაზე ნუ შიშობთ. ის ძალიან ახლოა სიკედილთან.

— ყოველ შემთხვევაში, არა ვარ თანხმა იმას ოპიუმი აძლიოთ. თუ კაცს სურს, რომ კარგად ეპყრობოდნენ, თითონაც უნდა შესაფერად იქცეოდეს. და რივარესს კი სასჯელის

მეტი არა დაუშისახურებია-რა. შემდეგში გაფრთხილდება და სარკმლის მავთულებს აღარ დაუწყებს ქლიბვას.

— კანონი არ ამბობს, რომ სტანჯოთ პატიმარნი,—გადასწყვიტა ექიმმა წინააღმდეგობა გაეწია,—და ეს თითქმის რომ ერთი და იგივეა.

— კანონი, მე მგონი არას ამბობს ოპიუმის შესახებ,—უპასუხა გზბერნატორმა ბურდლუნით.

— რასაკეირველია, ამ საქმის გარდაწყვეტა თქვენი საქმეა, პოლკოვნიკო. იმედია იმას მაინც უბრძანებთ, რომ თასმები შესხნან. რადგან სრულიად მეტია. მხოლოდ ტკივილებს უორკეცებენ, გაქცევის შიში აღარ არის. კიდეც რომ გაანთავისუფლოთ, ის ფეხზე დფომასაც ვეღარ შესძლებს.

— მგონი შესაძლოა, რომ ექიმიც ავრევე შესცდეს, როგორც ყველა სიკვდილის შვილი. ყოველ შემთხვევაში, როცა თასმებით დაბმული შეგულება დაიმედებული ვარ, რომ ვერ გაიძიება და აიტომ არცა ეფიქრობ არაფრის შეცვლას.

— ყოველ შემთხვევაში, უბრძანეთ მოადუნონ მაინც თასმები. ნამდეილი ბარბაროსობაა ამ გეარად იმისი დასჯა.

— იგრე შებოჭვილი დარჩება, როგორც არის, და მადლობელი ვიქნები თქვენი, ბატონო, თუ ბარბაროსობაზე ლაპარაკს თავს გაანებებთ. უთუოდ მაქს პატივსადები მიზეზები. რომ ასე ვმოქმედობ.

მეზვიდე ლამემაც ისე განვლო, რომ კრაზანამ ვერ ნახა შვება. მცველი, რომელიც მთელი ლამე საპყრობილის კარგთან იდგა და ესმოდა იმისი გულის გამგმრავი კვნესა, პირჯვარს იწერდა შეძრწუნებული. კრაზანამ სრულიად დაჰკარგა მოამინება. დილის ექს საათზე, როცა უნდა შეეცვალათ დარაჯი, იმან შეაღო ჩუმათ კარი და შევიდა კრაზანასთან. იცოდა, რომ წესრიგს არღვევდა, მაგრამ ისე ვერ შესძლო წასელა, რომ თანაგრძნობა არ გამოეცხადებინა, მეგობრული რამ სიტყვა არ ეთქვა რივარესსისთვის. კრაზანა დახვდა დამშვიდებულიდ მწოლარე, თვალებ დახუჭული და ოდნავ ტუჩებ-გაღე-



ბული. მცირე ხანს გაჩუმებული იდგა. მერე დაიხარი და ჰყითხა:

— არაურით შემიძლიან მოგეხმაროთ? მხოლოდ ერთი წუთი-და მაქვს დრო.

კრაზანამ თვალი გაახილა.

— თავი დამანებეთ, — კვნესით წამოიღაპარაკა იმან, — დამანებეთ თავი.

მანამ მცველი გამობრუნდებოდა, იმას უკვე ჩაეძინა.

ათი დღის შემდეგ გუბერნატორი ხელახლად წავიდა სასახლეში, მაგრამ კარდინალი იქ არ დახვდა, წასულიყო ავადმყოფის სანახავად პიევო-ოტტავოში და უნდა დაბრუნებულიყო რამდენსამე საათის შემდეგ. იმ დღესვე, საღამოს, როცა გუბერნატორი სადილის შირთმევას ეპირებოდა, შემოვიდა მსახური და მოახსენა:

— მათ უსამლვდელოესობას თქვენი ნახვა სურს.

გუბერნატორმა საჩქაროდ ჩაიხდა სარკეში, მიიღო ლირ-სეული შეხედულება და გაემართა სასტუმროსაკენ. მონტანელი იქ იჯდა და სარკმლიდან გაიცეირებოდა. შუბლზე ფართვნაოჭი ამხილებდა, რომ რაღასაც სწუხდა.

— დღეს ჩემთან ყოფილხართ — გააწყვეტინა გუბერნატორს წარმოაქმული რამოდენიმე ზრდილობიანი სიტყვა, მტკიცებით, რომლითაც არასოდეს არ ელაპარაკებოდა მდაბიო ხალხს. ალბად გესაჭიროებოდით საქმეზე, რომელზედაც თვით მე მსურდა მოლაპარაკება თქვენთან.

— ჩემი საქმე შეეხება რიგარესს, თქვენო უსამლვდელოესობავ.

— წინადევ მივხვდი. ბევრსა ვფიქრობდი ამ უკანასკნელ კეირაში რიგარესსზე, მაგრამ მანამ ამაზე ლაპარაკს დავიწყებდეთ, მინდა ვიცოდე თქვენ რას მეტყოდით ახალს.

გუბერნატორმა დაიწყო ულვაშების გრეხა იჭვნეულის სახით.

— მე ის მინდოდა გამეგო, თუ თქვენი უსამლვდელოესობა რას მეტყოდა. თუ კიდევ წინააღმდეგი ბრძანდებით ჩემი გე-

გმის შესრულებისა, დიდი მადლობელი ვიქტორი რჩება მოგეცათ ჩემთვის ამ საქმის შესახებ, იმიტომ, რომ, სწორე მოგახსენოთ, არ ვიცი ქალი როგორ მოვიქცე.

— განა აღმოჩნდა კიდევ რაიმე ახალი სიძნელე?

— მხოლოდ ის, რომ ხუთშაბათს, სამ ივნისს, დღესასწაულია იქსო ქრისტეს სხეულისა და საჭიროა ეს საქმე წინადვე გადასწყდეს რითიმე.

— ხუთშაბათს დღესასწაულია, მართალია, მაგრამ რად უნდა გადასწყდეს საქმე, მაინც და მაინც წინედ.

— ვწერ გარ, თქვენო უსამღვდელოებისავ, რომ ისე გამოდის, თითქო მე წინააღმდეგობას გიწევთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ვერა ვარ დარწმუნებული ქალაქის მშვიდობა-ნობაზე, თუ წინადვე არ განვითავისუფლეთ თავი რივარესსისაგან.

ამ დღესასწაულზე ყველა მოის მცხოვრებნი აქ გროვდებიან, როგორც თქვენს უსამღვდელოების მოეხსენები. და ეჭვი არ არის ეცდებიან შეიპარონ როგორმე ციხეში და გაანთავისუფლონ რივარესსი. ვეცდები იმათ ეს ვერ მოახერხონ, მაგრამ არეულობა რომ მოხდება, ამაში ეჭვი არ არის. რომანის მცხოვრებნი ფიცხი ხალხნი არიან და როგორც კი წაივლებენ დანებზე ხელს...

— მდონი, რომ თუ ეცდებით, შეიძლებთ საქმე დანებამდის არ მიიყვანოთ. ყოველთვის ვფიქრობთ, რომ იქაურ მცხოვრებლებთან შესაძლოა ადვილად მორიგება, თუ გონივრულად მოვეცყრობით. რასაკვირველია, მუქარას როცა დაუწყებენ რომანელებს, ისინი მოუთმენელნი ხდებიან. მაგრამ, რა მიზები გაქვთ ფიქრობდეთ, ეითომც ცდილობენ ხელახლავ რივარესსის განთავისუფლებას?

— დღეს გავიგე ჩემი ჯაშუშებისაგან, რომ რაღასაც ეპირებიან. დაწერილებით გაგება არაფრის შეიძლება, გასაფრთხოლებელ ზომებს რომ ვიხმარდეთ, ეს კი ადეილია. რაც უშემებება მე, უკანასკნელ შემთხვევის შემდეგ საჭიროდ მიმაჩნია, რაც შეიძლება, სიფრთხილით ვიყვნეთ. ამნაირ ხრიკებიან მე-

ლიასაგან, როგორც რივარესსია, ყველაფერს უნდა მოველოდეთ.

— მე კი ასე შევიტყე, რომ რივარესსი ამ ბოლო ხანში ძალიან ავად იყო. მაშ ეხლა უკედ არის?

— მეონი ეხლა ბევრად უკედ არის, თქვენო უსამღვდელოესობავ. რასაკვირველია, ძალიან ავად კი იყო, თუ არ იყონებდა.

— თქვენ ეგ შესაძლოდ მიგაჩნიათ, რომ იგონებდა?

— ექიმი დარწმუნებულია, რომ ავადმყოფობა იმისი ნამდვილია, მაგრამ რაღაც უცნაური კია. ყოველ შემთხვევაში, ეხლა უკეთობა ეტყობა ვიდრე წინად, ეხლა უფრო ძნელდება იმასთან მორიგება.

— რასა სჩადის ამისთანას?

— არაფერს, საბედნიეროდ ეხლა ველარას შეიძლებს, — მიუგო გუბერნატორმა ლიმილით, როდესაც გაახსენდა თასმები. მაგრამ საქციელი იმის გამოუთქმელია. გუშინ დილას მიველ იმასთან, რომ რამოდენიმე კითხვა მიმეცა, ჯერ ვერ არის კარგად, რომ თითონ შეიძლოს ჩემთან მოსვლა, გარდა ამისა, მეონი არც საჭიროა ნახოს ვინშემ, მანამ მორჩიბოდეს, თორემ ყოველთვის იციან რაიმე სისულელის გამოგონება.

— მაშ თქვენ იმასთან საპყრობილები მიხვედით გამოკითხებისათვის?

— დიახ, თქვენო უსამღვდელოესობავ, დაიმედებული ვიყავ, რომ ეხლა მაინც ადვილი იქმნებოდა იმასთან მოღაპირება.

მონტანელლიმ ზიტლით შეხედა, თითქო იმის წინაშე იდგა რაღაც საზიზღარი, უკრძნობელი პირუტყვი. თუმცა საბედნიეროდ, გუბერნატორი ხმლის სწორებაში იყო გართული და ვერა შეამჩნია-რა. იგი მშვიდად განაგრძობდა:

— დიდი საჯელი არა მომიგონებია-რა, მაგრამ უნდა კი ცოტა მკაცრად მოვქცეოდი, — ეს ხომ სამხედრო საპყრობილება. ვიფიქრე, ეგება ამან სასიკეთოდ იმოქმედოს. მეთქი იმაზე და ვუთხარი, შევამსუბუქებ სასჯელს თუ გონივრულად მოიქ-

ქრიზისი

ცევი-მეთქი და რა გვონიათ, თქვენი უსამღვდელოესობავ, რა მიპასუხა? ჯერ ერთ წუთს გაჩუმებულმა მიცეირა, როგორც გალიაში დაწყედებულმა მგელმა და შემდეგ ჩუმად მითხრა:

— „პოლკოვნიკო, არ შემიძლია წამოვდგე და დაგახრჩო, მაგრამ კბილები კი ჯერ ისევ კარგი მაქვს. ამიტომ სჯობს მოშორებით დაიჭიროთ თქვენი კისერი“. ბუნება მას ველური კატისა აქვს.

— ეგ არ მაკვირვებს,—უპასუხა მშეიღობიანად მონტანელლიმ,—მაგრამ მსურდა მომეცა თქვენთვის ერთი კითხვა: ნუ თუ მართლა ჰფიქრობთ, რომ რიგარესასის საპყრობილები ყოფნა შეუშლის ხელს ქალაქის მშეიღობიანობას?

— დარწმუნებული ვარ, თქვენი უსამღვდელოესობავ.

— ფიქრობთ, რომ სისხლის ასაცდენად, უეჭველად საჭიროა დღესასწაულამდის გარდაწყვეტა საქმისა.

— შემიძლიან მხოლოდ გაგიმეოროთ, რომ თუ ის აქ იქმნება დღესასწაულ დღეს, ის დღე უცემრადა და უჩხუბრად არ ჩაივლის და ვფიქრობ, რომ ეს სახუმარო საქმე არ არის.

— და ფიქრობთ, თუ ის აქ აღარ იქმნება, ამით საშიროება აგვცდება, არეულობა აღარ მოხდება?

— იმ შემთხვევაში ან უწესოება არა მოხდება რა ან და მარტო ქვების სროლით ჩაიელის. თუ თქვენი უსამღვდელოესობა შეიძლებს რიგარესსისაგან განგვათავისუფლოს, მშეიღობიანობის დაცვას ჩემს თავზე ვიღებ. წინააღმდევ შემთხვევაში, მოველი სერიოზულ არეულობას. დარწმუნებული ვარ, რომ აპირობენ ხელახლავ სცადონ რიგარესსის გაბარება და მოსალოდნელია, რომ დღესასწაულ დღეს შეასრულონ ეს. და თუ ისე მოვახერხეთ, რომ იმ დღეს რიგარესსი ციხეში არ აღმოჩნდა, გეგმა იმისი მეგობრებისა თავის თავად დაირღვევა. და აღარა იქმნება-რა მიხეზი ცემისა. მაგრამ თუ ჩხუბი მოხდა და დანებზე მიდგა საქმე, ეს აუარებელი ხალხი, უკვი არ არის, ციხეს ცეცხლს წაუკიდებს ღამე.

— მაშ რატომ რავენნაში არ გავგზავნით?

— მაგას სულითა და გულით ვისურვებდი, მაგრამ როგორ მოვახერხებთ, რომ გზიდან არ გაანთავისუფლონ იგი.

— მაშ თქვენ ისევ სამხედრო სასჯელს ითხოვთ და ჩემთანხმობას ელით?

— მომიტევეთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, გთხოვთ მხოლოდ დახმარებას, რომ აეიციდინოთ არეულობა და სისხლის ღვრა. მე თანახმა ვარ, რომ სამხედრო ტრიბუნალები, რომლებიც პოლკოვნიკ ფრედის დროს იყვნენ, საშინელის სიმკაცრით სჯიდნენ დამნაშავეთ. დამშვიდების მაგიერ, უფრო აღელვებდნენ მცხოვრებლებს; მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში სამხედრო სამსჯავრო სამსახურს გაგვიწევდა: იგი აგვაცილებდა აჯანყებას,— გუბერნატორმა დაათავა თავისი მცირე სიტყვა დიდის კრამის მიმდევ კარდინალმა მისცა სრულიად მოულოდნელი კითხვა, რასაც გუბერნატორი სრულიად არ მოელოდა:

— პოლკოვნიკო ფერხარი, თქვენ გრწამთ ღმერთი?

— თქვენო უსამღვდელოესობავ! — გაოცებულის ხმით წამოიბურტუტა გუბერნატორმა.

— გრწამთ ღმერთი? — გაუმეორა კითხვა მონტანელლიმ, წამოდგა და გამომცდელის თვალებით შეხედა. — პოლკოვნიკიც ადგა.

— თქვენო უსამღვდელოესობავ, მე ქრისტიანი ვარ და არც უარი უთქვავთ ჩიარებაზე.

მონტანელლიმ აიღო ხელში ჯვარი, რომელიც გულზე ეყიდა.

— მაშ დაიფიცეთ იქსო ქრისტეს ჯვარცმის სახელით, რომელიც ეწამა ჩვენთვის, რომ თქვენ რაც მითხარით, მართალია.

პოლკოვნიკი იდგა გაჩუმებული და გაბნეულად უცქეროდა ჯვარცმას. ვერ გადეშვირა, თუ რომელი შესცდა ჭიაზე მათში, თითონ თუ კარდინალი.

— თქვენა მთხოვდით, — განაგრძო მონტანელლიმ, — მომეცა თანხმობა კაცის სიკვდილზე, ენთხვიეთ ამ ჯვარს, თუ გაპბედავთ და მითხარით, რომ გარდა ამისა მართლა ვერა ხედავთ

შეტ საშუალებას სისხლის ასაცილებლად. და გახსოვდეთ, თუ სთქვით სიცრუეე, ამით დაპლუპავთ თქვენს უკვდავ სულს. მცი-რე სიჩუმის შემდეგ, გუბერნატორი დაიხარა და ჯვარს ენთხვია.

— მე მრწამს ეს,— სთქვა იმან.

— მოგცემთ გარდაწყვეტილ პასუხს ხვალ, მაგრამ ჯერ უნდა რივარესი ვინახულო, იმასთან ცალკე მოვილაპარაკო.

— თქვენი უსამღვდელოესობავ, თუ ნებას მომცემთ რჩე-უას მოგცემთ... დარწმუნებული ვარ ინანებთ... გუშინ ჩემთვის ეთხოვნა, მიმეცა ნება, ენახეთ თქვენ, მაგრამ მე უპასუხოდ დავსტოვე, ამიტომ რომ...

— უპასუხოდ დასტოვეთ? — გაიმეორა მონტანელლიმ. — კაც-მა მაგნაირ მდგომარეობაში მყოფმა თხოვნით მოგმართათ და თქვენ უყურადლებოდ დასტოვეთ?

— დიდად ვწევბარ, რომ თქვენი უსამღვდელოესობა უკ-შაყოფილო ბრძანდება ჩემზე, მაგრამ ჩე მხოლოდ შეწუხება არ მინდოდა თქვენი. კარგად ვიცნობ რივარეს, იმას მხოლოდ სურს თქვენ შეურაცხყობა მოგაყენოთ. ნება მიბოძეთ გავი-მეოროთ, რომ ძალიან გაუფრთხილებლობა იქმნება, რომ იმას-თან ახლოს მიხეიდეთ. ის იმდენად საშიშარია, რომ მე გასაფ-რთხოლებელი ზომებიც მივიღე, რასაკვირველია, არა ნამეტანი სასტიკი თვისებისა.

— ნამდევილ საშიშროებათ მიგაჩნიათ უიარალო კაცთან, ისიც ავადმყოფთან, ახლოს მისვლა? მეტადრე თუ საფრთხილო ზო-მებიც მიღებულია არა ნაბეტანი სასტიკი თვისებისა?

მონტანელლი დამშვიდებით ლაპარაკობდა, მაგრამ პოლკოვ-ნიკი ჰერძნობდა ზიზღს თვისაღმი იმის მშვიდობიან ლაპარაკში, და გაწითლდა სიბრაზისაგან.

— თქვენი ნება, მოიქცეთ როგორც გსურთ, თქვენი უსამ-ღვდელოესობავ, — უთხრა პოლკოვნიკმა რაც შეიძლება ცერე-მონიის კილოთი. — მე მხოლოდ მინდოდა ამეცლინეთ თქვენ უსიამოენებას და არ მოგესმინათ იმ კაცის საშინელი წყევლა კრულვა.

— რა უფრო მიგაჩნიათ სამძიმოდ ქრისტიანისათვის: მოს-მენა წყევლა-კრულვისა, თუ დატოვება მოძმისა უკანასკნელ მდგომარეობაში?

გუბერნატორი იდგა გაშეშებულის სახით. მონტანელლი-საგან თავს შეურაცხყოფილად სთვლიდა, და ამას იმით იმჩნევდა, რომ არა-ჩვეულებრივის ციფის კილოთი უპასუხებდა.

— როდის სურს თქვენს უსამღვდელოესობას ნახვა პატი-მარისა.

— ეხლავ წავალ იმასთან.

— როგორც თქვენ უსამღვდელოესობას ენებოს, მხო-ლოდ, — იმან საჩქაროდ შესცვალა ცერემონიის კილო, — თუ ცოტა ხანს მოითმენთ, გავვზავნი კაცს, რომ შეატყობინონ. — იმას შეეშინდა, რომ არ ენახა მონტანელლს რიგარესსი თასმე-ბით საწოლზე დაკრული.

— გმაღლობთ, ვამჯობინებ მარტო ეინახულო. არავითარი შეტყობინება საჭირო არ არის. ეხლავ პირდაპირ ციხეში მივ-დიდარ. ლამე მშეიღობისა, პოლკოვნიკო. პასუხს ხვალ დილით მიიღებთ.

VI

კრაზანას მოესმა, რომ კარებს აღებენ და თეალები და-ხუჭა მოქანცულის გულგრილობით. ეგონა გუბერნატორი მო-დიოდა, რომ დაეტანჯა კიდევ გამოკითხვებით. რამოდენიმე ჯარის-კაცნი მოდიოდნენ ვიწრო კიბეზე, იმათი თოფის კონ-დახები ხვდებოდა კედელს და ბოლოს მოისმა ხმაც:

— ექ ვიწროობაა, თქვენო უსამღვდელოესობავ.

კრაზანამ უეცრივ წამოხტომა დაპირა, მაგრამ მჭიდროდ დაბმულმა თასმებმა იგი არ აუშვეს და ისევ დავარდა საწოლ-ზე. მონტანელლი შევიდა სერეანტისა და სამი მცვლის თანახ-ლებით.

— კეთილ ინებეთ და მოითმინეთ ერთ წუთს, თქვენო უსამღვდელოესობავ, — მოახსენა სერეანტმა ხმის კანკალით, — ეხლავ სავარძელს მოგარომევენ. მოგვიტევეთ, თქვენო უსამღ-დელოესობავ, თუ წინად გვცადნოდა, რომ მობრძანდებოდით, მომზადებული ვიქნებოდით.

— არაფერი მომზადება საჭირო არ არის. გთხოვთ მარტო დაგტოვოთ, სერეანტო, და ოქვენც მცველებო, კიბეზე მოიცავეთ.

— ბატონი ბრძანდებით, ოქვენო უსამღვდელოესობავ, აი საეარძელიც დავდგით საწოლთან?

კრაზანა იწვა თვალ-დახუჭული, მაგრამ ჰერქობდა, რომ მონტანელლი დასცემოდა იმას.

— მგონი სძინავს, — სთქვა სერეანტმა, — მაგრამ კრაზანამ აახილა თვალები, — არა, — წარმოსთქვა მან.

როცა დაპირეს მცველებმა გასვლა, უეცრად შეჩერდნენ მონტანელლის გაოცებულ დაყვირებაზე. მიიხედეს და დაინახეს, რომ მონტანელლი დახრილი თასმებს ათვალიერებდა.

— ვინ მოგვათ ამის ნება? — იკითხა მონტანელლიმ. — სერეანტი შეშფოთებული ქუდს ხელში ატრიალებდა.

— ეს თვით გუბერნატორის ბრძანებით იქმნა შესრულებული.

— მე არა ვიცოდი-რა თასმებზე, სინიორ რიგარესს, — უთხრა მონტანელლიმ კრაზანას, ღრმა შეწუხებულის კილოთი.

— ხომ მოგახსენეთ, ოქვენო უსამღვდელოესობავ, — მიუგო კრაზანამ მკაცრის დაცინვით, — მე არაოდეს არ ველოდი, რომ თავზე ხელს გადამისვამდნენ.

— სერეანტო, როდის აქეთია რაც შებოჭვილი?

— იმ დღიდან, რაც გაიქცა და ხელ-ახლავ დაპატიმრეს.

— ესე იგი, ორი კვირა? მოიტანეთ დანა და ეხლავ შეხენით.

— მომიტევეთ თქვენო უსამღვდელოესობავ, ექიმსაც უნდოდა შეეხსნა, მაგრამ პოლკოვნიკმა ფერრარმა ნება არ მოგვცა.

— მოიტანეთ ეხლავ დანა!

მონტანელლს ხმა არ აუმალებია, მაგრამ მცველები ხედავდნენ, რომ მათი უსამღვდელოესობა გაფირდა მრისხანებისაგან, სერეანტმა, უფროსმა მცველმა, ამოიღო ჯიბიდან დასკუჭი დანა და დაიხარა, რომ გაეჭრა თასმა, რომლითაც კრა-

ზანას ხელები ჰქონდა შებოჭვილი, მაგრამ უხერხულობისაგან უფრო გაუჭირა ნასკვი და კრაზანამ უნებურად შეჭირდა.

მონტანელლი საჩქაროდ მიიღიდა საწოლთან.

— თქვენ არ იცით, როგორ გასჭრათ, მომეცით დანა.

— ა-ა-ა! — კრაზანამ გასჭიმა ხელები, როდესაც იგრძნო, რომ თასმა მოეშვა. შვება იგრძნო და ლრმად და თავისუფლად ამოისუნოთქა.

მონტანელლიმ სისწრაფით გასჭრა თასმა, რომელიც მეორე ხელზე და ფეხზე ება.

— შეხსენით ბორკილი, სერგანტო, მერე აქ მოდით, მინდა მოგელაპარაკოთ. ის კი იდგა სარკმელთან გაჩუმებული. სერგანტმა ასენა ბორკილი და მივიდა კარდინალთან.

— ეხლა მითხარით ყოველივე, რაც აქა ხდება.

სერგანტმა დაუფარავად უამბო კრაზანას ავალყოფობაზე და ექიმის სურვილზე, რომელიც ცდილობდა კრაზანას მიმხრობოდა. — მაგრამ მგონია, თქვენო უსამღვდელოესობავ, — დაუმარტა იმან, — პოლკოვნიკმა იხმარა თასმა იმისთვის, რომ ჩამოდენიმე ჩვენება.

— ჩვენება?

— დიალ, თქვენო უსამღვდელოესობავ. ამ სამი დღის წინად გავიგონე, რომ პოლკოვნიკი ჰქილდებოდა ბორკილის ახსნას, თუ ის, — სერგანტმა გადაპირდა კრაზანას, — პასუხს მისცემდა ერთ კითხვაზე.

მონტანელლიმ შეკუმშული ხელი მძლავრად დაპირა სარკმლის ფიცარს. მცველებმა გაოცებით და შეკრთომით გადაშეგეს ერთმანერთს. არასოდეს არ ენახათ მშვიდი კარდინალი ასეთი მრისხანე. რაც შეეხება კრაზანას, იმას სრულიად გადაუიწყდა იმათი არსებობა. გადაავიწყდა ყოველივე, მხოლოდ იმასდა ჰერმანბდა, რომ ფიზიკურ ტკივილებისაგან განთავისუფლდა. მოეშვა ყოველი სახსარი და ეხლა იზმორებოდა, ტრიალებდა. თავისუფლად და სიამოვნებდა.

— შეგიძლიათ წახვიდეთ, სერგანტო, — უთხრა კარდინალი. — ნუ სწუხართ იმისთვის, რომ წეს-რიგი დაარღვიეთ. — თქვე-

ნი ვალი იყო გეპასუხნათ ჩემს კითხვებზე. აქ ხელს ნურავინ შევიშლის, მე თვითონ გამოვალ, როცა შევასრულებ ჩემს საქმეს.

მცველნი გავიდნენ და გაიხურეს კარი. მონტანელლი და-
ეყრდნო სარკმელს და დაუწყო ცქერა ჩამიგალ მზეს, რომ დრო
მიეცა კრაზანასათვის მოსვენებულიყო.

— შევიტყე, რომ ჩემთან მოლაპარაკება გისურვებიათ,—
მონტანელლი მოსცილდა სარკმელს და დაჯდა კრაზანას სა-
წოლის ახლოს.—თუ ჰერძნობთ, რომ შევიძლიანთ მითხრათ
ეხლა ის, რის თქმაც გინდოდათ, მზად ვარ მოგისმინოთ.

მონტანელლი ცერემონიის კილოთი ლაპარაკობდა, რაი-
ცა სრულებით არ მიაგავდა იმის ჩვეულებრივ ლაპარაკს. მა-
ნამ ბორკილს შეხსილნენ, მონტანელლისათვის ის იყო მხო-
ლოდ ტანჯული, მსხვერპლი უსამართლო სიმეაცრისა, მაგრამ
ეხლა გაახსენდა უკანასკნელი შეხვედრა და საშინელი დაცინვა
მისი.

კრაზანამ აიხედა და დაუდევნელად დაცურდნო თავი ხელ-
ზე. იმას მინაჭებული ჰქონდა ის თვისება, რომ იცოდა გრაცი-
ით საესე პოზის მიღება. და ეხლა, როცა იმის თავს ჩრდილი
ჰქონდება, ძნელი მისახვედრი იყო, თუ რამდენი რამ გარდაპე-
დოდა ცხოვრებაში, მაგრამ როცა აიხედა, ემჩნეოდა, თუ რო-
გორი გაფითრებული და დატანჯული შეიქმნა ამ უკანასკნელ
ორი კვირის განმავლობაში.

მონტანელლი უცებ მოლბა.

— თქვენ მგონი ძალიან ავად იყავით,—უახრა იმან,—
დიდად ვწუხვარ, რომ არა შემიტყვია-რა თასმების შესახებ, თო-
რემ ეს არ მოხდებოდა.

კრაზანამ მხრები აიწია.

— ომში ყოველგვარი საშუალება გამოსადეგია. თქვენი
უსამღვდელოესობა წინააღმდეგია ბორკილისა, მაგრამ არ
შეიძლება, რომ პოლკოვნიკისაგანაც მაგნაირ შეხედულებას მო-
ველოდეთ. ის, რასაცირველია, ამჯობინებდა თავის თავ-
ზე არ გამოეცა ეს,—როგორც თვით მე, მაგრამ ეს საქმე

პირად მოხერხებულობაზეა. ამ წუთს მე დამარცხებული ვაჩ, და ან რისი მომლოდინე უნდა ეყოფილიყავ. დიდი გულკეთი-ლობაა თქვენის მხრივ, რომ მობრძანდით, მაგრამ იქმნება. იმან გაიძულოთ, მოსულიყავით, რომ პატიმართა ნახვას ქრისტიანობა მოითხოვს. ახ, მართლა, ხომ დამავიწყდა: „რამდენი უყავით ერთსა ამ მცირეთაგანსა“. ჩემთვის ეს არის მაინც და მაინც პატივი, მაგრამ „ერთი მცირეთაგანი“ მაღლობელია, როგორც ჯერ არს.

— სინიორ რიგარესს,—გააწყვეტინა ლაპარაკი კარდინალმა,—მოველ აქ იმისთვის, რომ ვფიქრობდი თქვენზე და არა ჩემზე. თუ არ იყვეთ დამარცხებული, როგორც თქვენ ამბობთ, მე არასოდეს აღარ დავიწყებდით ლაპარაკს იმის შემდეგ, რაც უკანასკნელ შეხვედრის დროს მითხარით; მაგრამ თქვენ ორნაირი უპირატესობა გაქვთ, პატიმარისა და ავადმყოფისა და არ შემეძლო არ მოვსულიყავ, როდესაც თქვენ დამიბარეთ. გაქვთ ჩამ სათქმელი, თუ იმისთვის მომიწვიეთ, რომ შეურაცხ-მყოთ მოხუცი და ამით გაირთოთ თავი?

მონტანელლის სიტყვები უპასუხოდ დარჩა, კრაზანა გა-ჩუმებული გადაბრუნდა საწოლზე და თვალები დახუჭა.

— დიდად ვწუხვარ, რომ გაწუხებთ,—უთხრა იმან ბოლოს ნაწყვეტ-ნაწყვეტად,—არ შეიძლება ცოტა წყალი მომაწყოდოთ?

სურიო წყალი სარკმელთან იდგა, მონტანელლი წამოდგა და მიუტანა. როცა მოხვია ჩელი, რომ წამოეყენებინა, იმან იგრძნო უეცრად, რომ გაყინულმა კრაზანს ხელებმა მაგრად მოუჭირეს იმის ხელს.

— მომეცით თქვენი ხელი, ჩქარა,—წასჩურჩულა კრაზანამ,—თქვენთვის ხომ სულ ერთია, მხოლოდ ერთ წუთს. ის მიეყრდნო თავით მონტანელლის მხარს და მთელის სხეულითა თრთოდა.

— დალიეთ ცოტა წყალი,—უთხრა მონტანელლიმ.

კრაზანა ხმა-ამოულებლივ დასთანხმდა, მერე დაწვა და და-ხუჭა თვალები. თვით ვერ აეხსნა, თუ რა მოუვიდა, როცა მონ-ტანელლის ხელი იმის ლოყას შეეხო. მხოლოდ ის იგრძნო,

რომ არაფერი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მთელს ქვეყანაზე უსაშინელესი. მონტანელლიმ ახლო მისწია სავარძელს საწოლთან და დაჯდა. კრაზანა გაუნდრევლად იწვა, სახე იმისი დაჭიმული და უსიცოცხლო შეიქმნა. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ გაახილა თვალები და შეხედა კარდინალს ამღვრეულის თვალით.

— გმაღლობთ, — წარმოსთქვა ჩურჩულით. — უკაცრავად, მგონი რალასაც მკითხავდით.

— თქვენ ეხლა არ შეგიძლიანთ ლაპარაკი. თუ რამ სათქმელი გაქვთ, ხვალ მოვალ მაგისაოვის.

— გთხოვთ ნუ წახეალთ, თქვენო უსამღვდელოესობავ, სრულიად კარგადა ვარ. ამ ბოლო დროს ცოტა მოშლილობასა ვერძნობდი, მაგრამ ისიც ნახევრად თითქმის სინაზე იყო. პოლკოვნიკიც დაგეთანხმებათ ამაზე, თუ დაეკითხებით.

— მე ვამჯობინებ თვითვე ვამოვიკელიო.

— პოლკოვნიკიც აგრეთვე, ხანდახან ის ძალიან მ...მახვილ გონიერია. ეს ძნელი საფიქრებელია, როცა კაცი უცქერის იმას, მაგრამ სწორედ რომ იმას ხანდახან ებადება თავისებური იდეები. მაგალითად, წარსულ პარასკევს — მგონი პარასკევი იყო, — სულ ამერიკა დღეები, — მე მოესთხოვე ოპიუმი. კარგად მახსოვეს მოვიდა აქ ჩემთან და მითხრა, რომ შემძლება ოპიუმის მიღება, თუ ვეტყვი ვინ გამიღო ჭიშკარი. მახსოვეს როგორ ამბობდა: თუ მართლა ჰგრძნობთ ტკივილებს და ოპიუმი გესაჭიროებათ — დათანხმდებით, თუ არა და, ეს დამტკიცება იქმნება, რომ თქვენ იგონებთ ავადმყოფობას და სრულიად კარგად ხართო. წინედ არასოდეს არ მჩენებია, რომ ეს ასეთი გასართობია. ეს ერთი ძალიან გასართობთაგანია.

კრაზანას უეცრად აუტყდა სიცილი, მერე უცებ მოხედა გაჩუმებულ კარდინალს და დაიწყო სიჩქარით, თანაც საშინელ ენა-მოჩლუნგებით ლაპარაკი.

— თქვენ არ მ...მიგაჩნიათ გ...ასართობად? დიალაც არა. თქვენ, მორწმუნე ხალხს, არა გაქვთ გრძონობა იუ...იუმორისა. თქვენ ყველაფერს ტრაგიკულად უყურებთ, მ...აგალითად, იმ

ღამეს ეკულესიაში როგორი აღფრთოვანებული შეხედულობა გქონდათ. მართლა, როგორ პატ...ტეტიურ ფიგურას წარმოვადგენდი მე პალომნიკის როლში. არა მგონია, რომ თქვენ გესმოდეთ, რა სასაცილოა ის, რომ თქვენ აქ მოხვედით.

მონტანელლი წამოდგა. •

— მე მოველ მოგისმინოთ, რისი თქმაც გრძოლათ, მაგრამ თქვენ მგონი ძალიან აღშფოთებული ხართ და ვერ შეიძლებთ დღეს ლაპარაკს. სჯობს, რაიმე დასამშვიდებელი წამალი მოგცესთ ექიმთა და მოვილაპარაკოთ ხვალ, როცა კარგა გამოიძინებთ.

— გ...ამოვიძინებდ? ოჟ, მოვასწრებ გამოძინებას, როცა თქვენი უსამღვდელოესობა გამოაცხადებს თანხმობას პოლკოვნიკის გეგმაზე. ერთი უნცი ტყვია საუკეთესო დამაძინებელია.

— ვერ გავიგვე, რას ამბობთ,—უთხრა მონტანელლიმ და გაოცებით დააცემერდა.

კრაზანამ კიდევ გადიხარხარა.

— თქვენო უსამღვდელოესობავ, თქვენო უსამღვდელოესობაე! სიმართლე უმთავრესი ქრისტიანული სათნოებაა, ნუთუ ფ...იქრობთ, რომ მე არ ვიცი, როგორ ცდილობს პოლკოვნიკი დაგითანხმოთ თქვენ სამხედრო სასჯელზე? სჯობს დათანხმდეთ. ყველა თქვენი მოძმენი ეპკლესიისა თქვენს აღილას დათანხმდებოდნენ ამაზე. Così fan tutti; ამით სიკეთეს ბევრს მოიტანდით და ბორიოტებას კოტას. სწორედ არ ღირს ეს იმ უძილოდ გატარებულ ღამეებად, რომელნიც თქვენ ფიქრებში გაგიტარებიათ.

— თუ ღმერთი გწამთ, ერთ წუთს დაანებეთ სიცილს თავი და მითხარით, საიდან გაიგეთ თქვენ ვგ?

— განა პოლკოვნიკმა არ გითხრათ, რომ მე ეშმაკი ვარ და არა კაცი? მე კი ხშირად მეუბნებოდა ამას და მართლაც ეშმაკისაგან მაქვს მონიჭებული, რომ წინდაწინ გავიგო, თუ რას ფიქრობს ხალხი. თქვენს უსამღვდელოესობას მეტად ემძიმება ჩემი საქმე; თქვენ ისურეებდით, რომ ვინმე სხვა გადასწ-

ყველდეს ამ საქმეს და არ შეაწეხებდნენ თქვენს გრძნობიერს სვინიდისს. ხომ მიგიხვდით, თქვენი უსამღვდელოებობავ?

— გამიგონეთ, — უთხრა კარდინალმა და ისევ დაჯდა იმის ახლოს, — ეგ სულერთია, სიღდანაც უნდა შეგეტყოთ, მაგრამ სრული მართალი კი არის. პოლკოვნიკი ფერრარას შიში იქნება, რომ თქვენმა მეგობრებმა ხელისხმავ არ განიზრახონ თქვენი განთავისუფლება და ამიტომ არჩევს იიცდინოს ეს იმ საშუალებით, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ. ამას გულახდით გეუბნებით, როგორც ჰქედავთ.

— თქვენი უსამღვდელოებობა ყოველთვის განთქმული იყო სიმართლით, — ცხარეთ მიუგო კრაზანამ.

— რასაკეირეველია, იცით, რომ თუ კანონს დავეკითხებით, მე არა მაქვს უფლება საერო საქმეებში. მე ეპისკოპოსი ვარ და არა წარმომადგენელი საერო უფლებისა. მაგრამ ესარგებლობ გავლენით აქ, და პოლკოვნიკი, დარწმუნებული ვარ, ვერ გარდასწყვეტს ამნიზი ფრიად სამძიმო საქმეს, თუ მე არ დავთანხმდები დან სულ არ გამოიყები. აქამდის მე წინააღმდეგ ეკიავ იმის გეგმისა და ის კი ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ დღესასწაულ დღეს, როდესაც დაიწყება დიდებული ლიტანია, თქვენ მეგობრებთაგან არეულობა მოხდება, თქვენი გამოხსნის გამო, რაიცა სისხლის დაუღვრელად არ ჩაივლის. თქვენ მიგდებთ ყურს?

კრაზანას თითქო არ ესმისო, გაუცეიროდა სარკმლისაკენ, მერე მიაიხედა და მიუგო დაქანცულის კილოთი:

— დიალ, ყურს გიგდებთ.

— იქნება დღეს კარკად ვერა ხართ ამგვარ ლაპარაკისათვის; არა, სჯობს ხვალ მოვიდე. ეს ძალიან სერიოზული საქმეა და მოითხოვს თქვენს ყურადღებას.

— ვისურვებდი, რომ ყოველივე დღეს გათავებულიყო. მე გისმენთ რასაც ლაპარაკობთ.

— თუ ეს მართალია, — განაგრძო მონტანელლიმ, — თუ თქვენს გამო მართლა შესაძლოა არეულობა და სისხლის ღვრა, მოხდეს, მაშ მე ვიდებ წემს თავზე საშინელს მოვალეობას, რო-

დესაც პოლკოვნიკს წინააღმდეგობას ვუწევ. მგონია არის რი-
მოდენიმე სიმართლე იმაში, რასაც ის ამბობს, მეორეც ესა,
რომ ვფიქრობ, მსჯელობა მისი რამოდენიმედ დამოკიდებულია
იმის თქვენდამი სიძულვილზე. ადვილად შესაძლებელია, რომ
ის აზიადებდეს საშიშროებას. იმ დროიდან უფრო ადვილ შე-
საძლებელად მიმაჩინია, რაც ეს საზიზღარი სიმკაცრე ვნახე.

ამ სიტყვებთან ერთად იმან გადახედა თასმებს და ბორკილს,
რომელნიც ძირს ეყარა და განაცრძო:

— თუ დავთანხმდები, მე გვალვთ თქვენ, თუ უარს ვიტ-
უვი, უნდა მართალი ხალხი დაიხოცოს. ბევრს ვფიქრობდი ამ
საქმეზე და ვეძებდი სულითა და გულით საშუალებას, გამოვ-
სულიყავ ამ საშინელ შეჯახებიდან. ეხლა მიველ მტკიცე გარ-
დაწყვეტილებამდის.

— მომკლათ მე და გა...გაანთავისუფლოთ უდანაშაულო
ხალხი, რასაკირველია? ეს ერთათ-ერთი გარდაწყვეტილებაა,
სადამდინაც მხოლოდ ქრისტიან შეუძლიან მიეიდეს. „თუ მარ-
ჯვენა ხელი გაცდუნებს შენ“... და სხვა... მე არა მაქვს პატი-
ვი თქვენი უსამღვდელოესობის მარჯვენა ხელით და მოგანი-
ჭეთ კი ბორიოტება. დასკვნა ნათლად სჩინს. არ შეიძლებოდა
ისე გეთქვათ ეს ჩემთვის, რომ წინასიტყვაობით არ მოვემარ-
თნათ... კრაზანა ლაპარაკობდა დაქანცულად და გულ-გრილად,
როგორც კაცი, რომელსაც ყველა ამან თავი მოაწყინა.

— მაშ ასე,—მიუმარა სიჩუმის შემდეგ,—მივხეხდი თქვენს
გარდაწყვეტილებას, თქვენო უსამღვდელოესობავ?

— არა.

კრაზანა გადმობრუნდა, შემოიწყო ხელები თავქვეშ და
შეხედა მონტანელლს ნახევრად მოხუჭულის თეალებით. კარ-
დინალმა დახარა თავი და ლრმად ჩაფიქრდა. ხელის თითებს
სავარძელზე სცემდა.—ოჰ, ეს ძველებური ჩვეულებაა იმისი.

— მე გარდავწყვიტე,—სთქვა იმან ბოლოს და აიხედა,—
მოვიქცე ისე, როგორც არასოდეს არ მოქცეულან. როდესაც
შევიტყე, რომ თქვენ მიწვევდით მე, გარდავწყვიტე მოესუ-
ლიყავ, მეამბნა ყველაფერი და ეს საქმე თქვენთვის მომენდო.

— ჩემთვის?

— სინიორ რიგარესს, მოველ თქვენთან როგორც კარდინალი კი არა, არც ეპისკოპოსი და არც მხაჯული, არამედ როგორც კაცი კაცთან. არა გთხოვთ მითხრათ, იცით თუ არა რაიმე გეგმაზე, რომლისაც პოლკოვნიკს ეშინიან; ძალიან კარგად ვიცი, რომ თუ იცით, ეს თქვენი საიდუმლოა და არ შეგეძლებათ მითხრათ. მაგრამ ამას გთხოვთ, რომ დააყენოთ თქვენი თავი ჩემს ალაგას. მე მოხუცი ვარ, უთუოდ ბევრი აღარ დამრჩენია სიცოცხლე და ვისურვებდი საფლავში ჩავსულიყავ ისე, რომ სისხლი არ მოსცებოდა ჩემს ხელს.

— განა ჯერ არ ყოფილა სისხლი თქვენს ხელზე, თქვენი უსამღებელოებისავ?

— მონტანელლი გაფიტრდა, მაგრამ მშვიდობიანიდ განაგრძო.

— ჩემს სიცოცხლეში ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავ სიმკაცრისა, ყოველთვის მტერი ვიყავ მომაკვდინებელი სასჯელისა და ხშირად სამხედრო ზომების წინააღმდეგ ვიქცეოდი უკანისკნელ ხელმწიფობის დროს. ამის გამო ვერ ვიყავ დიდხანს წყალობაში. აქამდის მთელი ძალა, რომელიც შემწევდა, მიმართული იყო შეწყნარებისაკენ. გთხოვთ დამიჯეროთ, რომ მართალს ვამბობ. ეხლა კი ვადგევარ შემდეგ დილექმას. თუ არ ვაძლევ თანხმობას, ვაგდებ ქალაქის მშვიდობიანობას განსაკდელში, მოხდება აჯანყება და იმას კიდევ ბევრი რამ ცუდი მოჰკვება და ამას ვმოქმედობ იმ კაცის ვადარჩენისათვის, რომელიც სწყველის ჩემ სარწმუნოებას, რომელიც შეურაცხმყოფდა და და ცილს მწამებდა კერძოდ მე. თუმცა შედარებით ეს სულ უბრალოა, და რომელსაც, ამაში დარწმუნებული ვარ, მოუნდომებია მთელი თავისი სიცოცხლე სიბოროტისათვის.

მონტანელლი შეჩერდა და ისევ განაგრძო:

— სინიორ რიგარესს, რაც ვიცი თქვენი ცხოვრების შესახებ, მეჩვენება ცუდი და ბოროტ-მავნებელი. დიდხანს გთვლიდი თქვენ უსვინიდისოდ, მკაცრად, დაუნდობელ კაცად. ეხლაც რამოდენიმედ მეჩვენებით მაგგვარი, მაგრამ ამ უკანასკნელ ორი



კვირის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ თქვენ გაქვთ პატიო-სანი სული. და რომ თქვენ იცით ერთგულობა და გატანა მე-გობრობისა. შეიძლით თვისდამი სიყვარული ჩაგენერგათ მცვე-ლებისათვის, ამას ცველა ვერ მოახერხებდა. მეჩვენება შესაძლოდ, რომ ცუდებოდე თქვენ მიმართ და იყვეთ უკეთესი, ვიდრე მე მეონიხარდ, აი ამიტომ მოგმართავთ და გაფიცებთ მიპასუხოთ სვინიდისიერათ, გულწრფელად, რას მოიმოქმედებდით თქვენ ჩემს ადგილას რომ ყოფილიყავით.

ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე, კრაზანაშ შეხედა მონტა-ნელლს.

— ყოველ შემთხვევაში, გარდავწყვეტდი ჩემს ეჭვებს თეით მე და მივიღებდი ჩემსავე თავზე ჩემს მოქმედების შედეგებს, არ მივმართავდი სხვებს თხოვნით, ჩემს მაგივრად იმათ გარდავ-წყვიტათ ცხოვრების ამოცანა.

ამ ნაირი მოქცევა ისეთი მოულოდნელი, და სიბრაზე იმისი ისე შეუფერებელი იყო კრაზანას ამ ხუთი წუთის წი-ნად მშვიდობიან გულგრილ ქცევასთან, თითქო მოხაუბრებ მხოლოდ ეხლა ჩამოიხსნა რიდეო.

— ჩენ, ურწმუნო ხალსს, — განაგრძო კრაზანაშ, — გეესმის, რომ, თუ კაცს აწევს ზნეობრივე მძიმე ტვირთი, იმან უნდა ზიდოს იყი როგორც შეუძლიან და იცის, და თუ წაიფერხებს, წაიქცევა ტვირთის ქვეშ — ეს უარესია იმისთვის. მაგრამ, განა მე საკმაოდ არა მაქვს საკუთარი ჯავრი, რომ სხვებმაც მე არ ამკიდონ თავიანთი მოვალეობა!

კრაზანა შეჩერდა, სულს ძლიეს ითქვამდა, შემდეგ ისევ განაგრძო.

— და თქვენ კიდევ ლაპარაკობთ სიმკაცრეზე! ის თავცა-რიელი ვირი, მთელი წელიწადიც რომ წვალებულიყო, ვერ დამტანჯავდა ისე, როგორც თქვენ დამტანჯეთ. იმას კუუც აკლია. იმან მხოლოდ ის მოახერხა, რომ თამშები მჟიდროდ გა-მიჭირა და თუ უფლება ჩამოართვეს, სრულიად არ ეცოდინება თუ როგორ მოიქცეს. და ამას ხომ ცველა სულელი მოახერ-ხებდა. მაგრამ თქვენ: „მოაწერეთ თქვენის ხელითვე, თუ შეიძ-

ლებოდეს, თქვენი სასიკვდილო სასჯელი, მე მეტაც ჩვეული გული მაქვს“. ოჭ, უნდა კაცი ლმობიერი, გულმტკიონეული იყოს, ფითრდებოდეს ბორკილის დანახვაზე, რომ მოიფიქროს ეს, შემეძლო ეს წარმომედგინა, როცა თქვენ შემოხვდით მოწყალე ანგელოზის მზგავსად და შეძრწუნდით პოლკოვნიკის „ბარბაროსობაზე“. უნდა მცოდნოდა, რომ სწორედ მაშინ იწყებოდა ნამდვილი სასჯელი. რას მიცემერით ეგრე? მიეცით თანხმობა დააღაუც და წაბრძანდით სახლში სადილის მისართმევად. არა ლის ყველა ამაებისათვის შფოთვა. უთხარით თქვენს პოლკოვნიკს, რომ შეუძლიან დამხვრიტოს, თუნდ ჩამომარჩოს ან და შემწევას კიდეც ცოცხლად, თუ ეს უფრო საინტერესო იქნება იმისთვის. გათავდა.

კრაზანა ისე შეიცვალა, რომ ვეღარ იცნობოდა. მოთმინებიდან გამოსული, იგი ანჩელობდა, თრთოდა მთელის სხეულით, სული უგუბდებოდა და თვალთაგან ცეცხლის ნაპერწკლები გამოკრთოდა, როგორც გაცოფებულ კატას.

მონტანელლი იდგა და გაჩუმებული უცქეროდა. ვერ გაეგო აზრი კრაზანას ასეთი გააფთრებისა, მაგრამ ესმოდა კი თუ როგორი უკიდურესი აღშუოთებისაგან უნდა ყოფილიყო გამოწვეული ასეთი მრისხანება და, როცა შეიგნო ეს, იმას თვით დავიწყდა ყველა წარსული შეურაცხოფანი.

— დამშვიდდით, — უთხრა იმან, — სულაც არა მსურდა, რომ თქვენთვის შეწუხება მომეყენებია. მერწმუნეთ, არცა ვფიქრობი გადმომეცა ჩემი მძიმე ტვირთი თქვენთვის, ჩემ სიცოცხლეში არ მომიქვედია ეს.

— სიცრუვეა. — შეჰყვირა კრაზანამ ანთებულის თვალებით. — და ეპისკოპოსობა?

— ეპისკოპოსობაა?

— დიალ, დაგავიწყდათ? რა ადვილია დავიწყება, „თუ გინდა, არტურ, მივიწერები, რომ არ შემიძლიან წასვლა“. — მე უნდა წარმემართა თქვენი ცხოვრება თქვენს მაგიერ, მე ცხრამეტის წლისას. ეს რომ დიდად სამწუხარო არ იყოს, ძალიან სასაცილო იქმნებოდა.

— გაჩუმდით! — მონტანელლიმ თავზარ დაცემულმა ხელები თავში იტაცა და ნადირის მეზანესად დაიღმულია. ისევ დაუშვა ხელები დაბლა, მივიდა რკინიან სარკმელთან, დაადო ცალი ხელი რკინას და ზედ შუბლით მიყყრდნო. კრაზანა იწვა და თვალს ადევნებდა აკანკალებული. მონტანელლი ისევ გამობრუნდა გაფითრებულის ტუჩებით.

— დიდად ვწუხვარ, — სთქვა იმან და ცდილობდა ჩვეულებრივის დამშვიდებული კილოთი ელაპარაკნა. — მაგრამ უნდა წვეიდე. სულ კარგად ვერა ვარ. — როგორც ციებიანი, იგი მთელის სხეულით კანკალებდა.

კრაზანას სიანჩხლე უეცრივ ჩაქრა.

— მოძღვარო, განა ვერ ხედაეთ?

მონტანელლიმ შეძრწუნებულმა უკან დაიხია და ხმას არ იღებდა.

— მხოლოდ ეს კი არა, — წაიჩურჩულა ბოლოს, — ოხ, ღმერთო, უველაფერი, მხოლოდ ეს კი არა! თუ კუკაზე ვსცდები.

კრაზანა დაებჯინა ცალ ხელზე და წამოიწია, მეორე კი მოჰკიდა მონტანელლის აკანკალებულ ხელს.

— მოძღვარო, განა არ გესმით, რომ მე არ დავმხერჩალვარ?

მონტანელლის ხელები ყინულსავით შეიქმნა. ერთ წუთს უველაფერ სიჩუმემ მოიცვა, იმას თითქო თვალთ დაუბნელდა, დაბარბარულა, უეცრივ დაეცა მუხლებზე და პირისახე კრაზანას გულში ჩამალა.

• • • • •
 როცა აიხედა, მზე უკანასკნელად გაბრწყინებული ჩასვლას ეპირებოდა. იმათ დავიწყებოდათ დროს მნიშვნელობაც, ადგილიც, სად იმყოფებოდნენ, სიცოცხლეც და სიკვდილიც. დავიწყებოდათ ისიც, რომ მტრები იყვნენ ერთმანეთისა.

— არტურ, — ჩურჩულებდა მონტანელლი, — ნუ თუ დამიბრუნდი სიკვდილის ჯურლმულიდან?

— სიკვდილის ჯურლმულიდან,— გაიმეორა კრაზანამ კან-
კალით. იმან დასდო თავი მონტანელის მელავზე და იწვა რო-
გორც ავადმყოფი ბავშვი დედის გულზე მიყრდობილი.

— დამიბრუნდი, დამიბრუნდი ბოლოს, როგორც იქმნა.

კრაზანამ გულამოსკვნით ამოიხვნეშა.

— ჰო,— სთქვა იმან,— და თქვენ უნდა იბრძოლოთ ჩემ-
თან ერთად ან და მომკლათ მე.

— ოჲ, დაჩუმდი, ჩემო კარგო, რა საჭიროა მაგაზე ლა-
პარაკი. ჩეგნ ვიყავით ორი ზავშვი, გზა-დაბანეულნი სიბნელეში,
რომელთაც ერთმანეთი ლანდად-ლა გვეჩენებოდა. ეხლა კი
გამოვედით სინათლეზე და ვიპოვნეთ ერთმანეთი. ჩემო საწყა-
ლო ბავშო, რა რიგად შეცვლილხარ, რა საშინლად გამოცვ-
ლილხარ. თითქო ოკეანს კაცობრივ მწუხარებას გადუვლია
შენს თავზე! აღვსილი კი იყავ სიხარულითა და სიცოცხლით.
არტურ, ნუ თუ ეს შენ ხარ? ისე ხშირად მესიზმრებოდა, ვი-
თომ შენ დამიბრუნდი, გავილვიძებდი და ვხედავდი მხოლოდ
სიბნელეს და სიცარიელეს ჩემს გარშემო. ან კი რა ვიცი, რომ
ეხლაც არ გავილვიძებ და არ დავინახავ, რომ ესეც ყოვე-
ლიეც სიზმარია. მომეც ხელში რაიმე საგანი საგრძნობელი, რომ
შევეხო, დავრწმუნდე, რომ სიზმარი არ არის, მითხარ, როგორ
მოხდა ესე ყოველივე.

— ოჲ, სულ ადვილად. დაეიმალე სავაჭრო გემზე და გავ-
ჩნდი სამხრეთ-ამერიკაში.

— მერე იქ?

— იქ ცხოვრობდი... თუ შეიძლება იმას ცხოვრება ვუ-
წოდოთ, მანამ... ოო, ბევრი რამ ვნახე გარდა სასულიერო სე-
მინარისა მას აქეთ, რაც თქვენ ფილოსოფიას მასშავლიდით...
თქვენ ამბობთ, რომ სიზმარში მხედავდით, დიალ, მეც აგრეთვე
გხედავდით თქვენ.

კრაზანა შეჩერდა და გააქრეოლა.

— ერთხელ,— დაიწყო ისევ ნაწყვეტ-ნაწყვეტად,— მე ვმუ-
შაობდი მიღნებში.

— ისე ხომ არა, როგორც მაღნის მთხრელი?

— არა, მხოლოდ მზიდველიად ინდოელ ყულებთან ერთად. ჩეენ თავლა გვქონდა დასაძინებლად იქვე, მაღნების ჩასავალთან და ერთხელ ძალიან ავად ვიყავ, ამავე ავადმყოფობით, რითაც ეხლა ვარ, დამქონდა ქვები ცხელ მზიან დღეში, ალბად თავბრუ დამეტეიდა და დამე მომეჩენა, ვითომ კარი გაიღო და თქვენ შემოხვედით, ლოცულობდით და გაიარეთ ჩემს გვერდით ისე, რომ არც მომხედვეთ. გვევლრებოდი, გთხოვდი მოგეცათ ჩემთვის საწამლავი, ან დანა, რომ ჩემი თავისათვის სიცოცხლე მომესპო, ვიდრე ჭიუაზე შევსცდებოდი და თქვენ კი, ომ!...

იმან დაიფარა ცალი ხელი თვალებზე, მონტანელლი კი-დევ უჭერდა ხელს მეორე ხელზე.

— ვხედავდი თქვენს სახეზე, რომ გესმოდათ ჩემი ვედრება, მაგრამ ერთხელაც არ მობრუნდით ჩემკენ, ამიარეთ გვერდი და განაგრძობდით ლოცვას. როცა ლოცვას მორჩით, მხოლოდ მაშინ მოიხედვთ და წამჩურჩულეთ: ძალიან მეცოდები, არტურ, მაგრამ ვერა ვბედავ დაგენახო. როდესაც გამოეფხიზლდი, დავინახე საძაგელი ყულები და თავლა, მივხვდი ყოველივეს და დავისხმე; დავივიწყე მხოლოდ ეხლა, როცა თქვენი ხელის შეხება ვიგრძენ. მე ხომ ავად ვიყავ და ოდესშე ლრმად მიყვარდით თქვენ. მაგრამ ჩეენ შორის არ შეიძლება იყოს რაიმე გარდა ომისა, ომი და ომი. რად ვიჭირავთ ჩემი ხელი?

მონტანელლიმ დახარა თავი და ეამბორა კრაზანას დასახიჩებულ ხელს.

— არტურ, როგორ არ ვერწმუნო ლოცვას.

დავიცევი სარწმუნოება ჩემი ამდენ საშინელი წლების განმაელობაში, როგორ-და შევიტან ეჭვს ეხლა, როცა შენი თავი დამიბრუნა. გაიგე, ხომ მეგონა, რომ მე მოკვალი შენ.

— თქვენ კიდევ მოგიხდებათ მაგის შესრულება.

— არტურ! — მოატანელლის ხმაში შიში ისმოდა, მაგრამ კრაზანა ყურადღებას არ აქცევდა და განაგრძობდა:

— ეილაპარაკოთ პატიოსნურად, ნუ გადუხე-გადმოუხვევთ. ჩეენ ორნივ საშიშროების ნაპირზე ვდგევართ და უსარ-

ვებლოა ვცდილობდეთ ერთმანეთისათვის ხელის გაწვდენას...
და თქვენ უნდა დათანხმდეთ იმაზე, რომ პოლკოვნიკმა...

— დავთანხმდე! ღმერთო ჩემო, დავთანხმდე!... არტურ,
მე ხომ მიყვარხარ შენ.

კრაზანას სახე დაეღრიჯა.

მონტანელლი წყნარად წამოდგა. ის შიშმა მოიცვა, თით-
ქო მთლად მოიკრუნჩხა, დასუსტდა, დაბერდა, დასკრნა, რო-
გორც ფოთოლი მზისაგან. როგორც იყო გამოერკვა ძილიდან
და ეხლა კიდევ სიბნელე გამოსცეკეროდა სიცარიელის ჯურლ-
მულიდან.

— არტურ, შემიბრალე.

— თქვენ კი შემიბრალეთ მე, როცა თქვენმა სიცრუვემ
შიმიყვანა იქამდის, რომ შეეიქმენი ყმა ზანგებთა შაქრის პლან-
ტაციებში? ეხლა გაურეულებთ, გულჩეილო წმიდანო? თქვენ
ამბობთ, რომ გიყვარვართ მე. ეგ სიყვარული ძვირად დამიჯ-
და. თქვენა გვონიათ ადვილად შემიძლიან ყველაფრის დავიწ-
ყება, რამოდენიმე თქვენგან წარმოთქმულ რბილის სიტყვის
გამო? შემიძლიან დავიწყება იმისა, რომ ვიყავ მრეცხელი ავ-
კაცთა და ქურდთა ბინებისა, მეჯინიბე კრეოლკებისა და ფერ-
შერებისა, რომელნიც უარესნი არიან თვით პირუტყვებზე. და-
ვივიწყო, რომ ვიყავ მასხარად და ვატარებდი არახინს ელა-
რუნებით ცირკში, ვიყავ მორბენალი მატელორებისა ხარებთან
ბრძოლის დროს. ვიყავ ყმა ყოველი ზანგისა, რომელსაც შე-
ეძლო ფეხის კვრით ჩემი გადაგდება. მშეირი ვიყავ, ვითხოვდი
მოწყალებას, უარს მეუბნებოდნენ და მყეფარს აძლევდნენ. და
რა საჭიროა ყველა ეს, ან კი, როგორ შემიძლიან გითხრათ,
თუ რაც მიყავით თქვენ მე, და ეხლა... ეხლა გიყვარვარ
თქვენ?

კრაზანამ გადიხია ხალათი და გამოაჩინა საშინელი ჭრი-
ლობის ხაზები გულზე. ის უღონოდ დაეცა ბალიშზე.

მონტანელლი იჯდა თავზარდაცემული, ქვის ქანდაკება-
სავით. წინაპირველად კრაზანას იფეთქებულ მრისხანების დროს
ის კანკალებდა, როგორც ხმლის დაცემისაგან ძალაუნებურად

ათროთოლებული სხეული. მაგრამ ეხლა, სრულიად დამშვიდებული, გაქვავებულიყო. ხანგრძლივის სიჩუმის შემდეგ აიტანდა და დაიღაპარაკა უსიცოცხლოდ.

— არტურ, ილაპარაკე ცხადად. ისე მაშტოთებ, რომ ვრგამიგია, რას ითხოვ ჩემგან.

კრაზანამ შეხედა ველურის თვალებით.

— მე არას ვთხოულობ. შეუძლებელია ძალით სიყვარულის მოპოვება.

— არ მესმის, — გაიმეორა მონტანელლიმ ჩახლეჩილის ხმით. — როგორ შემიძლიან არჩევა. მე არ ძალ-მისს წარსულის შეცვლა.

— უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი: თუ გიყვარეართ მე, უნდა ჩემთან წამოხვიდეთ. მეგობრები თუმცა ეცდებიან ჩემს განთავისუფლებას, მაგრამ თქვენის დახმარებით უფრო ადვილად მოახერხდენ. შემდეგ, როცა სახლვარს გადავიდლით, თქვენ გმოაცხადეთ და აღიარებთ, რომ მე თქვენი შეილი ვარ. მაგრამ თუ საკმადან არ გიყვარეარ ამისთვის, რომ ეს შეისრულოთ, წაბრძანდით პოლკოვნიკოთან და გამოუცხადეთ თანხმობა. მხოლოდ ჩემია კი წადით და გამანთავისუფლეთ თქვენი ცქერის გმოდატანჯულობისაგან. ისეც მეყოფა სასჯელი.

მონტანელლიმ შეხედა აცახცახებულმა, ის ეხლა ხვდებოდა თან-და-თან.

— შემიძლიან შენ მეგობრებთან შეთანხმება, რასაკვირველია, მაგრამ შენთან წამოსვლა კი არ შემიძლიან, — მე მლედელი ვარ.

— არ ვიღებ არავითარ წყალობას მღვდლისაგან, ასარ ვნდომულობ შეთანხმებას, შერიგებას. მოძღვარო, ან უარ-ჰყავით ჩემი გულისათვის ეკკლესია, ან უარ-მყავით მე.

— როგორ შემიძლიან უარ-გყო, არტურ, როგორ შემიძლიან.

— მაშ უარ-ჰყავით ეკკლესია... უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი. გიდნათ შემოჩთავაზოთ ნახევარი სიყვარული, — ნახევარი მე და

ნახევარიც ეყკლესიას? არ ვნდომულობ წყალობას. თუ თქვენ ეყუთვნით ეყკლესიას—არ მეყუთვნით მე.

— გსურს ორად გავიპო გული? არტურ, არტურ! შენ ჰქონაზე შემშლი....

კრაზანამ მუშტად მოკუმშული ხელი კედელს დაჰკრა.

— აირჩიეთ ორში ერთი,—გაიმეორა კიდევ.

მონტანელლიმ გამოიღო პაწაწა კოლოფი, რომელიც გულა-
თან ჰქონდა შენახული და რომელშიაც იღო დახველებული
ქალალდი. გადასცა კრაზანას და უთხრა:

— დახედე ამას.

„მე გერწმუნებოდით თქვენ, როგორც ღმერთს, თქვენ კი
მომატყუეთ მე სიცრუით“.

კრაზანამ გაიცინა და დაუბრუნა ქალალდი.

— როგორი ყმაწვილნი არიან ცხრაშეტის წლისანი. ჩაქუ-
ჩით ნივთების დამსხვრევა აღვილი ჰქონიათ. ეხლა თვით მე მო-
ვჩეცი ჩაქუჩის ქვეშ.

— იქნება შენს ადგილას მეც ეგეთი დაუნდობელი ვიქნე-
ბოდი, — უთხრა მონტანელლიმ, — მაგრამ არ შემიძლიბნ შევას-
რულო ის, რასაც შენ ითხოვ, არტურ! შევასრულებ მხოლოდ
იმას, რის შესრულებაც შემიძლიან. მოგიხერხებ აქედან გაქცე-
ვას და როცა უშიშარ მდგომარეობაში იქნები, მე შემემთხვევა
რაიმე მთებში, ანდა შეცდომით მივიღებ დამით სხვა რამ და-
სალევ წამალს, როგორც ისურვებ. დაგაქმაყოფილებს ეს შენ?
ეს არის სულ, რის შესრულებაც შემიძლიან. ეს დიდი ცოდვაა,
მაგრამ ვფიქრობ, რომ ის შემინდობს მე. ის უფრო მოწყა-
ლეა.

კრაზანამ შეჰყვირა და ხელი ხელს შემოჰკრა.

— ოჲ, ეს მეტის-მეტია, მეტის-მეტი! რა მოვიქმედე ასეთი,
რომ ეყრე ფიქრობა ჩემზე? რა ნება გაქვთ, რა? განა მე შურს
ვიძიებ? გინა არ გესმით, რომ გადარჩენა მინდა თქვენი? ნუთუ
ვერაოდეს ვერ გაიგებთ, რომ მე მიყვარხართ თქვენ.—იმან წა-
ვლო ხელი მონტანელლის ხელებს, დაუწყო გაშმაგებით კო-
ცნა და თანაც ზედ ცხარე ცრემლებს აფრქვევდა.

— მოძღვარო, წამომყევით მე! მოძღვარო, ჩვენში ლვივის სიცოცხლე, სიყმაწვილე. ჩვენ — საუკუნო გაზიფხული ვართ, ჩვენშია მომავალი. მოძღვარო, განთიადი მოახლოვებულია. ნუთუ განეშორებით ამომავალ მზეს? გაიღვიძეთ, დავიგიწყოთ ყოველი-ვე ბოდვა. გაიღვიძეთ და დავიწყოთ ახალი ცხოვრება. მოძღვარო, მე ყოველთვის მიყვარდით თქეენ. ყოველთვის, მაშინაც კი, როცა მკლავდით. ნუთუ კიდევ მომკლავთ?

მონტანელლიმ სწრაფად გამოაცალა ხელი.

— უფალო შემიწყნარე! არტურ, შენ დედა-შენის თვალე-ბი გაქვს!

ხანგრძლივმა სიჩუმემ მოიცეა ორნიე და უცქეროდნენ ერთმანერთს ჩამობინდებულ, ოდნავ სინათლეში. შიშმა დაისა-დეურა იმათ გულში.

— რას მეტყვი კიდევ, — წაიჩურჩულა მონტანელლიმ, — რა იმედი-ლა მრჩება?

— არავითარი. ჩემი სიცოცხლე მჴირდება მხოლოდ იმის-თვის, რომ ეიბრძოლო კათოლიკეთა ეკკლესიის წინააღმდეგ; მე კაცი არა ვარ, არამედ დანა. თუ დამიბრუნებთ სიცოცხლეს, ამით აკურთხებთ დანას.

მონტანელლი მიბრუნდა ჯვარცმისაკენ.

— უფალო, შენ გესმის ეს....

ხმა იმისი შესწყდა წყვდიადში.

გამკიცხავმა, დამცინავმა ტარეაროზმა გაიღვიძა კრაზანა-ში და მოჰყვა ხითხითს. მონტანელლი შეკრთა, თითქო დაპკ-რესო. ერთ წუთს გაშეშებული იდგა, მერე დაეშვა საწოლის-ნაპირს, დაითარა თვალებზე ხელი და ქვითინი დაიწყო.

ხანგრძლივმა თრთოლებმ შეიპყრო კრაზანა, მთელი სხეული ნოტიო სიცივემ მოიცეა. იმან იცოდა, რას მოასწავებდა ეს ცრემლები. გადიფარა თავზე საბანი, რომ არ გაეგონა ქვითინი. ისიც კმაროდა კრაზანასათვის, რომ უნდა მომკვდარიყო. ცდილობდა, მაგრამ არ შეეძლო არ გაეგონა გულის გამგმირავი ტირილი, რომელიც ხდებოდა იმის ყურთასმენას, შემ-დეგ ტვინში სცემდა დანასავით. წონტანელლი ქვითინებდა,

ქვითინებდა და ცრემლები შეუკავებლად სდიოდა. ბოლოს გაანება ტირილს თავი, მოიწმინდა თვალები ხელსახოცით, როგორც პატარა ბავშვია. როცა წამოდგა, ხელსახოცი ჩამოუვარდა კალთიდან და იატაკზე დაეცა.

— ლაპარაკი მეტი-ლაა,—სთქვა იმან,—გაიგე?

— გავიგე, — მიუგო მორჩილებით კრაზანამ, — თქვენი ბრალი არ არის!..

მონტანელლი მობრუნდა იმისაკენ. საფლავი, რომელიც მალე უნდა მოთხრილიყო, არ იქმნებოდა ამათზე ჩუმი. უცქეროდნენ ერთმანეთს გაჩუმებულნი, როგორც ლრმად მოსიყვარულენი დაუწყებდნენ ცქერას ერთმანეთს, გამოთხოვების წინად, საზღვარს იქით-აქეთ მდგომნი, რომელზედაც არ შეიძლებოდა ნაბიჯის გადადგმა.

კრაზანა აკანკაღ და, პირველიად იმან დაუშვა დაბლა თვალები და მიიფარა ხელი. მონტანელლი მიხვდა, რომ ეს ნიშნავდა: წალი! — გაბრუნდა და გავიდა ოთახიდან. ერთ წუთს შემდეგ კრაზანა წამოხტა.

— ოჰ, არ შემიძლიან ამის ატანა! მოძლვარო, დაბრუნდით, დაბრუნდით!

კარი მიიჩურა. მონტანელლის ყურს არ სმენია ეს სიტყვები. კრაზანამ წყნარად მიიხედ-მოიხედა თავის გარშემო გაფართოვებულის თვალებით და გაიგო, რომ ყოველივე გათაეებულია.

ბალახი წყნარად რჩეოდა და შრიალებდა ეზოში, ის ბალახი, რომელიც უნდა მალე დამჭერარიყო ბარის დაკვრით, საფლავის ამოთხრისათვის. და მთელი ღამე კრაზანა იწეა მარტოდ-მარტო სიბნელეში და გულამოსკვნითა სტიროდა.

vii

სამხედრო სასამართლოს, სამშაბათს ჰქონდა სხდომა. ფორგამ გამ გოინდომა არა ოც წუთზე მეტი, ბევრი დროს დაკარგვა საჭირო არ იყო. მფარველობა და სარჩლობა არ შეიძლებო-

და. მოწმებად იყენებ მხოლოდ დაჭრილი ჯაშუში, აფიცერი და ჯარის-კაცი. განჩინება აღრევე გარდაწყვეტილი იყო. მონტანელლიმ შეუთვალა თანხმობა მსაჯულთ, რომელსაც დაუყოვნებლივ ითხოვდნენ (პოლკოვნიკი ფერარარი, ადგილობრივი დრაგუნის მაიორი და ორი აფიცერი შვეიცარიის გვარდიისა). ცოტა საქმე-და ჩჩებოდა. განჩინება ხმა-მაღლა იქმნა წაკითხული და ხელმოწერილი დამნაშმევის წინაშე. კრაზანა ისმენდა გაჩუმებული და როცა ჰკითხეს წვეულებისამებრ, აქვს თუ არა რამე სათქმელი, იმან პასუხად მხოლოდ მოუთმენელის მოძრაობით ხელი ჩივჭნია.

ხელსახოცი, რომელიც მონტტანელლის კალთიდან ჩამოუვარდა, კრაზანას გულთანა ჰქონდა შენახული. მთელი ღამე ცრემლებს აფრქვევდა ამ ხელსახოციში და თანაც ჰკოცნიდა. იმას შეხედულება ეხლა მოუძლურებული და უსიცოცხლო ჰქონდა და ცრემლების ნიშნები წამწამებზე ეტჩნებოდა. სიტყვამ „დახერეტა“ არ მოახდინა იმაზე დიდი შთაბეჭდილება. თვალები მისი მხოლოდ გაფართოვდნენ და ეს იყო.

— წაიყვანეთ ისევ თავის სადგომში, — სთქვა გუბერნატორმა, როცა ყველაფერი დასრულდა.

სერენტი მწუხარებისაგან მომაკვდაეის მზგავს სახით შეეხო მხარზე უძრავად მდგომ ფიგურას.

კრაზანა შეთრთოლდა და თვალი მიმოავლო გარშემო.

— ახ, მართლა, — წამოილაპარაკა იმან. — დამავიწყდა გუბერნატორის სახეზე თითქო სიბრალული გამოიხატა. ის არ იყო მაინცა და მაინც მყაცრი ადამიანი ბუნებით და იდუმლად სცვენოდა თავისი როლისა, რომელსაც ამ უკანასკნელ თვეში ასრულებდა. ეხლა, როცა უმთავრესს მიზანს მიაღწია, მზად იყო ერთი წყალობა შეესრულებია, რომელიც იმის ხელთ იყო.

— ნულარ დაადებთ ბორკილს, — სთქვა იმან და დაცერდა კრაზანას ასივებულ ხელს. დასტოვერთ თავისავე სადგომში, თორემ სამყოფელი დასჯილისათვის მეტად ძნელი... ის მიუბრუნდა თავის ძმისწულს, ჩახველა, თითქო შერცხვენილივით,

გააფხავუნა ფეხები და მოაბრუნა დაძახებით სერვანტი, რო-
მელსაც კრაზანა ოთახიდან გაჰყავდა.

— მოიცავდთ, სერვანტო, მოსალაპარაკებელი მაქვს მა-
გასთან.

— იქნება გაქვთ რამ გადასაცემი ნათესავთა და მეგობ-
რებთათვის?

კრაზანას თითქო არ ესმოდა გუბერნატორის ხშა, პასუხს
არ იძლეოდა.

— მოიფიქრეთ კარგად და მითხარით. ან იქმნება მოძღვა-
რი გესაჭიროებათ. სჯობს მოძღვარს დაუბაროთ, რაცა გაქვთ
გადასაცემი თქვენებისათვის. ის ებლავ მოვა და მთელი ღამე
თქვენთან დაჰყოფს. თუ კიდევ გსურთ რამე...

— უთხარით მღვდელს, რამ მარტო ყოფნას ვამჯობინებ.
არც მეგობრები მყავს და არც დაბაბრებელი მაქვს რამე.

კრაზანამ სთქვა ეს დაბალისა და მშვიდობიანის ხმით, რომე-
ლიც არ ითხოვდა პასუხს. კარებთან ისევ შეჩერდა:

— დამავიწყდა, პოლკოვნიკო, მინდოდა მეთხოვნა მხო-
ლოდ ერთი. ნუ ამიხვევთ თვალებს ხეალ,—მე სრულიად დამ-
შვიდებული ვიდგები.

ოთხშაბათ დილით მზის ამოსვლისას კრაზანა გამოიყვანეს
გალავანში. კოჭლობა ჩვეულებრივზე უმეტესად ემჩნეოდა,
თითქო ტკიფილსა ჰერძნობდა ფეხში და ძალ-დატანებით და-
ლიოდა, სერვანტის მკლავზე მძიმედ დაყრდობილი. მაგრამ სა-
სოწარკვეთილი მორჩილება სრულიად გამქრალიყო იმის სახე-
ზე. ბუნდოვანი საშინელებანი, ჩვენებანი, მოლანდება და სიზ-
მრებიც, რომელნიც ეხვივნენ სიბნელეში, გაჰქრნენ ღამესთან
ერთად, რომელნიც იმისგანვე არიან შექმნილნი. როგორც კი
მზე ამობრწყინდა და გამოცხადნენ იმისი მტრები, რომლებიც
აღვიძებდნენ მასში მეომარს სულს, იმას აღარატრის შიში აღა-
რა ჰქონდა. ექვსი ჯარის კაცნი, რომელნიც დანიშნული
იყვნენ სასჯელის შესასრულებლად, ჩაწერივდნენ კედელთან,
რომელიც აღმოცენილ ბალახეულობით იყო შემოსილი. იმ

კედელთან, საიდანაც კრაზანა გადმოეშვა უხერხულ გაქცევის დროს. ისინი ძლიერ იმაგრებდნენ ცრემლებს. კრაზანა რომ იმათი ხელით უნდა მოკედარიყო, ეს საშინელებად მიაჩნდათ და აძრწუნებდა მათ. კრაზანას მახვილ გონიერმა ქცევამ, იმისმა მუდმივმა სიკილმა და სიმხნევემ შეიტანეს იმათ ბნელ, მოსაწყენ ცხოვრებაში სინათლის შუქი. კრაზანას სიკვდილი ეჩვენებოდა იმათ ცის ბრწყინვალე მნათობის დაბნელებად.

ძეწნის ხის ძირას გალავანში ამოთხრილი იყო კრაზანა-სათვის საფლავი. ის მომზადებული იყო ღამით იმ კაცთაგან, რომლებიც ძალა-უნებურად მუშაობდნენ და თან ცრემლებს აბნევდნენ. როცა გვერდით გაუარა კრაზანამ საფლავს, გაიღიმა შავს ღრმა ამოთხრილ ორმოსა და იმის გარშემო დამჭენარ ბალახის დანახვაზე. იმან ღრმად შეისუნთქა, სუნი ახლად ამოთხრილ მიწისა. ხის გვერდით შეჩერდა სერეანტი და კრაზანამ მიიხედ-მოიხედა გარშემო, ხალისიანის ღიმილით.

— სად გავჩერდე, სერეანტო?

სერეანტმა თავით ანიშნა. სული შეუგუბდა და ვერ მოახერხა სიტყვის წარმოთქმა.

გუბერნატორი, იმისი ძმისწული, აფიცერი, რომელსაც უნდა ენიშნებინა რა დროს ესროლნათ თოფები, მღვდელი და ექიმი კიდევაც მოსულიყვნენ და მიუახლოედნენ დაღვრემილის სახით, დარცხევნილები კრაზანას მხიარულ მომლიმარ სახის დანახვით.

— დ... დილამშვიდობისა, ბატონებო. აა, მათმა ღირსებაშაც ინგბა იღრე ადგომა. თქვენა, კაპიტანო,— მიმართა გუბერნატორის ძმისწულს,— როვორა ბრძანდებით. აი, უფრო სასიმოვნო შეხვედრა თქვენთვის, ვიდრე პირველი, არა? ვხედავ. მარჯვენა ხელი კიდევ შეხეეული გაქვთ, ეს იმისთვის, რომ ცუდად შევასრულე ჩემი საქმე. იმედია, ეს ჭაბუქი ჩემზე მოხერხებულნი იქმნებიან, არა, ძმანო? კრაზანამ მხხედა ჯალა-თების მოლუშულ სახეს, რომლებიც ცრემლებს ძლიერ იმაგრებდნენ.

— არა ლირს ეგრე წუხილი. დადექით ყოჩალად და მაჩვენეთ როგორ იცით თოფის ხმარება. მაღვე იმდენი სამუშაო მოველით, რომ ძნელად თუ მოურიგდებით. უნდა წინადვე ხელი გაიმართოთ.

— შვილო ჩემო,—გააწყვეტინა სიტყვა მღვდელმა და მოუახლოვდა, დანარჩენები კი მოსცილდნენ, რომ ისინი მარტო დატოვებინათ.

— რამოდენიმე წუთის შემდევ უნდა წარსდგეთ პირის—პირ წინაშე შემოქმედისა. ნუთუ სხვაფრად ვერ მოგიხმარებიათ უკანასკნელი წუთები, რომელიც დატოვებულია სინანულისათვის. დაფიქრდით, გევედრებით, რა ძნელია სიკვდილი ცოდვების მოუნანიებლად. როცა წარსდგებით უზენაესს მსაჯულის წინაშე, გვიანდა იქმნება სინანული. ნუთუ მიუახლოვდებით ზეციურ მრისხანე ტრაპეზს, ტუჩებზე მომდგარ სახუმარო სიტყვებით.

— სახუმარო სიტყვებით, თქვენო ლირსებავ? მგონი თქვენ უფრო საჭიროებთ ასეთ მცირე დარიგებას. როცა ჩვენი დროც მოვა, ჩვენ ეიხმართ ზარბაზნებს, ნახვარ დუეინ თოფის მაგიერ და მაშინ დინახაეთ თქვენ, ჩვენ როგორც ვხუმრობთ.

— თქვენ იხმართ ზარბაზნებს? ოჰ, უბედურო, განა არ გესმით როგორი უფსკრულის ნაპირზე დგეხართ?

კრაზანამ გადახედა ამოთხრილ საფლავს.

— თქვენი ლირსება ჰაფიქრობს, რომ საფლავში ჩაწენით მომრჩებით მე? იქმნება თქვენ ფილაქანიც დამადგათ საფლავზე, რომ სრულიად დამშვიდებული იყვნეთ. ნუ სწუხართ, მე ვიწვები ჩუმად, როგორც თაგვი, როცა შიგ ჩაეწვები. მაგრამ მაინც კიდევ ჩვენ ზარბაზნებით ვიმოქმედებთ.

— ოჰ, მოწყალე ღმერთო,—შეპყვირა მღვდელმა,—შეუნდევი ამ უბედურს.

— ამინ,—წაიბუტბუტა ჯარის უფროსმა ბოხის ხმით.—პოლკოვნიკი და იმისი ძმის-წული პირჯვარს იწერდნენ. რადგან ცხადია, არ იყო არავითარი იმედი, რომ დანარჩენ დარიგებებს შეერყიათ კრაზანას გული, მღვდელმა უარი სთქვა

უსარგებლო ძალ-დატანებაზე, მოშორდა თავის ქნევითა და ლოცვების ჩურჩულით. მოკლე და უბრილო მომზადებანი შესრულდნენ უწინააღმდეგოდ. კრაზანა თითონ გაქერდა შუა ადგილას. მხოლოდ ერთხელ კი მოიბრუნა თავი, იმისთვის, რომ უკანასკნელად გადაველო თვალი ამომავალ მზის წითელ-ყვითლად აფერადებულ სხივებისათვის.

მონტანელლი გაქვავებულსავათ იდგა და რადგან დიდ-ხანს არ გამოდიოდა ამ მდგამარეობიდან პოლკოვნიკმა ფერრარმა უფრო მაღლა გაუშეორა:

— თქვენო უსამღვდელოესობავ.

მონტანელლიმ მოიხედა. — ის მოკვდა?

— მოკვდა, თქვენო უსამღვდელოესობავ. არა სჯობს წაბრძანდეთ. ეს მეტად სამძიმო საკუქერია.

— ის მოკვდა, — განიმეორა კიდევ მონტანელლიმ და ისევ დახედა კრაზანას გაციებულ სახეს. — მე შევახე ხელი, დიალ, მოკვდა!

— როგორ არ მოკვდებოდა, როცა ნახევარი დუქინი თოფი დაახალეს. — ზიზლით სთქვა ოფიცერმა და ექიმმაც გაილაპარაკა:

— მგონი, სისხლის დანახვამ გახადა ცუდ გუნებაზე.

გუბერნატორი შეეხო მონტანელლის ხელს.

— თქვენო უსამღვდელოესობავ, სჯობს ნულარ უცქერით. არ მისცემთ ნებას კაპელანს გაგაცილოთ სახლამდის.

— მიღდივარ.

მონტანელლი ნელა გატრიალდა დაღვრილ სისხლის ადგილიდან და წავიდა მღვდელთან და სერეანტთან ერთად. კარებთან ისევ შექერდა და გაოცებით, შეშინებით უკან მოიხედა.

— ის მოკვდა.

რამოდენისამე საათის შემდეგ, მარკონე მივიდა ქედზე მდგომ პატარა სახლთან, რომ ეთქვა მარტინისათვის, რომ აღარ იყო საჭირო სიცოცხლის განსაცდელში ჩაგდება. ყოველივე მომ-

ზედებული იყო კრაზანას ხელმეორედ გაპარვისათვის. მით უმეტესს, რომ ეხლანდელი გეგმა განთავისუფლებისა ბევრად ადვილი იყო წინანდელზე. პირობა ისე იყო, რომ მეორე დილით, როცა დღესასწაულს გარდინდიდნენ, შეუდგებოდნენ დიდებულ ლიტანიას და გაივლიდნენ ციხესოან. მარტინი უნდა გამორჩეულიყო ხალხიდან, გამოეღო დამალული დამბაჩი და დაეცა სახეში გუბერნატორისათვის. არეულობის დროს, რომელიც ამის აუცილებლად მოჰყვებოდა, ოცს შეიარაღებულს კაცს საჩეკაროდ უნდა მიერბინათ ალაყაფის კარებთან, შეცვინცულიყვნენ ციხეში, ძალაობით მოეპოვთ გასაღები, მისულიყვნენ კრაზანას სადგომთან და გაენთავისუფლებიათ იგი. ვინც კი გადუდგებოდა გზაზე, უნდა ან ეჯობნათ და ან მოეკლათ. ალაყაფის კარებთან უნდა ჩოჩქოლი მოეხდინათ, რომ ამით აეცდინათ ყურადღება მეორე პარტიაზე, შეიარაღებულ კონტრაბანდისტებზე, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ მთებში უშიშარ ადგილის კრაზანას წაყვანა.

მხოლოდ გემმამ არა იცოდა რა ამ გეგმისა. დაუმალეს მარტინის თხოვნით.

— მალე ის ბევრს იწუხებს იმისთვის,—ამბობდა მარტინი. როდესაც კონტრაბანდისტი შევიდა ბალში, მარტინმა გააღო შინებიანი კარები და გამოვიდა აივანზე შესახვედრათ.

— რა ამბებია, გარკონე? ჰა!

კონტრაბანდისტმა მოიხადა ქუდი. ორნივ დასხდნენ აივანზე. ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს მარკონეს. მარტინი მიხვდა ყოველივეს.

— როდის? — იკითხა იმან კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ და თვითვე ყრუთ და ზარმაცათ მოესმა თავისი ხმა.

— დღეს დილით. სერგანტმა მითხოა, იქ იყო და უცქირა.

მარტინი ლრმა სევდა მოცული ჩაფიქრდა. ვიღამაც კითხვა მისცა და გარტინმა გაოცებით აიხედა, — განა რისი კითხვა და შეიძლებოდა კიდევ?

— რა სთქვით?

— იმას ვამბობ, რომ, რასაკეირველია, სინიორია ბოლოს თქვენ უნდა განუცხადოთ ეს.

— როგორ შემიძლიან,— შექვეირა მარტინმა,— ამით ის იქმნება, რომ მე მოვკლა ის. როგორ ვეტყვი, მე როკორ შემიძლიან იმას ეს ვუთხრა. იმან დაიფარა თვალებზე ხელი და აღარ აუხედნია, მაგრამ იგრძნო კი, როგორ შეკრთა კონტრაბანდისტი იმასთან ახლოს მდგომი. მარტინმა აიხედა. კარებთან იდგა გემშა გაქვავებულსავით.

— გაიგეთ, ჩეზარე, — უთხრა იმან, — ყველაფერი გათავებულია. იმათ დახვრიტეს ის.

VIII

„Introibo ad altare Dei“. მონტანელლი იდგა საკურთხეველთან იპო-დიაკვნებს შუა და კითხულობდა მტკიცე ხმით Jntroit'-ს. ეკკლესია გაშუქებული იყო და ბრწყინვდა ფერად-ფერადად დაწყებული სამღვდელოების სადღესასწაულო საწო-სელიდან ბოძებამდის, რომელნიც შემოსილი იყვნენ აბრეშუ-მის ქსოვილებით და ყვაეილების გვირგვინებით, არსად არ მო-სჩანდა ცარიელი ადგილი, სულ ვარდებით იყო შემქული. გა-ლებულ კარებზე ჩამოფარებული იყო გრძელი ჯიგრის ფერი ფარდები, რომლის მიკეცილებ შუა გამოკრთოდა ივნისის ცხე-ლი მზე, როგორც პურის ყანაში წითელი ყაყაჩის ფურცლე-ბი. მონაზონთა საზოგადოება სანთლებითა და ჭრაქებით ხელ-ში, ცალკე დეპუტაციები სხვა-და-სხვა ეკკლესიებისა თავიანთის ჯერებითა და ბაირალებით აბრწყინვებდნენ ბნელს გვერდით კერძო სამლოცველოებს. შესავალთან იყო რამოდენიმე გაშლი-ლი დროშა, დამზადებული დიდებულ ლიტანიით განსვლისა-თვის. ოქროს ტარები და ბრწყინვი ჩამოშვებული ფოჩები ანა-თებდნენ კამარას ქვეშიდან. შესამოსი მგალობელთა ბზინავდა აფერადებულ მინებიან სარკმელში შემონაშუქ სინათლეზე, რო-მლის სხივებიც მარმარილოს იატაჭე ვარდის ფურცლებივით მოფენილიყო. საკურთხევლის გვერდზე ეკიდა საფარი ვერცხ-

კრაზანა

ლის ფარჩისა, სადაც ყველა ამ მორთულობასა და საკურთხევ-
ლის გაჩაღებულ სინათლეში გამოჩენდა ფიფურა კარდინალისა
თეთრის სამოსით, რომელიც მარმარილოს ცოცხალ ქანდაკე-
ბას მიაგავდა. იგი ყველთვის დაესწრებოდა ხოლმე მნიინ
დიდებულ ლიტანის, და კი არ სწირავდა. ეხლაც აგრეთვე მხო-
ლოდ დაესწრო ჭირვას. როდესაც წაკითხულ იქმნა „Indul-
gentiam“, ნელა ჩამოვიდა საკურთხევლიდან და მიუახლოვდა
საეპისკოპოსო კათედრას. სამღვდელოება თავს უკრავდა, რო-
ცა იმათ ახლოს გაივლიდა.

— ვშიშობ, რომ მათი უსამღვდელოესობა ვერ არის კარ-
გად.—წასჩურჩული ერთმა მღვდელთაგანმა მეორეს,—როგო-
რილაც უცნაური სჩანს დღეს.

მონტანელლიმ მოიხარა თავი, რომ დაედგათ იმისთვის
ძეირფასი თელებით მორთული მიტრა. დიაკონი, რომელიც
მიტრას ადგამდა, დააცქერდა ერთ წუთს სახეზე, დაიხარა და
ჩუმად შეეკითხა:

— თქვენო უსამღვდელოესობავ, ივად ხომ არ ბრძანდე-
ბით.

მონტანელლიმ ოდნავ მიიბრუნა თავი გვერდზე, თვალებ-
ში არავთარი პასუხი არ ეხატებოდა.

— მომიტევეთ, თქვენო უსამღვდელოესობავ,—წაიჩურჩუ-
ლა დიაკონმა, მუხლი მოიყარა და ისევ თავის ადგილზე დაბ-
რუნდა, თანაც ჰკიცხავდა თავის თავს გუნებაში, რომ შეუშა-
ლა ლოცვა კარდინალს.

ჩვეულებრივად სრულდებოდა წესი, მონტანელლი იჯდა
გაჩემებული. იმისი ოქრო-მკედით ნაკერი სამოსელი და მიტრა
მოელვარე თვლებიანი ეალერსებოდნენ მზის სხივებს. მძიმე ნა-
კეცები თეთრი მანტიისა ეფინებოდა წითელ ხავერდის ხალზე.
მრავალი ანთებული სანთლები ციმციმებდნენ მონტანელლის
გულზე დაკიდებულ ძვირფასს ლურჯ ციაგ ფეროვან თვლებ-
ში და აშუქებდნენ მონტანელლის ლრმა წყნარ თვალებში. როცა
წარმოთქმულ იქმნა: Benedicite, pater emenditissime, ის დაიხარა,
რომ ჯვარი გადესახა საცეცხლურისათვის და მზის სხივებზე

ცელქად შეთამაშდნენ ძვირფასი თვლები. თითონ მონტანელლი მიაგავდა რაღაც მბრწყინავ და საშიშარ ყინულის სულს მთებისას, თოვლის საფარით მოსილს, დაგვირგვინებულს ცი-სარტყელით, ხელებ წინ გაწვდილს ლოცვითა, ან წყელეა კრულ-ვით. სანაწილეს აღების დროს ის ჩამოვრდა კათედრიდან და დაეშვა მუხლებზე საკურთხევლის წინ. მოძრაობა მისი იყო სა-ოცარი მწყობრი. როცა ადგა და დაბრუნდა თავის ადგილზე, მაიორმა, რომელიც ეპისკოპოზის უკან იჯდა, წასჩურჩულა და-კრილ კაპიტანს:

— კარდინალი მგონი ბერდება. სრულიად მაშინალურად ასრულებს თავის საქმეს.

— მით უკეთესი, — წასჩურჩულა პასუხად კაპიტანმა. — დაწ-ყევლილ ამნისტიის დროიდან ეგ ლოდსაერთ გვაძეეს კისერზე.

— თუმცა დასთანხმდა სამხედრო სასჯელზე.

— ჰო, ბოლოს როგორც იქმნა. მაგრამ დიდხანს კი ყო-მანობდა. ოჯ, როგორ ცხელა. ლიტანიის დროს მზე თავბრუს დაგვაჭვევს. მწყინს, რომ ჩვენც კარდინალები არა ვართ და ბალდახინებ ქვეშ არ ვივლით. მაგრამ სუ, ბიძა გვიცემოს.

პოლკოვნიკმა ფერრარმა შეხედა მკაცრად ორ ახალგაზღდა-აფიცერთ. წინა დღით მომხდარ საქმის შემდეგ ის სერიოზულ დღითისნიერ ხასიათზე იყო და არ მოეწონა, რომ ახალგაზღდა-აფიცერნი არა საკმაო თავაზით ექცეოდნენ იმას, რასაც თითონ სთელიდა „სახელმწიფო სამდიმო მოვალეობად“. ვინც იყო ლი-ტანიის მოთავე, დაიწყო მწყობრად დაყენება იმათი, ვინც იღებ-და მონაწილეობას ლიტანიის მსვლელობაში. პოლკოვნიკი წა-მოდგა თავის ადგილიდან და მივიდა საკურთხეველთან. ანიშნა, აფიცერებიც თან გაჰკოლოდნენ.

წირვა დასრულდა და მღვდლები წავიდნენ სამოსელთა სა-ლაროში, სამოსელის გამოსაცვლელად.

ეკლესიაში წყნარი მუსაიფი გაისმა.

მონტანელლი განაგრძობდა ჯდომას კათედრაზე და გაშ-ტერებით იცქირებოდა პირდაპირ თავის წინ. ზღვა კაცობრივ ცხოვრებისა იწევდა მაღლა და ისევ ეშვებოდა იმის გარშემო,

და ჰერებოდა იმის ფეხრთა წინაშე. იმან აეტომატიურის მოძრაობით აიღო ხელი მაღლა და ჩასდო საკუმევი სიშმიდის ჭურჭელში. არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ მიუხედია. მღვდლები დაბრუნუნენ სალაროდან და ელოდებოდნენ კარლინალს საკურთხეველში, მაგრამ ის უძრავად განაგრძობდა ჯღომას. დიაკონმა მოხადა მიტრა, დაიხარა და ხელახლავ ჰკითხა გაუბედავად.

— თქვენო უსამღვდელოესობავ!

კარდინალმა მოიხედა.

— რა სთქვით?

— დარწმუნებული ბრძანდებით, რომ შეიძლებთ სიარულს? მეტად ცხელი მზეა გარედ.

— რა საქმე მაქვს მზესთან? — მონტანელლი დამშვიდებულის კილოთი ლაპარაკობდა; დიაკონს ხელახლავ ეჩვენა, რომ იგი უკმაყოფილო დარჩა იმაზე.

— მომიტევეთ, თქვენო უსამღვდელოესობავ! ვფიქრობდი, რომ ავად ბრძანდებოდით.

მონტანელლი წამოდგა და არა უპასუხა-რა. კათედრის უკანასკნელ საფეხურზე შეჩერდა და იკითხა იმავე დამშვიდებულის კილოთი.

— რა არის ეს?

გრძელი ბოლო იმის თეთრი მანტიისა საფეხურებზე ეშვებოდა და შემდეგ გაიშალა იატაკზე საკურთხევლის წინ. კარდინალი ანიშნებდა მანტიაზე დაჩნდეულ ლაქას, რომელიც თითქო ციმციმებდა.

— მზეს სხივია ფერად მინებში შემონაშუქი, თქვენო უსამღვდელოესობავ.

— მზეს სხიეთ? ასეთი წითელი?

მონტანელლიმ დაიჩიქა საკუროხეველის წინ და ნელა არ-ხევდა საცეცხლურს. როცა ისევ გადასცა დიაკონს, ფერად მინებიდან შემოსული მზეს სხიეთ ჯიგრის ფრად გადაეფინა მონტანელლის თეთრ მანტიას. ჩამოართვა დიაკონს ღვთიური ოქროს გელიოსი და წამოდგა იმ დროს, როცა ორღანოს და მგალობელთა გუნდის გალობის ხმა მოისმა:

— „ო, მეტყველებავ საიდუმლოებისაც, დიდებულ სხეული-სა და ძვირფას სისხლისა, რომელიც ქვეყნის გამოსხივასთვის დაღვარე, მეფემ ხალხისამ, ნაყოფმა კეთილ-შობილის მუცლი-სამ“.

მსახურნი ნელ-ნელა გამოვიდნენ წინ, ასწიეს მაღლა აბ-რუშუმის ბალდახინი და გააჩერეს მონტანელლის თავის ზემოდ. იმ დროს, როცა დიაკონნი უახლოედებოდნენ თავიანთ ადგი-ლებს მარჯვნივ და მარცხნივ მხრივ და უსწორებდნენ მანტიის კალთებს, ორი დიაკონი, უკან მდგომნი, დაიხარენ და იღეს კარდინალის მანტიის ბოლო. მონაზონთა საზოგადოებანი, რო-მლებიც თაეში უნდა მდგარიყვნენ ლიტანის დროს, დაიძრნენ მარჯვნივ და მარცხნივ მწყობრად მდგომნი, ანთებულ სანთლე-ბით ხელში. მონტანელლი ყველაზე მაღლა იდგა საკურთხევე-ლთან, თეთრ ბალდახინის ქვეშ, მაღლა ამართულ ბარძიმით ხელ-ში, რომელშიაც იყო წმ. საიდუმლო იესო მაცხოვრის სხეულისა და თვალს ადევნებდა მიმავალთ. ანთებულ ს სანთლებით, ხა-ტებითა, ჯვრებითა და დროშებით ისინი ნელ-ნელა ეშვებო-დნენ საკურთხევლის კიბეზე. გაიარეს გვირგვინებით შემკულ ბოძებ შუა და გადიოდნენ გალობით ჯიგრის ფერ ფარდებ ქვე-შიდან მზისაგან გავარვარებულ გზაზე. გაიარეს ეკკლესიის ზიართ თაეიანოს თეთრი სუდარებით, შემდეგ, ძმათ მოწყა-ლებისამ, სულ ერთიან შავებით მოსილთ, იმათ მიჰყვებო-დნენ ბერები დიდებულად ჩამწერივებულნი; დარიბ მონაზონ-თა კრება მუქის კაპიუშონებით, ფეხში შეელნი; პატიოსანნი დომინიკელები თეთრად შემოსილნი, შემდეგ მიჰყვებოდათ წარმომადგენელნი საერო უფლებისა. მოხელენი ადგილობ-რივ პოლიციისა, გუბერნატორი მორთული სადღესასწაულო მუნდირში აფიცირების შუა მდგომი. იმათ მიჰყვებოდათ დია-კონი დიდი ჯვრით ხელში და იმათ გვერდით კიდევ ორი დიაკონი ანთებულის სანთლებით. როცა ფარდა აიხადა, რომ კარებში გასულიყვნენ, მონტანელლიმ ბალდახინის ქვეშიდან გამომცემალმა დაინახა ხალებით მოფენილი, მზისაგან გა-ნათლებული მოედანი, რომლის კედლებიც დაფარული იყო

სადღესასწაულო ბაირალებით. დაინახა ბავშვები თეთრიად მოსილნი, რომლებიც მოედანზე ვარდებს აბნევდნენ.

ოჲ, რა წითელი იყო ეს ფარდები.

წესიერად და მწყობრად განაგრძობდნენ ლიტანით სვლას. გაატარეს მალლა ამართული ოქროს ჯვარი და იმათ მცჰვებოდნენ დინჯად, მძიმე ნაბიჯით, კანონიკები თეთრის სამოსით... კაპელინიც ჩამობრძანდა საკურთხევლიდან, მოპერა ჯვარი ორ ანთებულ ჭრაქებ შუა; რომელთაც ბალდახინი მოპერნდათ, ითვლიდნენ ნაბიჯებს: ერთი, ორი, ერთი, ორი.

იპო დიაკვნები, საცეცხლურის კმევას ნელ-ნელა მუსიკის ხმას აყოლებდნენ. მონტანელლიც დაიძრა. ჩამოვიდა საკურთხევლიდან და გაიარა შუა ეკკლესია. ისმოდა ორლანოს ხმა კარებიდან, რომელსაც ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. ოჲ, რა წითელი იყო ეს ფარდებიც მონტანელლის თვალში.

შესდგა ფეხი გაბრწყინებულ მოედანზე, სადაც ებნია სისტელივით წითელი ვარდები, რომლებიც ჰქინებოდნენ მოსიარულე ხალხთა ფეხეკვეშ და დაერკეპნენ წითელ ხალიჩას. მონტანელლი შეჩერდა ერთ წუთს კარებში; მივიღნენ საერო მსახურნი და შესცვალეს ბალდახინის შატარებელნი. შემდეგ ისევ განაგრძეს სვლა. მონტანელლის მტკიცედ ეჭირა ხელში გელიოსი წმიდა საიდუმლოთი. იმის გარშემო მაღლდებოდნენ და სწყდებოდნენ საგალობელი ხმები „ვადიდოთ დიდებული საიდუმლოება“. მონტანელლიმ წმიდა საიდუმლოს ბროლის საფარიდან გადიხედა.

ნუ თუ გძინავს, ძვირფასო? ნუ თუ შენ არიოდეს არ გაიღვიძებ? განა საფლავი ეგრე გულმოდგინედ იცავს თავის ნაშვერებს და ნუ თუ შავი მიწა ხის ძირში ამოთხრილი არ გამოგიშვებს ერთი წუთით მაინც, ოჲ, სიხარულო ჩემო გულისავ! ო, არტურ, არტურ! ძრიელი სიყვარულია, როდესაც კაცი სწირავს იმის სიცოცხლეს, რომელიც უძვირფასესია იმისთვის. განა ეს უფრო მაღლა არა სდგას?

საგალობელი ხმები შესწყდა, მონტანელლი შევიდა კარებში და გაიარა ბერებსა და მღვდლებ შორის, რომლებიც

იდგნენ მარჯვნივ და მარცხნივ დაჩოქილნი ანთებულ სანთლებით. შენიშვნა, რომ იმათი თვალები მიპყრობილი იყო იმ სხეულისაკენ, რომელიც იმას მოჰქონდა. მიუახლოვდა საკურთხეველს, მებალდაზინები შეჩერდნენ. მონტანელლი ამობრძანდა ბალდახინიდან და აემართა საკურთხეველის საფეხურზე. ორივ მხარეზე მდგომნი თეთრად მოსილნი დიაკონი დაეშვნენ მუხლებზე, თავიანთის საცეცხლურებით და იმათთან ერთად კაპპელანებიც ანთებულის კრაქებით, იმათი თვალები ხარბად ბრწყინავდნენ გაჩაღებულ სინათლეში, როდესაც უცქეროდნენ სხეულს გამოხსნელის მსხვერპლისას. ორდესაც დიაკონთ მოათავსეს წილა ჭურჭელი საკურთხეველზე, მონტანელლიმ დაიჩიქა იქვე, სადაც იდგა საფეხურზე. მგალობელთა ხმები გამოწყრიალდნენ გადმოხრილ კამარის ქვეშიდან. მჭმუნვარედ და მორჩილად ათავებდა ღვთის მსახურებას მონტანელლი და ასრულებდა წესრიგს. შემდეგ ხალხის დალოცვისა ისევ დაეშვა მუხლებზე საკურთხეველის წინაშე და დაიფარა თვალებზე ხელი. მღვდლის ხმა, რომელიც მაღლა კითხულობდა განტევებას, მაღლდებოდა, დაბლდებოდა და მოისმოდა იმ ქვეყნიდან, რომელსაც შონტანელლი აღარ ეკუთვნოდა.

ე ბ ი დ ა ბ ი .

— გემმა, ვიღაც კაცი გეითხულობთ.

მარტინი ნელის ხმით ლაპარაკობდა. უკანასკნელ ათ დღეს ისინი ყველა როგორლაც აბნეულად ლაპარაკობდნენ. მწყობრი მოძრაობა და უნდად წარმოთქმული სიტყვები იყო მხოლოდ ერთად-ერთი გამომეტყველი იმათი მწუხარებისა.

გემმა ფეხტამლით იდგა მაგიდასთან და ჰყოფდა პატარა ქალალდში შეხვეულ პატრონებს. დილიდან დაწყებული ამაზე მეშაობდა და ეხლა, შუადღისას, როცა მხევ დაცხნა, სახეზე დაქანცულობა დაეტყო.

— ვინ კაცია, ჩეზარე, რა უნდა?

კრაფინა

— არ ვიცი, გეთაყვა. არ ინდომა ეთქვა ჩემთვის, თუ რისთვის მოსულა.

გემმა ადგა და მოიხსნა ფეშტამალი.

— აღბად ვინმე ჯაშუშია.

— ყოველ შემთხვევაში, მე იქავ, მეორე ოთახში ეიქნები. როგორც გაისტუმრებო, წადით და დაიძინეთ, მთელი დღეა ფეხზე დგეხართ.

— არა, მე მუშაობას ვარჩევ.

გემმა წყნარად დაეშვა კიბეზე, ქვევით ჩასასვლელად. მარტინიც თან გაჰყვა. გემმა თითქმის დაბერდა ათი წლით; თეთრი თმის ზოლი სრულიად გაუფართოვდა. თვალები უფრო ხშირად დაბლა ჰქონდა დახრილი, მაგრამ როცა ახედავდა ხოლმე, მარტინი შეკრობოდა იმის თვალთაკან შეშინებული გამომეტყველების დანახვაზე.

პატარა სასტუმრო ოთახში დახვდა გემმას უშნო კაცი, რომელიც შუა აღაგას გაჩერებულიყო და ხან ერთ ფეხზე, — ხან მეორეზე ირხეოდა. შეშინებულის სახით შეხედა გემმას და ქალი მიხედა, რომ ის ვინმე მცველთაგანი უნდა ყოფილიყო, გლეხ-კაცის ტანისამოსი ეცვა, ეტყობოდა სხეისაგან ნათხოვარი, რათა არ ეცნოთ იგი.

— თქვენ ლაპარაკობთ ნემეცურად? — იკითხა იმან გამოურკვეველ ციურიხის კილოზე.

— ცოტას, მე მკითხულობდით?

— თქვენა ხართ სინიორა ბოლლა? მე თქვენ წერილი მოვიტაშეთ.

— წერილი? — გემმა აკანკალდა და მაგიდას დაეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

— მე იქაური მცველთაგანი ვაჩ, — იმან მიუთითა ციხისაკენ, რომელიც სარკმლიდან ქედზე მოსჩანდა. — ეს წერილი იმ კაცისაგან არის, რომელიც დახვრიტეს წარსულ კვირას. წამების წინა ღამით დასწერა. მე შევპირდი გადმომეცა თქვენთვის საკუთარს ხელში.

გემმამ თავი ჩაჰკიდა.

— მაშ მომწერა მაინც.

— აი, რისთვის ვერ მოვიტანე ამდენ ხანს.—განაგრძო ჯარის-კაცმა. —იმან დამიბარა არავისთვის არ მიმეტა თქვენს გარდა და ამაზე ადრე ვერ მოვახერხე გამოპარეა, რადგან თვალ-ყურს მადევნებლენენ. მე ეს ტანისამოსი ვითხოვე, რომ აქ მოე-სულიყავ.

იმან ამოიღო საყელოდან პატარა ბარათი და გადასცა. ერთს წუთს შემდეგ თავი მოიტხანა და დაიწყო მორჩილების კილოთი, თანაც ეჭვის თვალით უცქეროდა.

— ხომ არ გამცემთ? სიცოცხლეს განსაცდელში ვაგდებდი აქ წამოსვლისათვის.

— დიალაც არას ვიტყვი. მაგრამ მოიცადეთ,—როცა ის კარებისაკენ გაბრუნდა, გემმამ შეაჩერა და ქისა ჩაუდო ხელში. იმან ეს შეურაცხყოფად მიიღო და უპასუხა:

— ჩემთვის საჭირო არ არის თქვენი ფული. მე იმის თხოვნა შევასრულე, ძალიან კეთილი იყო ჩემთვის.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, ის გასწორდა, ჟუხერხული მხედრული სალამი მისცა და წავიდა.

გემმა იდგა რამოდენიმე ხანს ბარათით ხელში. მერე დაჯდა სარქმლის წინ და გაშალა. ყარანდაშით იყო ნაწერი. ზოგ ადგილას გაუგებრად, მაგრამ პირველი ორი სიტყვა ინგლისურად გარკვევით ეწერა:

„ძეირფასო ჯიმ!“

დანარჩენი ღრუბლებით დაიბურა გემმას თვალში. ველარ შესძლო შემდეგი სიტყვების ამოკითხეა. იმან კიდევ დაჭკარგა ის, კიდევ დაჭკარგა! „ჯიმ“, ამ ნაცნობ ბავშვობის სახელის ამოკითხვაზე, რომელსაც ის იმეორებდა ამდენ წლების შემდეგ, გემმამ ხელახლავ იგრძნო უიმედობა დაკარგვისა და გაიწვდინა ხელები უსიტყო გულამლერეულ განუსაზღვრელის მწუხარებით. თითქო სიძძიმე მიწისა, რომელიც ამძიმებდა არტურს, დაეშვა გემმას გულზე.

აიღო ისევ ბარათი და დაიწყო კითხვა:

„ხელ განთიადისას დამხერეტენ მე. რომ შევასრულო პირობა და გითხრათ ყოველივე, ეს ეხლავ უნდა შევასრულო თუმც, საჭირო არ არის, ჩვენ შორის ვრცელი ახსნა. ჩვენ ყოველთვის ვიგებდით ერთმანეთს, მაშინაც კი, როცა ჯერ ბავშვები ვიყავით.

„მიშ ასე, ოქვენ ხედავთ, ძვირფასო, რომ ტყუილად იტან-
ჯოდით იმის გამო, რომ ოდესმე სილა შემომკარით მე. მაშინ
ძნელი ასატანი იყო ეს ჩემთვის, მაგრამ შემ დავშა უშეტესი
სამძიმო ასატანი და განსაკულები შემხვდა და მაინც კიდევ
ავიტანე და ყველაფერს გავუძელ. მე მომიტდა კიდევ გადახდე-
ვინება რამოდენიმე დაკვრისათვის. და ეხლა მე ისევ, როგორც
თვეზი ჩვენ სიყმაწვილის ლექსში (აი, დამავიწყდა კიდევ იმისი
სათაური), „ცოცხალი, მხიარული ვარ და კიდევ ვცელქობ!“ —
თუმცა ეხლა კი უკანასკნელად-და ვცელქობ. დადკება ხვალინ-
დელი დილა და..., Finita la comedia. ოქვენ და მე უნდა
ვთქვათ: „დასრულდა წარმოდგენა ბალაგანში“. და უნდა ვმაღ-
ლობდეთ ღმერთებს იმ სიკეთისთვის, რაც მ.იგვანიჭეს. თუმცა
ის არ არის ბევრი, მაგრამ ცოტა რამ მაინც იყო და იმისთვი-
საც ვმაღლობდეთ. რაც შეეხება ხეალინდელ დილას, მე ვი-
სურვებდი, რომ ოქვენ და მარტინს გაგევოთ, რომ მე სრუ-
ლიად კმაყოფილი, ბედნიერი ვარ; რომ ბედისაგან ამაზე უკე-
თესს არას ვინდომებდი. უთხარით ეს მარტინს ჩემგან, ის კე-
თილი, კარგი ამხანაგია და გაიგებს ამას. მაქვს კიდევ ერთი
სურვილი: კაცს სიკედილისაკენ მიმავალს, აქვს უფლება უკა-
ნასკნელ უინისა; ჩემი უინიც იმაშია, რომ აკისხათ ოქვენ, თუ
რისთვის ვიყავი ყოველთვის ისეთი ურჩი, უქმები თქვენ მიმართ,
რად ეურიკდებოდი ისე ძნელად ძეველ შეურაცხყოფებს. რასაკ-
ვირველია, თქვენვე გესმით მიზეზი, მაგრამ მეც ვამბობ იმისთ-
ვის, რომ ამ სიტყვების დაწერით ვიხარო. მე თქვენ მიყვარ-
დით, გემთვე, როცა ჯერ ისევ პატარა იყავით, მოკლე კაბით,
ბეჭებზე გადაშვებულის თმებით! და განვაგრძობ თქვენ სიყვა-
რულს ეხლაც. გახსოვთ, ერთხელ გეამბორეთ ხელზე და თქვენ
ისეთი საყვედურის და შესაბრალისი კილოთი მთხოვეთ „ალა-
რაოდეს ალარ გამემეორნა“. ეს თავხედური საქციელი იყო ჩე-
მი, ვიცი, მაგრამ მომიტებეთ. და ეხლა ვეამბორები იმ ქალალდს,
რომელზედაც თქვენი სახელი სწერია. ამ გვარად მე ორჯელ
გეამბორეთ და ორჯელვე თქვენს უნებურად. „ეს არის სულ-
შშვიდობით, ძვირფასო!“ წერილს ხელი არა ჰქონდა მოწერი-

ლი, მაგრამ მოლოში წვრილი ასოებით იყო მიწერილი პატა-
რა ლექსი, რომელსაც ისინი სიყმაწვილეში ერთად იმეორებდ-
ნენ ხოლმე.

„ცოცხალი ვარ თუ მკვდარი ვარ
მაინც ბედნიერი ვარ.“

ჩასჩერებოდა ნაწერს გემმა და ბარაზე მდუღარე ცრემ-
ლებს აბნევდა.

ნახევარ საათის შემდეგ მარტინი შევიდა გემმასთან. თავი-
სი სიცოცხლის ნახევარი გემმას სიახლოვეს სიჩუმეში გაატარა;
ეხლა კი დაჭვარგა სულგრძელება, გაუვარდა ხელიდან ქალალდი,
რომელიც მოჰქონდა და გემმას მოჰქვია ხელი.

— გემმა, რა მოხდა? ნუ სტირით ეგრე; თქვენ ხომ არაო-
დეს არ იცოდით ტირილი. გემმა, გემმა! ძვირფასო, ხაყვარე-
ლო ჩემო!

— არაფერი, ჩეზარე, მე თქვენ ყველაფერს გეტყვით მე-
რე! ეხლა არ შემიძლიან რაპარაკი.

საჩქაროდ ჩაიდო ჯიბეში ცრემლებისაგან დასველებული
ბარათი. ადგა და მიეიდა სარტყელთან, რომ დაემალა სახე. მარ-
ტინმა ტუჩჩე თქბინა, მრავალ წლების თმენის შემდეგ ბავშვი-
ვით გასცა თავისი თავი და გემმიმ ვერც კი შენიშნა.

— დიდ ზარსა რეკენ სობოროზე — სოჭვა გემმამ, როცა
ხელ ახლავთავს ძალა დატანა და ცრემლები შეიკავა. — უთუოდ
გარდაცვალა ვინმე.

— მაგისთვის მოველ, რომ მეთქვა თქვენთვის ეს ამბა-
ეი. — უპასუხა მარტინმა ჩეკულებრივის კილოთი. აიღო ქალალ-
დი, რომელიც ხელიდან ძირს დაუვარდა და გადასცა. ეს იყო
დიდრონი ასოებით დაბეჭილი განცხადება, რომელსაც გარს
ევლო შეი არშია. უჩვენი, ღრმად პატივცემული ეპისკოპოზი,
მითი ყოვლად უსამღელელოებობა, მონსინიორ კარდინალი ლო-
რენცო მონტანელლი გარდაიცეილა უეცრივ, გულის სიდამბ-
ლით“.

გემმამ სწრაფად მოაშორა თვალი ქალალდს და მარტინს
შეხედა. მარტინმა შეჩები აიწია.

— რა ვუყოთ, მადონავ? ვულის სიდამბლე არაფრით არ
არის ცუდი სხვა რამ ავადმყოფობაზე.

ნატალია რ. გრგაური

(დასასრული)

„პოლის-ფურსენის“ ყალბი ქდილები

LXXXIX *)

ნესტან-დარეჯანის შოგნის ამბავი მეტად დიდი და მოუღლოდნელი შემთხვევა იყო ტარიელის ცხოვრებაში, რომ მისს შეტენდას ძლიერი და შემარტეველი მოქმედება არ ჰქონოდა მოუმის გულზე, და რუსთაველიც დაწერილებით წარმოგენიდგენს ამ შემთხვევას, თავისებურად, ხელოვნებურად, გმირთა მოქმედებით, რომელშიაც ისატება მათი სულის გითარება.

ავთანდილმა რომ თავისს მეგობარს სატრიფოს შოგნა ასარა, ტარიელს ეგ იმდენად შეუძლებლად მააჩნდა, რომ არ დაიჭირა (გვ. 300—302):

1333. რა ტარიელ არ შესჯერდა, ავთანდილუა არ დაწყნარდა,
მის ამბისა დაყოვნება ვეღარ გასმლო, აუჩქარდა,
გამოიღო რიდე მისი, ვინ ბაგეთა ვარდი ვარდა;
რა ტარიელ ჰნახა, იცნა, გამოუღო, შემოვარდა.

1334. წიგნი და კიდე რიდისა იცნა და გაცამალა მან,
პირსა დაიდვა, დაეცა, ვარდმან ფერითა მყრთალამან,
სულნი გაეკცნეს, მოდრიკნა თავი გიშრისა ტალამან,
მისნი ვერ გასძლნეს ჰატიგნი ვერ კაენ, ვერცა სალამან.

1335. ავთანდილ უჭვრეტს ტარიელს, უსულო ქვემდებარება,
შეპფრინდა, შველად მიქმართა მას, ტკბილად მოუბარება,
ვერა, ვერ არგო დამწვარსა, სრულად ცეცხლ-ნადებარება,
მისთა ნიშანთა სიცოცხლე მათ მისი მიიბარება.

1336. ავთანდილ დაჯდა ტიტოლად, სტირს ხმითა შვენიერითა,
ყორანსა გაჰვლეჯს ხშირ ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა,

*) იხ. „მოამბე“ № V, 1900 წ.

გაპეტეთქა ლალი, გათლილი ანდამატისა კუერითა,
მუნით წყარონი გამოპატეს, ძოჭას ვამსგაესე ფერითა.

1337. პირსა იხოქს, ღაწესა სისხლი ჩასდიოდა მისსა მჭვრეტსა:
„რაცა ვემენო, არ უქმნია არცა შმაგსა, არცა რეტსა,
წყალი სწრაფით რად დავასხი ცეცხლსა, ძნელად დასაშრეტსა
ჩქარად ეცხს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა

1338. მე მოყვალ ჩემი მოყვარე, რა მმართებს გაწმილებულსა,
თავსა ვაბრალებ საქმესა, არ დასმით გავონებულსა!
ცრუ კაცი კარგა ვერა იქმს საქმესა გაძნელებულსა,
თქმულა: სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“.

1339. უცნობო-ქმნილი ტარიელ ძეს მზგავსად ნატუსალისად,
ავთანდილ ადგა, გამოვლნა შამბინ საძებრად წყალისად;
მან ჰპოვა სისხლი ლომისა, მოაქვს სავსებლად ალისად,
მყერდსა დაასხა, გავეპჩიდა ლაუგარდი ფერად ლალისად.

1340. ავთანდილ მყერდსა დაასხა მას ლომსა სისხლი ლომისა;
ტარიელ შეჰქრთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა,
თვალინი აღახვა, მიეცა ძალი ზე-წამოჯდომისა,
ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა, მშისაგან შუქ-ნაკრთომისა.

ამ შესანიშნავს ეპიზოდს უშისონატესი მნიშვნელობა აქვს პო-
ემის მსევდელობაში, ვათ ბეზნიერის დასასრულის მომასწავებელისა.
აქედან იწყება ტარიელის «ცეცხლთა შეუტა», ძირიანად იცევება მა-
სის სულის მდგრამარება და ამისდაგვარად იქცევა მოთხოვნის სა-
მცევი, რომელიც თან-და-თან სიმსიარულისა და ძლევა-მოსიღლობის
გაღლოდ ხდება. ამიტომაც გასაკვირველი არ არის, თუ ამ ეპიზოდს, —
თავის თავადაც შეკნიერსა ფსიხოლოგიურის სინამდვილით, — ეა-
ბას მწევდებმა უკრადება მიაქციეს და ეცადნენ თავისებურად შეე-
კროთ და განემარტოთ.

ზემო-მოუკანიდს ეპიზოდში სამი ფისხოლოგიური მომენტია:
ტარიელის გულის შემოყრა მეტის სიხარულისაგან, აკათანდალისა-
გან მისი შეელა მოსაბრუნებლად და ბოლოს, ტარიელის გონის
მოსეკლა. ორს შირველს შემთხვევას შესხენ ყალბის - მქნედნია,
შეჭრუვნეს მოთხოვნის ტექსტი და იმდენად შესცვალეს ფაქტების
გათარება, რომ გიმორთა მოქმედება და სელის მდგრამარება უგუ-
ნურად და დაუკურებლად გახადეს.

შირებელი, საკითხავია, როგორ უნდა მომხდარიყო ტეატრი-ელის გულის შემოყრა? ამ გრანი შემთხვევა რომ არც გენა-ხესთ, მაინც ადგილად წარმოიდგენთ მისს კითარებას, თუ სახე-ში გემნებათ მხრიდან საერთო ფიზიოლოგიური კანონი: რაც უფრო ძლიერი, მოუღოდნელი და არა-ჩეკვებრივია ნერგების შემ-ძლებლი შთაბეჭდილება, მით უფრო მძაფრია და, სახითო და სწრა-ვია მისი შედეგი, ეფექტი ადამიანის სხეულში. ამიტომაც ელვასა-კით მოკლებილი მწეხარება ან სისარული კაცს ელდასაკით დამ-სობს. ტარეველის უოფაც სწორებ ასეთია: თავისს სიცოცხლის საწადების მაშინ მიხვდა, როდესაც უკედა იმედი წარეგეთილი ჭრი-და, არც მოედოდა და არც სჯერდა ოდესიმე ასრულებულიყო. ნეს-ტან-დარევანის რიდის დანახვამ ერთხმად გამოუცხადა, რომ და-კაგული სატრიფო ცოცხალია და მოჰკებულია, და ამ უკცარმა გა-მოცხადებამ ცნობა წაუდო. როგორც საბნელეს შეჩერები თვალს, თუ მოუღოდნელია შექმი ერა, ერთს წამს დააბრძანებას, ისე უაღ-რესმა და ანაზღეულმა სისარულმა დაუხმო უოგელი გრძნობიერება ტარეველს, დაუსრულებელ ჭმუნებს შეჩერებას.

რესთაველი თავისებურის მხატვრულის სტილით გვისახავს სისწავეს იმ შთაბეჭდილებისას, რომელმაც ძირიანად შესცემული ტარეველის სულის მდგომარეობა და იმ საპირისპირო გრძობათა კეთებისას, რომელიც მოხდა მისს გულში. სატრიფოს რიდე, «რა ტარევლ ჭიასა, იცნა, გამოუღო, შემოკარდა» (ხ. 1333). ტარეველის დაბნელა რომ ერთ წამს მოხდა და აკთანდილისათვისაც მოუღოდ-ნელი და უკცარი იყო, — ეს აკთანდილის საქცევლიდან ცხადად სჩანეს: აკთანდილ უკერეტს ტარეველს, უსულოდ ქვე-მდებარესა, შექვრინ-და, შეეღად მიქმართა მას, ტებილად მოუბარესა» (ხ. 1335). აკ-თანდილს რომ სცოდნოდა, თუ ვით მოიქმედებდა ტარევლზე მა-სის სატრიფოს ამბის გამოცხადება, გაკირებული «ქვე-მდებარე ტა-რეველს უკერეტას» რიდი დაუწეულდა და საშეეღად რიდი «შექვ-რინდებოდა», არამედ წინადევ იღონებდა რასმე, რომ ესეთი უგა-ღური უოფა მოუკისათვის თავიდან აცილებასა და, თუ მაინც აუ-ცილებელი იყო, მისს მოსაბრუნებლად წინადევ დაეზიადებოდა, რომ ასე სახტად არ დარჩენილიყო. ამ ეპიზოდში გელაგ ცხადდება სი-

ტურთუ და ძლიერება რესთავების სტილისა, რომელიც შთაბეჭდილებისა და მოვლენის სისწავეს გმირთა მოქმედებითა და მდგრამარქობათა ცვლილებით გასაცავს.

ტარიელის გულის შემთხვევა რომ სწორედ ზემოსსენებ ულის ფიზიოლოგიურის ქანონისმებრ მოხდა, ეს გვალად მტკიცდება აგთანდილის სიტუაცით, როდესაც გმირი თავისს თავს წინდაუხედობას აუკედრებს: «წელი სწრაფით რად დაკასი ცეცხლსა მეღლად დასამრეტს! ჩქარად ეცის, გრ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა» (ს. 1337).

ეს:ხთო ესლა რამდენად კონსტიტუ აზრს ტარიელის დაბნედის კოთარება, მე-1334 ხსნაში აღწერილი:

«წიგნი და კიდე რიდისა იცნა და გაცაშლა მან, შირსა დაიღვა, დაეცა გარდმან ფერითა მკრთალამან». — ამ ივრაზეაში ოთხი მოქმედება: ტარიელის სატრიტოს ნიშანი იცნა, გაშლა, შირს დაიღვა და დაეცა. ამათგან შირკელი — «იცნა» — მეტია, რადგან წინა ხსნაში უკეთ მოხსენებულია, რომ გმირმა სატრიტოს რიდე იცნა; «დაცემაც» არ არის მაინცა და მაინც საჭირო, იმიტომ რომ მე-1336 ხსნის ლექსით — «აკათანდილ უკერეტის ტარიელს, უსულოდ ჰეკ-მდებარესა» — უკერელად ცხადდება, რომ ტარიელ გულ-შემოურილი უნდა დაცემულიყო, თვალია «უსულოდ ჰეკ-მდებარეც» არ იწესდოდა. ხოლო არ უკესება წიგნისა და რიდის «გაშლასა და შირსა დადებას», ეს ახალი გარემოება სრულდად სცელის დაბნედის ამბავს. რიდისა და წიგნის გაშლასა და შირსა დადებას დრო უნდა, ერთ თვალის დახსამსამებაში ეპრ მოხდებოდა, და მაშსაბამე რიდის ცნობასა და ტარიელის დაბნედის შორის რამდენიმე ხსნი უნდა გასულიყო, რომლის განმავლობაში გმირს, თუ თავის უკესება და გრძნობის ძლევა არ ჰეკმდო, ცნობა ჭერ დაკარგული არა ჰქონდა და შთაბეჭდილებას ჰებრძოდა, და ამ ბრძოლაში ცნობას ერთბაშად კი არ დაჭკარგავდა, არამედ თან და თან. თუ ტარიელს გული ერთბაშად უმოგეარა, აკათანდილ დას მიასწრობდა დროზე მიშეცელებოდა, გაკვრიცებული «ჭერისა» არ დაუწეუბდა, არც «შემზღვინდებოდა» და არც მეტე იტელდა: «ჩქარად ეცის, გრ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსათ».

ესრულ, მე-1334 სანის თქმით ტარიელი; გულის შემოყრის უკრად და მოუღოდნელად კი არ მოხდა, რიდის დანახვისათანავე, არამედ მას შემდეგ, რა მოუმეძ სატროფოს წიგნი და რიდე გამადა და შირსა დაიდეა, და ამის გამო ფსიქოლოგიურის ფაქტის თვალსება სრულდად შეიცემდა და ადარ კონსემება შოუტის წარმოდგენილს სურათს.

მე-1334 სანის მეორე ნახევარში მედექსე აგვიწერს ტარიელის დაბნედის სიმძიმესა და მისს მაზეზს. თუმცა ეგ აღწერაც მეტა, რადგან თვით შოუტი მოგვითხრობს გმირის უკადურესს მდგომარეობასა და მისს მაზეზს, მაგრამ მაინც უურადღების ღიანია, მათ რომ აქაც მხილდება სანის სიყალე. რესთაველი გვიამბოს, რომ აკოანდილმა «ერ არგო დამწვარსა, სრულად ცეცხლნადებარესა, მისთა ნიშანთა სიცოცხლე», მათ მისი მიიბარესა». — სატროფოს რიდება და წიგნის ტარიელის ცნობა და სიცოცხლე წაუღეს და ისე შეაცემენ და «მიიბარესა, რომ აკოანდილმა ერ მოაბრუნესა, ერ გამოაცოცხლათ. ამის ბადლად ყალბის-მქნელი გვაუწუებსა, რომ ტარიელის «სულინი გაექცნეს, მოდრიგნა თავი გიშრისა ტალამანო». მეტაფორას, რომელიც ამ დექს ს შეგნებს, თეიმურაზ ბარონის შეიძიო ასე გვიხსნის: «ტალა მცეკვთა ეწოდება, ე. ი. ყარაულთა. გიშჩის ტალას მესტიის ქახის წამწამთა, რომელიცაც თვალისა მსიდავნია არიან; კარშემო თვალისა შემოსკეულია, მსიდავნად, დამცეკვლად დაისახვიან. ასე რომ «გიშრი» შაკი თვალებია, მისი ტალა — წამწამია და მაშესადმე თუ წამწამმა თავი მოდრიგა (?), ეს გეტეგლად იმას უნდა ნიშავდეს, რომ ტარიელის თვალები დაეცეცა... განა საგანგებო და საკვირველი რამ ამბავი არ მოხდა, გულ-შემოყრილს გაცის თვალები რომ დაეცეცა? და განა დაისია არ იყო ასეთი საუცხოვო და შესანიშნავი მოკლენა შესავერის მეტაფორით შემკობილიერ!?

რასაკვირველია, სულის გაჭრება და თვალის დახუჭა სერ სახეს ტარიელის უკადურესს მდგომარეობას, და დაბნედის სიმძიმის დასახასიათებლად ყალბის-მქნელი დასძენს: «მისინ ერ გასძღნეს შატიერი ერ განს, გერც სალამან». ამას იქათ როგორდა დაეცეკერება რესთაველს, გათამც ტარიელის გულმა ერ გაუსწო ლხინსა

მეტის-მეტისა, რომელიც მას ჩქარად ეცაო? ნამდვილი გულთა-მხი-
ლავი მე 1334 ხანის დამწერია, რომელმაც გვპტინო, რომ დაკარ-
გულის სატრფოს მოპოვების წილაშ ტარიელს, სიხარული კი არა,
— ისეთი ჰატიფი მიაუქნა, რომელსაც გრო აიტანდა კერც მმის-მეტე-
ლი კაენ და გერც... საღა! ვინ ან რა არის ეს «საღა», ჭვა თუ კაცი?
— ამას ჩენება საუბრულოდ, კომენტატორი არ გვისწინან, მხო-
ლოდ ვახტანგ-მეფის გამოცემულს «ეგვიპტის-ტეათრისანში» ვპოვები
ასეთ განხარტებას: «ეკენ და საღა ლონივე ანი კაცნი არიან. ეს
ავის კაცებისათვის უნდა შეეძლობინა, კარგისათვის არა, მაგრამე
შორს ჩას სააღა არ უთქვაშს». სწორედ მოგახსენო, კანისაკით-
ავი ან იმაზე უარესი კაცი სახელად «საღა» არავინ მეგულება, და
არცა მგონა უფლიბიერს ვინმე, თვარა მისი სახელი ისესე ცნო-
ბილი და გაგრცელებული იქნებოდა, როგორც კანისა, ამიტომაც
უფრო საგონიერებლია, რომ «საღა» ამ ღექსში მხოლოდ ჭვა არის.
მაგრამ «საღა» — ქვა თუ ავის სახელი, მაგ კარემოხას ღექ-
სისათვის, გარდა სტილის უგვანებისა, დიდი მნიშვნელობა არა
აქვს, აქ საქმე ას არის, რომ ტარიელის სულის მდგრამარების
გამოსახვაში ყალბის-მქნელი სრულიად არ კთანხმება რესთაველის
აზრს: სადაც პოეტს «მეტის-მეტი ღხინია ჰგრინა, იქ უაღბის-მქნე
ლი კანის ჰატიფსა ხედავს.

მეღებს ეთუმცა ძალიან ეცადა, დასასრულ, გადაჭარბებულის გა-
მოსახვით ტარიელის უკიდურესი მდგრამარებისა წარმოედგინა და
მით მეთხსელის გული შეერთა, მაგრამ ლრიგინალური მაინც კარ-
მოახსერხა-რა. ღექსის აგბულება ცხადად გვანიშნებს, რომ იგი მხო-
ლოდ უწნო მიბაძეა რესთაველის ცნობილის ღექსისა: «იგი ჭირა-
არ უნახავს არ არის კისისა (ჩ. 182 გვ. 40).

რამინისა და ვისის სტენებაზე მომართება ერთი «კისრამია-
ნის» ეპიზოდი, რომელსაც დიდი მსგავსება აქვს აწინდელს ტარიე-
ლის დაბნელის აბიათან, და ამიტომ საჭიროდ გრაცს მეთხსელის
წარკუდებით ჩემის აზრის დასამტკიცებელ საბუთად.

მოგეხსენებათ, რამინ რომ ვისის გაუკარა, გროვას წავიდა და
იქ ცოლად მეფის ასული გულ შეირთო. მაგრამ განკლო დრომ და
უხანო მიწნერს უწინდელი სატრფო მოაგონდა, ვისის სიუკარული-

„გეფხის-ტეატრის“ ეპლი ადგილები

გაუსლდა, დასთმო თავისი ცოლი გულ და მარაჯეს ქალაქს გამოი-
წინა. კისი დიდი ხენია რამისს მოელოდა და, რა შეიტუ მისი წა-
მოსკლა, გზაში თვისი ქაცი დახვედრა, რომელსაც გაატანა რამი-
სის მისართმევად თვისი წიგნი, ბერანგი და თავ-სახურავი (იგი კი
როდე).

რამის «წინა ემთხუა კისის მოწიგნარი ადინა. რა შორს
დაინასა და იცნა, სისარულითა გული კითა გარდა გაედო, ცხენი
შეუტავა და ფიცხლად მივიდა. ადინა ცხენისაგან გარდავდა. თავია-
ნისცა და მიწასა აკოცებდა რამის წინაშე. მისგან კისის სურე-
ლებისა სული ერტოდა. კითა თუთ კისის ამბგის მდომელი, აგრე
გაეხარნეს მისი ნახევა. მხიარულად მოიკითხა და ერთშანერთისა ნა-
ხევისათუის ღმერთსა მადლი მისცეს. ცხენი კი გამოახნეს და მწუ-
ნესა ზედა დასხდეს. რაცადა მოციქულისა ჭრონდა მოახსენა, კისის
მაგიერი საჭამი და სურვილი. მერმე წიგნი, კისის ბერანგი და თავ-
საბურავი მიართეა. რა რამის კისის ნიშანი დაინასა, კითა ცხრი-
აინი ათრთოლდა, დაბნდა, ცხობათა მიჰყდა, წიგნი პელთაგან და-
კარდა.

«მერმე რა უუნებად მოვიდა, წიგნის წაკითხუა დაუწუო და კიდ-
რე გასრულებამდის სისხლ-ტეულითა ცრდებულითა დაასოველა წიგნი,
კისის ბერანგი და თავის საბურავი. მისითა სისხლითა დასური-
ლიეთ, ზოგჯერ შირსა დაიდგის და ზოგჯერ მკერდია. წამსა და
წამსა დაბნდებოდა. კითა ღრუბლისაგან წეალი გამოვა, ეგრე მისია
თვალთაგან სისხლი; კითა ღრუბლითაგან ელეა გამოვალს, ეგრესი
მისის გულისაგან ცეცხლი და პირისაგან კუმლი. ზოგჯერ ტი-
როდის და ზოგჯერ სულთქმიდის; ზოგჯერ სელთაპრ დაზახნის
და დაბნდის; ზოგჯერ უსიტუო ქილი გატედის; ზოგჯერ შირ-
და დაბნდის და საუკლოთა გარდაიხევდის. ამა კისისა ბერანგისა
და თავისა საბურავისაგან კისის სულისა ცემაშან ესრე ცნობათა
მიჰყდა მისითა სურვილითა, რომე გონება დარისი ჭრონდა და
თუთ კითამცა გულისა ქეცულა აღარ გარდასრულიყო». (გვ. 337
და 338).

მიაქციეთ უურადღება მთხროსელის სიტემას: «რა რამის კისის
ნიშანი დაინასა, კითა ცხრიაინი ათრთოლდა, დაბნდა, ცხობათა მიჰ-

და, წიგნი კელთაგან დავარდა. მერმე რა გუნებად მოვიდა, წიგნს წა-
კითხება დაუწეოვა... ტარიელიც, რა ნესტინ-დარეჯანის ნაშანი იცნა,
მაშინეუ დაბნდა, და მერე გონის რომ მოვიდა, «ქახა ნაწერი კელაგ-
ცა მეტელისა მისისა, იკათხავს, თუცა ამეფებს კითხება წიგნისა
მისისა» (ჩ. 1343, გვ. 302). რამინის გულს, კათ ტარიელისას,
«მეტის-მეტი დაბინა ჩქარად ეცა და ელდასაკით დაამხო. პირველი
შთაბეჭდილება ისეთი ძლიერია და გონების მომმუსრეველი, რომ
ორსაკე მოუკვს ერთგვარად ცნობის უხდის და არ აცლის რამი
მოიქმედონ, არც ნაშანი გაშალონ და გაშინჯონ და არც შირს და-
დკან. მაგას რამინ მსილოდ მაშინ იზამს, როდესაც პირველის დაბ-
ნედისაგან «გუნებად მოვა».

თუ სატრიფოს ნაშნის დანახვამ ასე მოიქმედა რამინზე, რო-
მელსაც კის ცოცხალი, მისი მოძღვოდინე და მისი მოსურებული
ეგულებოდა, რაღა უნდა დამართოდა ნესტინ-დარეჯანის რიდის და-
ნახვათ ტარიელს, რომელსაც სატრიფო სამუდამოდ დაკარგული ეგო-
ნი? ტარიელის გულის შემოურის მიზეზი, რასაკვირველია, უფრო
მოულოდნელი იქო, კინემც რამინის დაბნედისა, და მაშასადამე ეფე-
მტიც უფრო სწრაფი იქნებოდა.

ფისიოლოგიური ფაქტი როსაკე პოემაში ასეთის სრულია
მსგავსებით გამოსახული, შემდეგში თვალსაჩინოდ განსხვავდება, და
ეს ცელილება წარმოსდგება გმართა სიყვარულის სხვა-და-სხვათა-
საგან. რამინ ხერციელის სიყვარულით განსხვავდული, ტარიელ
კი ღდეალურის მიჯნურობით. ამიტომაც რამინ, ცნობას რომ მო-
ვიდა, კისის შერანგისა და თავ-საბურავის ნახვით კელაჟ სელდება.
კისის სუნისაგან დამოკრალი და კისის სურვილით განძინებული,
ბნდება, ეშმაკეულისაკით შეფოთავს, შმაგობს და შიორებს. ტარიელ
კი, რა მოსულიერდა, სრულიად დამშვიდდა, მას აქეთ მორჩა ბნედა-
სა და სელობას, თავისი თავი სელი იგდო, ცნობასა და გონებას
მოვიდა და მსოლოდ შეკბის ცრემლსა დგრის.

ტარიელის საქციელი, მე-1334 ხანში აღწერილი, იმდენად ჭერი-
სამინის შმაგობას, რომ დიდად საკრია, რომ ეს ხანა ზემო მოუ-
კანილიას «კისრამიანის» კიზოდის შთაგონებული არ იყვეს, კად-

ბის-მქნებს მსოდოდ გერ გამოუწყვევა თან იგი ისისოდობიური მომენტი იმ ეპიზოდშია გამოსახული.

*

როგორც მე-1334 სანის დამწერი გერ მიხვდა ტარიელის სულის მდგრამარებას და თავის გაეგებრობათ შესწავლა ფსის აღმოგიურის ფაქტის მნიშვნელობა, ისე მე-1336 სანის შემთხვევებს არ ესმის აკთანდილის საქვიდე ტარიელის მოსულიერების დროს და თავისებულის გადასხვა ფერებით გრძირის მოქმედება უგუნურად გამოჰყავს.

აკთანდილმა რა თავისი მეგობარი «ეს ულოდ ქვე-მდგბარე» ნახსა, შეეღად მივარდა, მაგრამ კრა არგო-რა. შემანებული მოწმე თავისი თავის აუკედრებს მოუკრის სიგვდილსა და ჭიშრას თავისი ახ-ქარებასა და მოფეფიქტებლობას. არავითარ საბუთი არა გრძებს ვა-ფიქროთ, ვათამც ეს უკედრება და გმობა აკთანდილის სმა-მაღლა და მოთქმით ეთქვას, ან მის სათქმელად გულ-შემოურილის ტარიელის თვის თავი დაქნებებინოს. თვით რუსთაველი (ს. 1337) არ გვა-ნიშნებს, თუ როგორ წარმოითქა ეგ სატევა, მაგრამ, აკთანდილის სასიათის მისედგათ, გერებადა, რომ მაგის სათქმელად გმირი რო-დი მოსცდებოდა საქმეს და განზრას სატიროდ როდი დაჭდებო-და; თუ თავისი თავის აუკედრებდა, ტიროდა და პირს ისოდა, — ისევ მოქმედების დროს, ტარიელს რომ სეჭას უბრუნებდა.

ამის წინააღმდეგ, მე-1336 სანის დამწერი ისე წარმოგვიდ-გენს ტარიელის მოსულიერებას ამხავს, ვითამც აქთანდილ, გულ-შემოურილს მეგობარს რომ კრა არგო-რა. «დაჭდა ტირილად, სტირს სმითა შეკრიბითათა... თითქო ზარის-მქმელი იყოს და მგლოვიარე ნათესავებთან მოწევბილის მოთქმითა და თავში ცემით თავი უნდა გამოახინოსთ. მერე, რას კეგლუცობს აკთანდილ, ვინ არის მისის მშენიერის სმით ტარიალის მომწონებელი, თუ უდან-ნოში მარტოსხელას, გულ-შემოურილის ტარიელის მეტი, სხვა მსმე-ნელი არავინ უკის? ეს სეჭადური და პრანქია ლექსი, უკრებული, იმავე მწიგნობარის მომწმარებელი იქნება, რომელმაც ამას წინ ტარი-ლიც ატირა: «ტარიელ მოსთქმა ტირილით სიტევა ნატიფი, მქმე-რებითა» (ს. 1330). — იგივე სტილი და იგივე გემოგნებაა. მსგავ-

სება თან და თან სრულდება მე-1336 სანის დანარჩენს ღეჭსებში; სადაც იმ გვარსაც უშორ და დახლათულს მეტაფორებსა და ფუქს ფრაზებსა გმოგებთ, რაც მე-1330 სანაში გნახეთ.

შეენირის ხმით მტირალი აკანზილ, «ყორისა გაჟგლევს სშირ-სშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა» — მწიგნობრულს მეტაფორებს შეჩეული მყითხევლი ადგილად გამოიცნობს, რომ «ყორანია» აქ შავი თმა არას და «ბროლი» — თეთრი სელები, და მაშასადამე ღეჭსი იმას გვამცნებს, რომ აკანზილ თმის იგლევდა და იშლილათ. შემდეგს ღეჭსი — «გაჟერთქა ლალი გათლილი ანდამატისა კერითა» — რაიმე აზრი მხოლოდ მაშინ მოითვავს, თუ «ლალია ლოუებს დავამგზავსეთ და «ანდამატის კერი» — მეშტია, თვარა უკანასკნელი ღეჭსი — «მუნით წყაროს გამოჰსდეს, მოწია კამზგავსე ფერითა», — რომელიც, უკეცელია, სისხლის ჩამოდენის ნაშავს, სრულიად გაუგებარი დარჩება.

თუმცა მეტაფორების ნამდვილი აზრი ეს არის, მაგრამ ასეთის მნიშვნელობის ღეჭსი მეტის-მეტად დუქტერი იქნებოდა და რესთაველს გეღარ მიეწერებოდა. თემურაზ ბატონის შვილმა, ეტერა, იგრძნო მათი სიღვარირე და ამიტომაც ცდილობს სხვათრიგ განმარტის, სხვა რაიმე საპოვზით ხატი გამონახოს და ღეჭსი რაიმე შენ მისცეს: «აფრთხობს ბროლისა ჭერითა. აფრთხობს — აფრთხიალებს. ოდეს ჭელაკს მთრინველთა კაციო, ამბობს კომეტატორი, უამსა მას სასიკვდილოთ მიმოკვეთებასა მიყრინველისასა ფრთხიალი ეწოდების. ფრთხოლილიან არის ეს ღეჭსი მობილი. ჭერითა, ეს იგი მშერობელი ყორნისა აკანზილი, ბროლისა ჭერითა, ოდეს სელთა იშერობდა ყორანია და ეგრეთ გუდსა (თავსა?) ზედა კამარისა რამსამე სახედ, სელთა ურთიერთ არ მათხლებდა. მაშინ სელისა მისისა ნაკვეთობანი ბროლისა რამსამე ჭერსა ემს-გაკებოდის. — ესეცა არ მეტაფორია აზიელთა მელექსეთა. განმარტებელს ჭირნია, ყორნის ფრთხობა თუ ყორნის ფრთხიალად შეცემა და ზედ რადაც ბროლის კამარა გადაეფარა, კათომც ღეჭსი და შეცემა, ის კი არა — უგვანო ხატი სრულიად შეუძლებელი და წარმოუდგენელი გახდა. თუ თმების აშლა და გაწერა, მაღადატანებით, უორნების დაფრთხობასა და გადაფას როგორმე დამსრგავსება, თმე-

ბის ფრთხილი მომავავდა ფრინველსაკით, და ისიც ბროლის ჭერთ-
ჭერაში, არაფერს არა ჰქონა.

სხვა დექსების განმარტება უფრო ასირებულია: «გახეთქა ლა-
ლი გათლილი ანდამატისა პერითა» — ლალი გათლილი ტუხინი
არასო, განაგრძობს ბატონის შვილი, ანდამატი აღმასაცა ეწოდების,
ჩვენისა ენითა, და მაღნიტისაცა. ოდესცა გაცსა უეცარსა ამბავსა რამ-
სამე უთხრობენ და იგი მოუთმენლობითა სმენისა მის ამბისათა
გულ-მურვალი იქმნების, ესე იგი გულშემოურილ, მაშინ ტუხინი გა-
უსდებას, გულშემოურისა შინა სიყვარულითა გნებულსა შემთხევ-
ებასა ესე ვითარსა შინა და სისხლი გადმოუდინებათ, რომელიცა აქა
შეუმსგავსებას ბიწისათვის, გინამდან ძოწეული შეენირდ წითელი არის.
ანდამატი გინამდან უმტკიცესი ნიკო არს, უფრორე ძლიერი, გმი-
თებაცა ჯერარს რათა აქნებეს და მეორედ, ანდამატი, გინამდან
მიზზიდველ არს რეინისა, ვითარცა სიყვარული გულისა არს მიმ-
ზიდველი, ამისათვის სიყვარულისაგან მიზიდვა ესეოდენ ეგვითა ტა-
რიელისა, ამბისა მის სმენითა, რომელ ვითა ალმასისა ანუ მაღნი-
ტისა გმერი ჭირე. არა ღია მაგარსა სპეციალი და შემუშაოს. ესე
სახედ, ვეღარა თავს იდებდა მოთმენისა ესე ვითარსა გვეთებასა და
მიზზითა ამით დაბნება, გაუსქდა ტუხინი და გარდმოუდინა მუნით
ძოწის ფერი სისხლით.

მწესარებისა ან მეტის სიხარულისაგან გულშემოურილს კაცის
ორმ ტუხება გასკდომოდეს და მენით სისხლი გადმოსდინოდეს,
მაგას არც ერთს ფიზიოლოგიას სახელმძღვანელოში გერ ჭოვებთ,
ეგ ამბავი განგება ამ შემთხვევისათვის არის გამოგონილი. მაგრამ
ეგრეც რომ იყოს, როგორც ქომქნტარი მოგვითხრობს, საუც-
ხოვო ის არის, რომ ამდენ ბრძნებაში ბატონის შვილს დააკიწედა
რომ, რასაც ბრძანებს, ტარიელი უნდა მოსკლოდა და არა ავთან-
დილს, მე-1336 ხსნა გი გრამატიკულად ისეა აგებული, რომ უოვ-
დად შეეძლებელია მისი ნათესები სხვას კისმე შეესბოდეს თუ არ
ავთანდილს: ავთანდილ დაჭდა, სტირს, უორანს გააგღევს, აფრთ-
ხობს და ლალი გაჭერება, — ად შერიოდის გონისტუქცია. თუ გა-
სდება ლალი, ისეებ ავთანდილისა.

დარჩა ისევ ზემოუკანილი ჩემი განმარტება, ორმეტიც უფრო
შარტივია, დასაჯერებელი და მე-1336 ხანის აზრთან დაახლოებუ-
ლი, — ისა რომ აკანდილ ტიპოდა, თმას იგლეჭდა და პირში ცე-
მით სისხლი დაიდინა. ხანის რომ მსოფლიდ ეს აზრი უკის, იმითაც
მტკაცებდა, რომ მისი დასაბამი იქნება ასლოა, შემდეგ ხანაში: ცირ-
სა იხოქს, დაწვეს სისხლი ჩასდათდა მისეა მწერეტისა (ხ. 1337).
აქ იგივე ჩეკულებრივი ყალბის მქნელის ხერხია: ოუსთაველის ღებ-
სი ტემად აიღო, გააკრცელა, გააზიარდა და მეტაფორებით მოვაზიმა.

მაგრამ გარედან რაც უნდა მოგაზიშელი იყოს, ხანის შინაგასი
მაინც უგუშებრია. მართლა და, კინ ან როდის მოქავეულა ამ გვარს
შემთხვევაში ისე, ორგორც აკანდილ სჩადის, თუ არ საარაკო კინ-
მე რეგებნი და ჩათლახი? კაცს გულშემოურილი მეგობარი ჰეკანდეს
და იმის მაგიერ რომ უშეკლოს რამე, ის დაბნედილი მოვკარ მაგ-
დოს, თათონ ეი დავდეს, სტიროლებს, თავსა და პირში იციდეს
და მოსთქვამდეს ეხმათა შეენიროთაში: ეს სისულელე იმისაგან
წარმოსდგა, რომ ყალბის მქნელი კერძო მასკვა, რომ აკანდილის
მონალოგი (ხ. ხ. 1337 და 1338) შეელის დროს, გულში იყო
წარმოთქმებულა და მისს სათმელად ტარადითა და კაბით, აკან-
დილ ჭირის-უფალსაკით დასკა.

სოლო როდესაც ტექსტის მე-1336 ხანის აგარღით, მაშინ
აღმოჩნდება ლოდავერ კავშირი მე-1335 და 1337 ხანებისა და
გამოცესადებება აკანდილის ხამდევალი საჭირები. გმირი ისე იქცა-
კა, ორგორც უკეთა განიერი კაცი მისს ყოფიში ჩეკულებრივ და
ბუნებითად მოიქმედებდა. თავისა მეგობარი გულ-შემოურილი რომ
ხახა, საშეელად მიკარდა, უკეთა ღანეს ხმარობდა მისს მოსაბრუ-
ნებლად, მაგრამ კერძოს გასდა; რასაკვირკველია, აკანდილ დადსა
ზორუნებასა და მოუსკენელობაში იქმნებოდა და, რადგანაც ტარიელ
მისის მიზეზით დაბნდა, თავისის თავს წააუკერებდა და დაჭირობ-
და, სინახულით იტირებდა და თავშააც წაიშენდა, მაგრამ მაგ სი-
ნახულისა და კერძებისაოვის თავისს საქმეს, მოუკრის მოსულიე-
რებას, მაინც არ მოსცებოდა, დაბნედილს არ მარებებდა, და თა-
ვისს თავს მოქმედების დროს, სხეულა შორის, წააუკედრებდა და
დაჭირობდა.

„გეფხის-ტეატრის“ ყალბი ადგილები

განაგრძეთ გონებით წარმოდგენილი სცენა ტარიელის მოსული იქნებისა, მერე კვლავ გადივითხეთ ეპიზოდი და უპერელად დარწმუნდებით, რომ მე-1339 ხანაც მოთხოვდისათვის მეტია. ეს ხანა მე-1336 ხანის შედეგია, — ყალბის მქნელს რომ ერთი არ ჩაემატებინა, არც მეორის დაწერა დასჭირდებოდა.

ზევით მოგახსენები მკითხველის, რომ ყალბის მქნელთ შეკრულების ეპიზოდის ორი ფსისოდოგიური ფაქტი: ტარიელის გულის-შემოურა და აკთანდილისაგან მისი შეკვეთა. ტარიელის დაბნედის მიზეზი ვიცით: მეტის-მეტი სიხარულია, რომელიც მისს გულს მოულოდნელად და ერთხმად ეცა, აკთანდილის მოქმედების მიზეზი კა, — გარდა მეგობრულის სიკურელისა, რა თქმა უნდა! — სიხარულის გრძნობაა. აკთანდილ თავისს თავს დამნაშავედ სთვლის, იმიტომ რომ მისის ახტარებისა და წინდაუხედაობის მიზეზით არ დაცალა. ტარიელის თანდათან შეკრულ სასიხარულო ამხავი და უცარის გასარებით კინაღამ მოჰქმდა. დამნაშაბაის ხსნოვნა და სიხარული იმ განუწყვეტელი ძალად და სასხსელერთა შეიქმნა, რომელიც აკთანდილის მოქმედებას აცხოველებს, აქეზებს და მოსკენებას არ აძლევს, სანამ გულ-შემოურილის მეგობარს მოასულიერებდეს.

ყალბის-მქნელმა აკთანდილის სიხარული ცალებს საქმედ გასადა, რომელიც გმირის მოქმედებას ორად ჟეროვს. მე-1336 ხანის ჩამარტებით ისე წარმოგვიდგინა აკთანდილის საქციელი, კითომც მოუმეჯერ თავისს მეგობარს შეკლოდა, მერე მოთქმითა და ტირილით სიხარული დაიწერა და, როდესაც მოიტირა და სიხარულის მორჩა, კვლავ შეედგა მიტოვებულს საქმეს, ტარიელის შეკლას. ასეთის გამოსახვით გმირის მოქმედების ერთიანობა დაირღვა და მოთხოვდის საგანი გაორენდება და მაშასედამე მკითხველის ეურადღებაც თრად უნდა გაეოფილიყო. რახან ყალბის მქნელმა მკითხველს გულის-ური აკთანდილის მოქმედებას ააცდევინა და ახლა კვლავ ქლამის იმავე საგანს დაბრუნებულებს, იმუღებულია კვლავ მიაშურევინოს მკითხველს გულის-ური დაკიწევებულს ფაქტებს, მოაგონოს ტარიელის დაბნედა და აკთანდილისაგან მისი შეკვეთა და ესრედ შენასკორს გაწყვეტილი მოთხოვდა. — ეს არის მე-1339 ხანის საგანი.

მაგრამ ხანა ისე უსეაროდ არის; ჩატერებული მოთხოვთაში, რომ აკანზილის საქციელი საგანგებო უგუნდრობად წარმოგადგებ პა. ხუ ამოშლით ტექსტიდან ხერც მე-1336-ს და ხერც მე-1339 ხანას და ხახეთ რას ჩადის აკანზილი: გულ-შემოყრილს ტარიელს რომ გერა არგო-რა, დავდა სატირლად, თმას იგლეჭს, ცხვირ-ტირს მუშტის ცემთ ისისხლებს და მოსთქვამს «ხმითა შეკნიერთა»; შერე, მოთქმა რომ გაათავა, მოაკონდა, რომ მისს მეგრაბარს, რომელიც ეუცნობო-ქმნილი ძეს მზიგასად ნატესადისად, მაანც შემ და უნდათ და მისვდა, რომ დაბნედილისათვის ჯერ წეალი არ შეუ-ცკურებდა; მაშინდა ადგა და წაგიდა წელის საძებრად... განა ასე მოიცემა გონიერი კაცი, რაც უნდა დავეთებული იყოს მეგობრის გულის-შემოყრით?

ტარიელის მოსაბრუნებლად აკანზილის, რასაკვარკელია, არა-უკრია წამალი სელთ არ ექნებოდა, მაგრამ მნელა წარმოსადგანებულია არ არის, თუ რა უნდა ედონა გმარს ამ გაჭირებულს მდგომარეობაში. ეკელამ იცის, რომ მაგ შემთხვევაში გულ-შემოყრილს, თავს აუწევნ, საყელოს გაუხსნან, შეარცევნ, ხმა-მაღალა უხმობენ, ერ-თის სატევით, დღოლობენ გონება გამოუღვიძონ; ესეც თუ კრ შეგ-დის, წეალს შეაპეურებენ. მაგრამ ეს უკანასიერები ღონეც მშეგებელს რომ სელთ არა ჰქონდეს, რას იზამს: სატირლად დავდება, თუ წეალზე გაიცემა? — სატირელი მაშინ გახდება, თუ უკანასენელმა ღონემაც გერ არგო, სანამ კა კინ გამოჩერეტებული დარჩება შირ-დია? სწორედ ასეთს ჩერჩეტად გამოაჭევს ყალბას-მქნელს აკან-ზილ მე-1336 და 1339 ხანებში.

ფესახთლოვიურს სიცრუეს გარდა, რომელიც მ-1339 ხანს შემოაქეს მოთხოვთაში, მისი სტილიც უტევარი საბუთია მისის სიყალისა.

მოთხოვთაში გიცით, რომ აკანზილ, თუმცა პეპრი ეცადა, გერა უშეელა-რა გულ-შემოყრილს მებობარს. ახლა მთხოვთხელმა უნ-და გვიამბოს, თუ კით გათავდა ბოლოს და ბოლოს ტარიელის დაბნედის ამხავი და რა იღონა აკანზილმა მისს მოსაბრუნებლად. რესთაველი მოგვითხოვთს, რომ «აკანზილი მეტდეს დასსხა მას დომისა სისხლი დომისა», ტარიელ შეპტოთა და მერე თან და ხოა

„გეფხის-ტეატრის“ უნდობა პდგრდები

გონის მოვადაო. დააკეთდით როგორ გაანაწილა პოეტმა მოთხ-
რობის მასალა: აკთანდილის შეეღას მხოლოდ ერთი ლექსი მოან-
დომა, დანარჩენი სამა ლექსი კი—ტერიოლის გონის მოსკლას და
კელავაც განაგრძობს ამავე საგანზე შემდეგს ხანებში საუბარს. დაა-
დაც ასე მართებდა წესიერს მოთხოვთას, იმიტომ რომ მოთხოვთ-
ბის უპირატესი საგანი ასლა ტარიელისა გონის მოსკლას და არა
აკთანდილისაგან მისი შეეღას, რომელზედაც პოეტმა ამას წინ საჭ-
მაოდ იღაპარავა. ამ მიზნის მისედევთ მთხოვთ უნდა დაეცეა
მოთხოვთის პერსპექტივი, რაც უპირატესი საგანი იყო, იმისათ-
ვის მიექცია უაღრესი უურადღება და გაეგრცელებინა, რაც უმცრო-
სი—მოვლედ მოექსენებინა.

რესთაველმა თუ სთექა: «აკთანდილ მეტრდსა დასხსა მას დომ-
სა სისხლი დომისა», — რა დააკლო ამბის სასრულეს მაგ მოვლე
სიტყვია? სომ ვიცით, რომ დომის სისხლის დასხმა ერთი ღონეა
ტარიელის მოსახრუნებლად. თუ წეალის მაგიერ დომის სისხლი
შეასხა, ხუ თუ გერ მიგვცდებით, რომ აკთანდილს აღსად წეალი ხე-
ლად არა ჰქონდა, დომის სისხლი კი იქეე ახლო იქნებოდა, რად-
გან ტარიელს აკთანდილის შეერის წინ ის იყო დომი მოველი? სა-
ჭიროა განა მთხოვთ კრცლად და დაწერილებათ გააძას ლაპა-
რავი ამ მცირე გარემოებაზე და მსმენელის გულისუური რეუილად
დაღალოს?

უაღბის მქნელი სწორედ ამ მცირე საგანის გაეკიდა და ერთი
ხანა იმას გვამბობს, ვათომც აკთანდილ ადგა, წელისა საძებრდ
წავიდა, შამბი გამოიარა დომის სისხლი ჰქონდა, დასასხმელად მოქ-
ქონდა და ტარიელის დაასხაო. რას შექმატებს ეს წერილმანი და ვი-
თომც ნამდვილი ფაქტები მოთხოვთას, ან რით ახასიათებს აკთან-
დილის საქციელს?

ბეკრჯელ მითქვამს და კელავაც გავიმეორებ რომ რესთაველის
პოეზიის სთექა მის გმირების ფსისლოლობა არის, მისი გონების
თვალი მედამ გმირთა სულისა და გშლზეა მიბერითილი, მათს გულის
მოძრაობასა და სულის ვითარებას გვისნის. ხოლო რესთაველისეუ-
ლის მოთხოვთის ძალი და შეკნიერება იმაში მდგომარეობს, რომ
გმირების სულის ვითარებას მათის საუბარითა და მოქმედე-

სით გვიხსატავს. ძირითადი უკიცობა რესთველისეულის შოზიან-სა იმაშია, რომ ჩვენებს ეს ღიასება მისის სტილისა აქამდის გერ შეუგნიათ და შეკინერებას იქ ჭპოვებენ, სადაც ფურტი ფრაზაა ფერადებით სქლად წასმელი და აქ რელებული.

ამ თუნდ ამ შემთხვევაშიაც, გულ-შემოურილის ტარიელის შეულის ამბავში რესთველმა აკთანდილის წარმოთქმულის სიტყვით და საქციელით მისი სულის მდგრამარება ისე გამოგვიხატა, რომ ერთ-სებაც არ უჩსებება თავის მხრით, თუ რას გრძნობდა გმირი იმ დროს. აკთანდილის სიტყვაში ცხადად კედავთ მისს სინაულესა, თავის გმობასა და მდურვათა, და აკრეთვე მიზეზს ტარიელის დაბნედისას. მიგსდიოთ ასლა გვალ-და-გვალ და გნახოთ როგორ გვიაბ-ბობს შოუტი აკთანდილის საქციელს: დექსში — «აკთანდილ უპვრეტს ტარიელს, უსულოდ ჰქებდებარესა» — სხანს აკთანდილის გავკირვება, კრისტო რაოდენ მოულოდნელი იურ მისთვის ტარიელის დაბნედა, რომ გმირი პირებულ წამს გამტერებული დარჩა «შეკტრინდა, შეულად მიტმართა» — აჩქარება და მოუკრისათვის გულმ-სურვალება; გამტერებული აკთანდილ გონს მოვიდა და ნანობს, აქამდის რას გიდექიო და ღრო რად დავგარგეო. «ერა, ჩერ არგო» — ედონობაა და უალავობა, რომელსაც მოსდევს მის სასოწარგეეთოლება და სი-ნაული: «პირსა ისოებს, ღაწესა სისხლი ჩასდიოდა მისსა მცვრეტ-სა»... დიად, მაინც და ისევ «მისსა მტკრეტს», იმიტომ რომ აკ-თანდილ, თუმცა სასოწარგეეთოლია, თვალი მაინც მოუშორებდივ ტარიელისათვის უშერია, არ ანებებს და თავს კვლება. ბოლოს. «აკ-თანდილ მკერდება დასხსა მას დომსა სისხლი დომისა» — იგივე აჩ-ქარება და ღრინის დაუდევენელობა, ოდონდ კი მიზანს მიაღწიოს, — რას დასდევს, სისხლია თუ წეალი, თუ კი მაგიო მოასულიერებს. ამ აღწერაში რესთველმა ისე გამოსასა აკთანდილის საქციელი, რომ არც ერთი მისი მოძრაობა არ დარჩა, რომელსაც მისი გრძნობა ფისისგური მოტივი მოქმედებისა, არ ანედეს. ისიც შენიშვნით, თუ რა შედგომილებით და ბუნებურად იცელება და იზრდება აკთან-დილის გრძნობა ამ ფისიგურს პროცესში.

ჩექნ ასეთს ნამდვილსა და ტერთა თვალ-მარგალიტს როდი გხედავთ, უგულვალ-უერთ და გვერდს გვამცემთ; როდესაც კი

„გეგჩის-ტეატრის“ ეპლი ადგილები

შეენედებით ზიზიდუ-შიძილს და ჭიდვიდას: «ორანსა გაეჭდევს
სშირ-სშირად, აფრთხებს ბროლითა ჭერითათვა ან ეგაქეთქა და-
ლი გათლილი ანდამატისა გეგრისა,—ერთს აღტაცებაში მოვდი-
გართ და სიამოებისაგან კბნდებით: გამ, ამ რესთველის ენა-
საო და კოშ, ამ რესთველის შოეზიასაო ის კი კერ შეგვამნე-
გია, რომ ამ სიტემების რასა-რეს ში მსოფლოდ ერთი რამ უშნო სუ-
რათია თქმების გლეჭისა და ცხვირ-პირის მუშტით ცემისა.

შედარეთ აკთანდილი ს საჭირელი, რესთაველისაგან ნაამბობი,
მისი მოქმედებას მე-1339 სანაში აღწერილსა. ელების მქნელის სტი-
ლი, უფერული და მტკნარი, სრულიად არ ასასიათებს აკთანდილის
საჭირელს, ფაქტების ჩამოთვლაში არაგითარი გრძნობა და სეჭას
კითარება არა სჩანს და მისი აკთანდილი ისე მოქმედობს, თითქო
სულიერი კი არა,—რაღაც აკტომატი მოძრაობსო: ადგა, წაკიდა,
სისხლი მოიტანა, დაასხა. —უქანასკნელი შაჟარნი, რა უნდა დამხდა
იყოს, უფრო გულიანად აქრობს ცეცხლს, კინემ აკთანდილ თავის ს
გულ-შემოურილს მეგობარს შეელის.

იქმნება ამ შედარებამ გაგადიმა, მაგრამ აბა გასინჯეთ უადგის
მქნელის აღწერილი აკთანდილისაგან ტარიელის შეელა, თუ უბრალო
ცეცხლის ქრობას არა ჰგავს. მე-1339 სანის სტილი იმიტომაც
არის ესლი, რომ მელექესეს აკთანდილისათვის გული არა სტერიფა
და ამის გამო მისი ნაწერი გულ-წრიფელი არ არის და მისი სტილი-
საც გრძნობა არ ანენჯა, ცივი და უცხოელობა. ამ მანების დასაფა-
რებლად უადგის-მქმნელი ცდილობს მოქაზმოს თავისი მოთხოვბა
გაზიადებულის მეტაფორუებით და გადაჭირობებულის ეპტეტებით და
ჰქონდის ამით უცხოელო სტილი სული ჩაუდგას. მაგრამ მოგონი-
ლი სტილი, მნელა რომ საზომეს არ გარდასცილდეს და მაგ სტი-
ლით წერას სშირად მოუღოდნელი ნაერთი მოსდევს ხრამე.

რესთაველმა დაბინედილი ტარიელ «დამწერად და სრულად
ცეცხლ-ნადებარად» დასხას. რაც უნდა გადაჭირობებული იყოს ეს ჸი-
შერბოლა, მაინც არავის ფიქრად მოუკა, რომ ეს შედარება სხვას
რასმე შეესბოლებს, თუ არ გმირის გულის შეწუხებას. უადგის-
მქნელმა პლეტის ჰიპერბოლა ისმარა იმავე სურათის გამოსახულება,

მაგრამ შედარება ცოტად გააძლიერა, მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადა-
დგა და ასე სოჭა: «ეცნობი-ქმნილი ტარიელ მეს მზგავსად ნატუ-
სალისადა... და გულ-დამწერი ტარიელ შეგუზღად გადაიქცა! — ასეთს
შთაბეჭდილებას სტოკებს მკითხველის გონიერების უშნო ლექსი და,
თოთქო ამ შთაბეჭდილების გასამტკიცებლადა, ყალბის-მქნელი დას-
ძენს, რომ აკთანდილს ნაპოვნი სისხლი ლომისა ღმოაქვს საკებლად
ალისად», ესე იგი მუგუზალის ჩასაქრობლად. ამიტომაც მოგასე-
ნებდა, რომ აკთანდილ გულ-მსურებალე მეგობარსაგით კი არ იქცება,
არამედ ზარმაც შავარნისაგით.

ლექსი — აკთანდილ ადგა, გამოკლნა შამბინ საძებრად წეალი-
სად; მან ჭირება სისხლი ლომისა, მოაქვს საკებლად ალისად — ისე
დაწერილებით, ბინასად და გულ-დაფერებით ნათქვმაა, თოთქო
მეცნევეს ამ ამბავს დასწრებულა და შროტოვთლში ჩაუწერდათ, მაგ-
რამ მოთხოვნის გარემოებას თუ შეაფარდეთ, სიცოდის მეტი არა
გამოვარა.

მოისესინით სცენის ადგილობრივი კითარება: როდესაც აკთან-
დილ ტარიელის ბინას მიუსდოვდა, ითვიქრა: შან არ იქნებათ, «მან-
დორს სადმე წაკიდოდა... სჯობს თუ შამბ-შამბ წაგაროთა»? —
«ესე სოჭა და მაუქცია, მინდოორთავენ წამოკიდა». (ხ. 1326, გვ.
299). ცოტა რომ გაიარა, ნახა «შემბისა პირსა ტარიელ დგას
სმლითა მომახულითა» (ხ. 1327). «ტარიელს ლომი მოეკლა, მით
ხმადისა სისხლი სცხებოდა; შამბისა პირსა ქეთოთ დგა», — იმეო-
რებს რესთველი, — და აკთანდილ რომ იცნა, მისევნ გაიძცა (ხანა
1328). ამ ამბადან ცხადად სჩანს, რომ გმარნი ერთმანეროს შამბს
აქეთ შეეცნენ და მაშასადამე აკთანდილს შამბნარში არ შეუვლა.
ისაც ცხადია, რომ ტარიელ თუ შამბის პირს სისხლით დასკრა-
ლის სმლით იდგა, მისგან მოკლელი ლომიც იქცე შამბის პირს
ეგდებოდა. მე.1339 ხანის დამწერი კი გვამშობს, ვათომც აკთან-
დილ «გამოკლნა შამბინა» და ჭირება სისხლი ლომისათ. გამოდის,
რომ აკთანდილ და ტარიელ შამბის იქით იუგნენ, მოკლელი ლომა
კი შამბის აქეთ.

„გეფხის-ტეატრის“ ებლი ადგილები

იმასაც ნუ დაკიგიშებთ, რომ ის ადგილი, საზღვრ ტარიელს ტულს-შემოექარა, მას ქვაბის ასლოს იყო (ს. 1325, გვ. 299), ქვაბის კი წინ წეალი ჩაედიოდა. აკთანდილმა კრიგად იცოდა ტარიელის ბინის მიდამო და, თუ წეალი დასჭირდებოდა, საძებრად შამბ-შამბ სიარულს როდი მოჰკებოდა, არამედ გულ-შემოუჩილს მეგობარს ცხენზე შეისვამდა და ქვაბისაკენ გააჭენებდა. დანერდილის მოუკრის მინებებასა და შამბ-შამბ სიარულს, ისევ ესა სჯობა.

მე-1339 ხანის გვირგვინი უკანასკნელი დექსია: «მეგრდის დაასხა, გაეკეთდა დაუკარდი ფერად დალისად». დექსიას შირკელი ფრაზა მოთხოვისათვის მეტია, რადგან მხოლოდ იმეორებს რესთაველის თქმულს მე-1340 ხანაში; მეორე ფრაზაში კი არა მგრინა რამე გონიერი აზრი მოიპოვებოდეს. აკთანდილისაგან ტარიელის მოსულიყრების აბაკი შოგრის დასარულა დექსით: აკთანდილ მეგრდისა დაასხა მას დომისა სისხლი ლომისა, და ამით სხვათა შორის გვანიშნა, რომ აკთანდილ, რადგან წეალი სელო არა ჭრის, იქნება მოჰკრა თვალი მოკლელის ლომის სისხლს და გულ-შემოურილს ტარიელს შეასხა. ამას გარდა, ეს შემთხვევა რესთაველმა სურათის დასახატავადაც გამოიყენა: ლომის სისხლით ლომ-გმირის მოსულიერება. ყალბის-მქნელმა კი აქ იმის მეტი კურა ნახა-რა, რომ ლაშ-გარდი მეგრდი ლომის სისხლის დასხმით გააწითლდა და ისეთის ამბოთ გამოვკიცხადა, თითქო აქ ერთი რომ სასწაული მოხდა! მერე რაო, ლომის სისხლსა აქვს ვითომც ასეთი საკირკელი და განსაკუთრებული თვისება, რომ დაუკარდს მეგრდს გააწითლებს, სხვის სისხლს კი არა, — თუ სხვა რამ დაიკარული აზრია დექსში? კერ მიმხვდარვათ.

რესთაველმა რომ სთქვა, აკთანდილმა სისხლი დაასხა და ტარიელ შექმნათა, — გგონია, იქმნება ყალბის-მქნელსაც მაგისი თქმა უნდოდათ. ეგების «დაუკარდი» მხოლოდ მეგრდი კი არა, თვით გმირი იუს ან მისი შირისახე? ეგების «ფერად დალისად» გას-დომა მისის მეგრდის გააწითლებას კი არა, იმას წინშეადეს, კა-თამც გულ-შემოურილი ტარიელ გონის რომ მოდიოდა, ფერი მოე-ცალ? ოდონდაც, ასე ემჯობინებოდა, — ფორმა რაც უნდა უშნო ყო-

ଯୁଦ୍ଧରୀତି, ଲୁଗ୍ନରୀତି କେବଳ ଜୀବନରେ ନାହିଁ, ମାତ୍ରାମ କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା
କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା
କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା
କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା

ଅଧ. ୬—୫

ეჭიუდეგი ქართულის ლიცერატურიდან

ჭარილი მესუთე

თ-და გახტანგ თრბედიანი *)

(კუძღენი ქ. მარიამ გახტანგ თრბელიანის ხულს ჯამბაკურიან-თრბელიანისას)

არა ერთხელ გვითქვამს, რომ იმ საუკუნეში ჩვენის ლი-
ტერატურის მსვლელობა განისაზღვრებოდა კანონიერებითა და
ვსთქვით, რომ იგი მსვლელობა ევოლიუციის გზას ადგა. ამ
შემთხვევაში მსოფლიო ლიტერატურაში ჩვენი ლიტერატურა
არაფერს განკერძოებულსა და არა-ჩვეულებრივს არ წარმოად-
გენს. ეს კი უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ჩვენ არა ვვქონია
დიდი იარაღი და საშუალება ლიტერატურის განვითარებისა,
არა გვქონია პერიოდული გამოცემები ამ საუკუნის მეორე ნა-
ხევრამდის; ჩვენი პოეტთა ნაწარმოებინი არც კი ისტამბებოდ-
ნენ, არამედ ხელიდან-ხელში გადაღიოდნენ კერძო კაცთაგან
გადაწერილი და ზოგჯერ იქნებ კიდევაც დამახინჯებული.

სისტემატიური დასტამბვა მწერალთა ნაწარმოებისა პერი-
ოდულის გამოცემების საშუალებით, და მწერლობის განმაცხო-
ველებელი თანაგრძნობა და ყურადღება საზოგადოებისა, თა-
ნაც ამ საზოგადოებისაგან დადებული მსჯავრი დიდი რამ ხე-

*) ლექსები თ. ვახ. თრბელიანისა, სრული გამოცემა მარიამ თრბე-
ლიანისა. ტფ. 1894 წ.

ლის შემწყობი გარემოებაა ლიტერატურისა. მაგრამ ყოველი-
ვე ამის უქონლობა გაინც ვერ მოსპობდა კანონიერებას ლი-
ტერატურის მსელელობისას.

რასაკვირველია, ზემოხსენებულ პირობათა არ-ქონებამ ქარ-
თული ლიტერატურა შეაღერხა და მის მიმდინარეობას თავი-
სებური დაღი დაასვა, ხოლო იმის თქმა კი მაინც ყოვლად შე-
უძლებელია, რომ „რადგანაც ბეჭდვა არ იყო, მაშასადამე არც
ლიტერატურა იყო, როგორც განუწყვეტელი გონებითი წარ-
მატება, როგორც დაუსრულებელი მოძრაობა მიმართულებათა
და სკოლათა“.*). ეგრე რომ ვსთქვათ, მაშ არც საბერძნეთსა და
რომესა ჰქონია ლიტერატურა და თუ ჰქონდა იგი, ეს ლიტე-
რატურა არ წარმოადგენდა „განუწყვეტელს გონებით წარმა-
ტებას, დაუსრულებელ მოძრაობას მიმართულებათა და სკოლა-
თა“, რადგანაც არც მათა ჰქონით სტამბები.

ჩვენა გვვონია ამის თქმა არ შესაძლოა; სტამბისა და პე-
რიოდულის გამოცემების არ-ქონება ლიტერატურულ ნაწარ-
მოებთა გავრცელებას უშლის ხელს; ლიტერატურა ამ გარე-
მოებაში კასტიურს ხასიათსა ღებულობს და ასი ათასისა და
მილიონის მკითხველისა და გამგონეს მაგიერ ჰყავს ვიწრო წრე
ნათესავთა და ახლო ნაცნობთა. ამგვარი სფერა გამგონეთა, რა-
საკვირველია, უფრო თავისის პირადის განწყობილებით ხელმ-
ლვანელობს მწერლის ნაწარმოებთა დაფასებაში და არა ავტო-
რის ნიჭის კრიტიკულის განსჯით, ამ ნიჭის თვისებათა აწონვ-
დაწონვით. ამგვარი აუდიტორია უფრო ისე სჯის ავტორს რო-
გორც მისი ხასიათი მოსწონს, თუ უყვარს მოუწონებს ნაწერს,
თუ სძულს, აძაგებს. მაგრამ ეს მოუწონება და დაწუნებაც მარ-
ტო „ვიშით“ „რა კარგიათი“ და „არ ვარგა“ „ცუდიათი“ გა-
მოიხატება და არაეითარ სხვა საფუძველზე არ არის დამყარე-
ბული.

ამგვარი დაფასება, რაღა თქმა უნდა, პოეტის ფანტაზია-
საც ვერ აძლევს რიგიან მიმართულებას, ვერ აცხოველებს და

*.) ი. მეუნარგია. ბიოგრაფია თ. გ. ერისთავისა გვ. LXXII.

ეტიუდები ქირთულის დიტერატურიდან

23

ვერ მოიყვანს ხოლმე მწერალს აღტაცებაში. თ. ნ. ბარათა-შვილის ლექსები რომ ჩევნის ქვეყნის ერთის ყურიდან მეორემდე გავრცელებულიყო იმ თავითვე, ეჭვი არ არის, უფრო მეტ თანაგრძნობას მოიპოვებდა ჩევნის საზოგადოებაში, უფრო მეტ მსმენელს და მიმბაძველს, ეიღო ის მისი ახლო კაცები, რომელნიც იმით კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ, რომ „ჩევნ ტატოს“ დაუძახებდნენ და ხან „მოშაირისა“ და ხან „მასხარას“ ეპიტეტს უწყალობებდნენ.

აბა, ვინ იტყვის, რომ დიდი დასაკლისი არ იყოს მწერლისათვის პირადად და მწერლობისათვის საზოგადოება, თუ მწერლის აზრი და გრძნობა ოციოდე ნაცნობს გარეშე არ გავრცელებულა და ამიტომ მიმბაძველთა და თაყვანისმცემელთა წრე ერთობ ვიწრო ჰყოლია? აბა, ვინ იტყვის იმის წინააღმდეგს, რომ ალ. ჭავჭავაძეს, ბარათაშვილს და ვრ. ორბელიანს მეტი გამგონე ჰყოლოდათ, მათი ნაწარმოები იმ თავითვე ვიწრო წრეს გასცილებოდა, უფრო დიდ გავლენას იქონიებდა ჩევნის ლიტერატურასა და საზოგადოებაზე? სტამბა და პერიოდული გამოცემა იგივეა აზრისათვის, რაც რკინის გზები და ცეცხლის გემები კაცთა მოძრაობისა და საქონლის გადატან-გადმოტინისათვის. ჩევნ წინაპართ და თუგინდ სულ რამდენიმე წლის წინად ქართლიდან იმერეთში ჩასვლა და იმერეთიდან კახეთში გადასვლა ერთ დიდ მოვლენად ითელებოდა არა თუ ოჯახის ცხოვრებაში, მთელის მაზრისა და სოფლისათვის. დღეს კი პარიზი და ლონდონი არავის აშინებს და არხეინად დაბრძანდებიან იქა. ჩევნის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხებზე, რომ რაღა ითქმის! ამ ორმოცდა ათის წლის წინად ბარათაშვილის ლექსებს იმის მეათასედი მკითხველიც არა ჰყოლია ტფილისში, რაც დღეს ჩევნ მეორე ხარისხოვან მწერლებს და ჩევნის სამშობლოის თვით უფრო მიყრუებულ კუთხეში გაიგონებთ ისეთის მწერლების სახელს, რომ გაგიკვირდებათ. სხვა რაღა გნებავთ, პარიზში გამოსული წიგნი დღეს მეორე-მესამე კვირაზე ტფილისში აქვთ წაკითხული და დღეს რომ ევროპის ლიტერატურას ჩევნს მწერლობაზე გავლენა აქვს და ევროპის დღეინდელ სა-

ყურადღებო მწერალს რომ ალტაცებული მკითხველი და მიმ-
ზაძველი ჰყავს, მგონი, იმისი მსგავსი ჩვენი ლიტერატურის ის-
ტორიაში არა მოიძებნება. რა.

ეს ყველა მართალია და ამგვარი გაადვილება ერთა შო-
რის აზრის ურთიერთობისა დღეინდელის პირობების ნაშობია;
მართალია ისიც, რომ ერთა გონების ნაწარმოვბთა გავრცელე-
ბის გაადვილებას დიდი გავლენა აქვს ერთა ზნეობრივსა და
გონებრივ ცხოვრებაზე, მის ლიტერატურაზე, მაგრამ ყოველი-
ვე ეს მაინც იმას არ ამტკიცებს, რომ ქართული ლიტერატუ-
რა ყოფილიყოს პატარა სამთავროებად დაყოფილი და ერთ
სამთავროს მეორესთან მტკიცე და სანიალავო კავშირი და და-
მუკიდებულება არა ჰქონილეს მას, როგორც თვით „ჩვენ პა-
ტარა მთავრებს“ ერთმანერთს შორის, პოლიტიკურ ცხოვრე-
ბაშიაც ჩვენის სამშობლოის სამთავროებადა და სამეფოებად
დაყოფა სრულიად არ წარმოადგენდა ისტორიულ აბსურდსა
და ანარხის, იგი იყო გამომხატველი ისტორიულის ევოლიუ-
ციის ერთის ხანის—ფეოდალიზმის,—და თუ ამ ხანას ვერ გა-
სცილდა ჩვენი ქვეყანა თავისის დამოუკიდებლობის დროს, ეგვი-
სომ ისტორიულის კანონის აღსრულებით მოხდა.

ამ საუკუნის ჩვენი მწერლობაც გამომხატველია ლიტე-
რატურის ევოლიუციის რამდენიმე ფაზისისა, საფეხურისა.

ჩვენ უკვე მოეიხსენიეთ, რომ როგორც სხვაგან ევროპაში, ისე
ჩვენში ამ საუკუნის ლიტერატურამ რომანტისმით დაიწყო და
ნატურალისმით გათავა. რასაკვირველია, ისეთი ბრწვინვალე და
ძლევა-მოსილი ვერ იქმნებოდა ჩვენის ლიტერატურის მსვლე-
ლობა, როგორც დასავლეთ-ევროპის მწერლობისა, მაგრამ ჩვენ-
თვის ისიც კარგია, საზოგადო ლიტერატურის მიმღინარეობას
არ ჩამოერჩით, კიდევ მეტს ვიტყვით, ამა თუ იმ მიმართულე-
ბის მწერალთა დასახელებაში არც ჩვენ შეგვრცხვება. ბარიონი
და შელლი თუ არა გვყოლია, ბარათაშვილი გვყავდა და ბე-
დისაგან დაჩაგრულის ჩვენის ერისათვის ესეც საკმაო განძია მსო-
ფლიო ლიტერატურაში შესატანად. თუ ლეკონტ დე-ლილი დ

სიული პრიულომი *) არა გვყავს, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელსაც არა უშავეთ-რა. ყველაზე უფრო კი სანუგეშო და საქებარი ის არას, რომ, მიუხედავად მრავალ ხელის შემშლელ და სულის შემხუთველ გარემოებისა, ამ საუკუნის ჩვენი ლიტერატურა ადგია კანონიერსა და გაკვალულს გზას, იმავე გზას, რომელსაც ადგია ეკროპის ლიტერატურა ამ საუკუნისა და ამა თუ იმ მიმართულების შემოღებაში ბევრის ხანით არ ჩამორჩენია ჩვენი ლიტერატურა ევროპიულს. კადევ ვიმეორებ, იმას ნურავინ შეკვეთამებს, ვითომ იმისი თქმა გვინდოდეს, რომ ჩვენი ლიტერატურა ან თავისი ძლიერებითა და ან თავისი მსოფლიო მნიშვნელობით ევროპაულ ლიტერატურას შეედრებოდეს. ხოლო ეს კი ნურავის ეუცხოება, თუ ვიტყვით, რომ შესაძლოა, თუ გარემოებისაგან დაჩაგრული და დაბეხავებული არ ვიყვნეთ, ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი წარმომადგენელი უფრო საყურადღებო იყენეს, ვიურე ზოგიერთი ახლად „გამოჩერეკილი“ ევროპიელი მწერალი, რომლის ერთად-ერთ ლირსებას ის შეადგენს, ევროპის სახელმწიფოთა ან „ერთ კავშირს“ ეკუთვნის და ან „მეორეს“ და რომელთა სახელი და მოწონება უფრო სხვა მოსაზრებაზე არის დამყარებული, ვიდრე მის ლიტერატურულ ლირსებაზე.

ყოველს შემთხვევაში ჩვენში ლიტერატურამ გაიარა ხანი რომანტისმისა და თუ დღესაც კი ნახავთ ჩვენს ლიტერატურაში აქა-იქ იმის კვალს (არა თუ ჩვენში, ევროპაშიც კი), ეს იმიტომ ჯერ ერთი, რომ რომანტისმიც დაწყარებულია კაცის ბუნების მთავარ მოთხოვნილებაზე, როგორც ყოველივე სხვა მოელენა ლიტერატურაში და მეორე იმიტომ, რომ, როგორც ჩვენში, ისე ევროპაში, რომანტისმს ჰყავდა წარმომადგენლად საუკუნის საუკეთესო მწერლები ნიჭითა და გენიოსობით. თუ რომანტიკოსი იყო ბაირონი და შელლი, გეტე და შილლერი, ვიქტორ ჰიუგო, ლამარტინი მიუსცე და ეზრე ზან დი და ჩვენში ბარათაშვილი, რასაკვირველია, მათის გენიოსობის მომხიბვ-

*) ვასახელებთ, როგორც წარმომადგენელს ჩალურის ლირიკისას.

ლელობას თავის დღეში ვერ გაექცევა ლიტერატურა. რომან-ტისმს ჩენენში დაწყებიცა ჰყავნდა (ალ. ჭავჭავაძე), განმგრძო-ბიც (გრ. ორბელიანი), განმაეითარებელიც (ნ. ბარათაშვილი). გვყავდა პოეტები, რომელნიც ამ მიმართულების დაცემის გა-მომსახველნი შეიქმნენ (ვახ. ორბელიანი), ისეთებიც, რომელ-თაც მიგეიანებულ დროს ჩასჭიდეს ხელი და უნდოდათ განეა-ხლებიათ (თ. მამია გურიელი), ისეთებიც, რომელთაც რომან-ტიზმით დაწყეს და ახალის რეალურის მიმართულებით დამ-თავრეს თავისი მწერლობა (თ. რაფ. ერისთავი).

II

რომანტიულის პოეზიის უმაღლესის და უდიდესის წარ-მომადგენელის თ. ნიკ. ბარათაშვილის შემდეგ, რომელმაც ეს პოეზია ჩენენში უმთავრესს საფეხურამდის მიიყვანა, რომანტიუ-ლი ლირიკა დაცემისაკენ უნდა წასულიყო და ახალი ელემენ-ტები უნდა შესულიყო პოეზიაში, რომელნიც ახალის რეალუ-რის პოეზიის სათაურად შეიქმნებოდნენ. პოეზიაში აი ამ გარ-დაცელის, გარდაქმნის ეპოქის გამომხატველი შეიქმნა თ. ვახ. ორბელიანი. მისი პოეზია არის გედის სიმღერა რომანტიულის პოეზიისა და მერცხლის ჭიკვიკი ახალის რეალურის პოეზიისა, თუ კი, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, პირველის ძირითა-დი თვისება არის პირად გრძნობათა გამოსახვა და მეორისა კი საზოგადო, საერთო კვნესისა და სიხარულის გამოთქმა. პირველის წარმომადგენელნი, სახალხო „ვად“-ს საპირადოდ გაიხდიდნენ ხოლმე, პირადის ელფერით შემოსდნენ, საერთო ტანჯვაში პი-რად ტანჯვასა და ვაეგბას ეძებდნენ; საერთო გვემაში მას აქ-ცევდნენ ყურადღებას, რასაც პირად შეურაცხყოფადა და პი-რად გრძნობათა გადალახვად მიიჩნევდნენ (მაგ. ალ. ჭავჭავაძე უგოგჩის ტბაში“ და მამია გურიელი ზოგიერთ პატრიოტულ ლექსებში უფრო პირადად დარდსა და ნაღველს გვიხატავნ, ვიდრე საერთო კავშირსა და მწუხარებას). მეორენი კი პირად გრძნობის, პირად შეფოვნისა და მდელვარებისაც კი განიხაზო-

კონტაქტის დატერმინირება

გადოვებდნენ ხოლმე; ყოველივე პირად კვნესასა და ვაებას იმ-
დენად გამოსთხებას ხოლმე ამ ჯგუფის პოეტი, რამდენადც იგი საერთო ინტერესს შეეხება, რამდენადც საერთო გოდე-
ბის გამომსახულია, რამდენადც საერთო, საზოგადოებისა და
ხალხის სევდის მაჩვენებელია; ამ გვარ პოეტს სიცოცხლის
თვით უსაშინელესს წამებში მარტო მხოლოდ საერთო საგანი
ახსენდება. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოეზიას რომ
არ მიგმართოთ, მაგალითს თვით ვახ. ორბელიანის ლექსებშიაც
მოვიპოვით ზემოდ გამოთქმულის აზრის დასამტკიცებლად. უმა-
დურის სოფლისაგან გულმოწყლული და გულ-დათუთქული პოე-
ტი მისულა „დიდ კარის ბჟეს“. გული ისე გაპევავებია, რომ ამ
სოფლის არც არავის სწყევლის, თუმც „არცა რას ლოცავს“.
და მაინც, ამ საშინელს წამშო, როცა კაცის პირადს ტანჯვასა
და ოხვრას აქვს მარტო ადგილი, იგი თავისს სამშობლოზე
ჰქოიქრობს და მისი ლოცვა-კურთხევა თან მიაქვს გულში ღრმად
ჩამარხული; მიღის და მხოლოდ ერთი აზრითა და სურვილით
არის გამსჭვალული მისი არსება: „სამშობლოსთვის იმ დიდს
კარს წინა ცრემლით ვილოცავო“, ამბობს პოეტი (გვ. 20).

თ. ვახ. ორბელიანის მეტად წრფელისა და ნალვლიანის
გრძნობებით აღსავსე ლექსებში თქვენა პენდავთ, რომ პოეტს
რომანტიულს სკოლაში აღზრდილსა და ამ სკოლასთან შე-
სისხლხორცებულს ვეღარ ეხერხება ისეთი ძლიერი ლექსები
პირად გრძნობათა გამოსახატვად, როგორც აღ. ჭავჭავაძესა
და ნ. ბარათაშვილს, თუ გინდ გრ. ორბელიანსაც. სამაგიეროდ
ვ. ორბელიანი საზოგადო კვნესა-ოხერის გამოხატვაში, მის შე-
გნებასა და შეთვისებაში დიდს უნარს იჩენს; ბევრად უფრო
დიდს კრძნობიერებასა და სიწრფელეს, ვიდრე გრ. ორბელია-
ნი და ხანდისხან ბევრად უფრო სიმტკიცესა და შეგნებულე-
ბას საერთო ვაებისას, ვიდრე თვით ნიკ. ბარათაშვილი, თუმცა
პოეტურის აღმაფრენით და ნიჭით მათზე ბევრად უფრო დაბ-
ლა სდგას.

ყველაზე უწინ აიღოთ გრძნობა მამულის სიყვარულისა,
რომელიც გრ. ორბელიანს აქვს გამოთქმული რიტორიკულ

„ჰე მამულო საყვარელო“-ში და გინდ „ჩემო ჰიარალი“-ში „ჩემო ჰიარალი“ ეჭვი არ არის ხელოვნური ნაწარმოებია, პო-
ეტურის ღირსებებით აღსავსე, მაგრამ თავის დღეში ვერ გარ-
ძნობანებთ ეს ლექსი იმ მომხიბვლელ სიწრფელეს, იმ კეშა-
რიტ სევდას, რომელიც თ. ვახტანგ ორბელიანს აქვს გამოთქ-
მული ორიოდე სტრიქონში.

«თუ ნერგს მთავდნება—ამბობს პოეტი—ნამა ცისა, ცეკვა არ ერგო,
«ვინ ჰქოთხავს: «რასთვის ადარ სარობ და ხმები, ნერგო?»
«სამშობლო ქეყნით გარდასეწილს, გულსა დამშვადსა
«სწეულსარ, როგორც სწეულს ცის ნათელი სხვა ბნელს თვალსა»
(გვ. 57).

აქ ვერც სურათთა სიღიადე გავიტაცებთ, ვერც პოეტუ-
რის იარალის სხვა-ლა-სხეაობა, მაგრამ სიწრფელე მით უფრო
გამოსცვრივს ყოველივე სიტყვაში, რამდენადაც გრძნობა სადაც
არის გამოთქმული და შარტივად. პოეტს ეტყობა, რომ არავი-
თარ პრეტენზიას არ იჩემებს; ავტორს ჰსურს მხოლოდ თავისი
გულის ნადები გაგვიზიაროს და თავისი კაეშანი ლექსად გამო-
სთქვას.

«ადაც ვიტანვები და გისჯები შეარს უოფნით შენით,
«ის იცის ღმერთმა მაღლა ერთმა, არ ითქმის ქნით» (იქj).

ან და აიღეთ მისი „გამოსალმება“: პოეტი ეთხოვება „სა-
ავარელ ზურმუხტ ველს, მშენიერ, ტურთა არეს, ამაყ, ახო-
ვან, ცათ მაბჯენილ მთებს, მოკამკამე, მოცინარე ალას წყლებს“
და ყოველივე ამ სანახაობის მოშორება მით უფრო აწუხებს
და სევდასა ჰევრის, რომ „იქნება იქ მოვკვდეო და სამშობლო
ველარ ვნახო“ (გვ. 58).

ამ შემთხვევას (სამშობლოს გარდახვეწის 1) ისეთი მშარე
დაღი დაუსეამს პოეტის სულიერ განწყობილებაზე, რომ თით-

1) 1833-ში სხვა შეთქმულთა რიცხვში თ. ვახ. ორბელიანი და მი-
სი ძმა ალექსანდრე კალუკაში იქმნენ გაგზავნილნი. ვახტანგ და ალექსან-
დრე ორბელიანი მძიმე დამნაშავეთა რიცხვში მოექცნენ.

ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან

ქმის ნახევარის საუკუნის შემდეგ ისე გველაპარაკება მის შესხებ, ისე ძწვავად გვიხატავს ამ გრძნობას, თითქო იმ დღესვე შომხდარიყოს („მოგონება“ 1881 წ. დაწერილი):

«სამშობლოსაგან ეტლით ვიუკვ მოშორებული;
«კიუკვ ჭიბუჭი, სამშობლოსკენ იწევდა გული.
«დღე და ღამ მედგა დაბუნდვილთა ჩემთ თვალთა წინა
«ჩეგნი მამული, მშეგნიერი ჩეგნი ქვეანა.
«შორს ვიუკვ მასგან, მაგრამ გულით სულ ვიუკვ მასთან,
«ჩემს დარიბს ქოხთან, ჩემს კენისთან, ჩემს კელს ჯამაზთან.
• • • • •

«მერთ სეკდა, ლოდინითა დაბერდა გული;
«მაგრამ სამშობლოს მოკედ ტებილის ოცნებით სრული. (გვ. 55)

ამ შემთხვევაშიაც თ. ვახ. ორბელიანი რომანტისმის მანერებს არ მისდევს: არ უყვარს რიხიანი სიტყვები, მგრგვინავსა და მეხთა მტყორც, აჭრელებულსა და ზიზილ-პიპილებიან სიტყვას, სიმშეიდითა და სიწყნარით აღსახვე ლექსს ამჯობინებს, მარტივსა და საღა სურათებსა ჰემარობს გრძნობათა განსახას: ტავად, რაიცა, ვიმეორებ, მით უფრო ღრმადა სწვლება გულს.

მამულის გრძნობის შესახებ, თ. ვახ. ორბელიანი ბეერად უფრო შეგნებული იყო მის შოწინავე პოეტებზედ. თქვენ ვერსად მის ლექსებში ვერ ნახავთ ერთ სიტყვასაც, რომელიც აჭრელებდეს მის გრძნობას მამულის შესახებ და ამ აჭრელებით აქარწყლებდეს მას. მე სახეში მაქვს ის უცნაური აღტაცება სხვა-და-სხვა კერძებით, რომელთაც მსხვერპლი მიუტანა პოეზიის ტაძარზედ ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა კიდევ მეტი. ვახ. ორბელიანის ლექსებში თქვენ ვერ იპოვით ბარათა-შვილისებურს მუხლის მოდრეკას აღსრულებულის ფაქტის წინაშე. მისი შეხედულება ისტორიულ პირთა და მოვლენათა შესახებ სულ სხვა გვარია. თ. ვახ. ორბელიანი თაყვანსა სცემს ირაკლი მეფეს, როგორც სამხედრო გმირს, რომელიც „მამულისათვის ძრწის, დღე და ღიმ იბრძვის, იცის რაცა სძევს მა-

მულის ვალი; ებრძვის ქრისტეს მტერს, წინ უდგას თვის ერს, ოთხ კუთხივ აწვდის მკვირცხლს, მაგარ მკლავსა, უსჯულო მტერი, მძლავრი, ძლიერი ვერ დაიმონებს ირაკლის ხმალსა". (გვ. 36). პოეტი ცდილობს უფრო გამამართლოს, ვიდრე აღ-ტაცებითა და სიხარულით მიიღოს ირაკლი მეფის პოლიტიკური მოქმედება.

«ირაკლი ნახა,
 «გულს დაისახა:
 «მინამ ქვეუნად არს, არის ცოცხალი,
 «არ მისცემს მტერსა
 «მონად თვისს ერსა,
 «არ ჩაეგება ქარქაშს მის ხმალი.

—
 «როცა მოგვდება
 «კიდას დარჩება
 «ირაკლის ხმალი, კინ ატრიალოს?
 «სახლში არგინ ჰყავს,
 «ის ნათლად ჰქედავს,
 «უნდა ერის წინ მან ადიაროს.
 «და აღიარა,
 «არგინ მეავს არა»
 «და ჩრდილოეთი აჩენა თითოთ.
 «ბრძანა: «ვიბრძოლებ
 «მანამ ვიცოცხებუ;
 «ადარ ვიქმნები, —მას ერს შეკრთდით!»

—
 «დრო კი სძალავდა,
 «აღარ დასცალდა!
 «აუ გმირი მსოფლოდ ირს ადლს მიწას ჰფლობს;
 «მაგრამ კი მისგან,
 «მის გმირისაგან
 «დღეს ჩიენზედ ქრისტეს ნათელი მნათობს. (გვ. 39, 40)

გეოგრაფიული ქართულის დატრანსლაზა

ესეც ხომ ერთი გამიაროთლებელი საბუთთავანია პოეტი - საგან შესაწყნარებელ მიზეზად შოყვანილი, ქტრისტიანობა მანკც დაგვიცვა ირაკლიმ, თუ სხვა არაფერით.

უფრო მკაფიოდა და ნათლად თავისი შეხედულება ირაკლის მოქმედების შესახებ „იმედში“ აქვს გამოთქმული პოეტი. მასაც გულსა სწვავს დიდის მეფის შეცდომა, მაგრამ, „მას აღარ ვფიქრობთ“, ამბობს იგი: „იმ გმირს მაშინ რა ცეცხლი სწვავდა, სამშობლო ქვეყნის აღდგინება თუ აღარ სწამდა“, — და შემდეგი აზრი წერტილების, პოეტის კალმის ამ ჯალათის ქვეშეა დამარხული... მერჩე კი ისევ განაგრძობს:

«გმირო, სწან ტკბილი განსკენება შენ მხოლოდ იმ ჟამს, როცა ქართველი დაატირდნენ თელავში შენს გვაძს». (გვ. 162).

საერო გრძნობის კარგად შევნების შედეგი არის ის, რომ თ. ვახ. ორბელიანი საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილის გაერთიანების სურვილით არის აღსავსე. ამგვარ აზრს და მის მსგავსს რასმე თქვენ ალ. ჭავჭავაძის ლექსებში სულაც ვერ იპოვით. გრ. ორბელიანს კი აქვს ერთ ადგილას, მაგრამ ეპიზოდიური ხასიათი აქვს იმ აწერილობას დიდუბეში შეკრებილის ლაშერისას, რომელსაც საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილის შეილები შეაღენდნენ. ბარათაშვილი ერთს თავისს წერილში, სიამოვნებასაც კი გამოსთვეამს იმის გამო, რომ საქართველოს ერთის ნაწილის შეილნი მეორეს იარაღით შეაგონებენ „ყოველივე უბედურებას, რომელიც შეუდგების აღშფოთებას“ და ქართველს-გურულს უპირდაპირებს, თითქო გურულიც ქართველი არ იყოს. გრ. ორბელიანი ხომ ყოველთვის იჩენდა დიდს მხნეობას ამ „შთავონებაში“ და საქართველოს სხვა-და-სხვა აღშფოთებულ ნაწილების დაწყნარებაში. თ. ვახ. ორბელიანს არა ერთხელ და ორჯერ გამოუთქვამს თავისი წრფელი სიყვარული და თანაგრძნობა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეების შესახებ, როცა იმერთ ლოცვა-კურთხევას უგზავნის:

«ძმანთ იმერნო,
კუთხე ჩემს იკერნო!

«დიდს დღესასწაულს შორით გილოცავთ,
 «და დკონის კედრებით ამერნი გლოცავთ!
 «ღმერთმა თქვენს იმერს მადლი მოჰყვინოს,
 «ხათებნი დღენი მას მოუკლინოს,
 «რომ აღარ ნახოს, რაც ნახა ბნელი,
 «ძეგნიერება წინ ედგას გრძელი! (გვ. 13).

ანა და ოოცა „მშევნიერებით, სიტურფით სრულს კოლნიდას“ „ივერთ ქვეყნების ძეს, მას უფროსს“ სალამს უძლვნის. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მამულის სიყვარულის გამოსახვაში, თ. ილ. ჭავჭავაძის არ იყოს, „ისე გაღუხვევლად, ისე სისწრივ ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლია, როგორც თ. ვახ. ორბელიანს. მან თითქმის მოელი თავისი პოეტური ძალ-ლონესულ ამ საგანს ამსახურა და თავისი უკეთესი ლექსები ამ საგანს უძლვნა და შესწირა. ამასთან თ. ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მადლით მოსილს პოეტს, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა (გვ. XX).

II

ზემოდაც მოგახსენეთ, ჩვენს პოეტს აღარ ეხერხებოდა რომანტიკოსისებური განდიდება პირად გრძნობათა და სევდათა, აღარ ეხერხებოდა და აღარც ეჭაშნიკებოდა.

«მე არ მიუკარს კილო მუხაშაზისა»-ო,—ამბობს იგი,—
 «კინტოთ კილო, კილო შეა-ბაზრისა,

* * * * *

«რისთვის მინდა და რაში გაქნევ გინტოს,
 «იმისს ღუდუეს და იმის დიპლიპიტოს,
 «ან ლ—ანს, ან დ... ო—ეოეს?

ამ ბოლო ლექსში პირდაპირი უარის ყოფაა გრ. ორბელიანის პოეზიისა. პოეზიის საგნად მას სულ სხვა მიაჩნია: მა-

უნდა „მაღლა გვამხილოს, რაც გვკირს ავი, სიზარმაცი და უმეტესობა შავი. მან უნდა დაგვანახვოს:“ მიზანი იმედი

... მთლად ბუნება დადა გასაჭირებელი ნა ესამაგ
«იმის დადი მრავალგვარი შეკერა მართვის ადამი

მას მართებს „ძეველ დროთ გმირნი გამოვციხატოს“ და „შევენიერის, მთელის არსით შეყვარებულის ასულის ძლიერი გულის ჭმუნვა“ გვიჩვენოს, ამიტომაც არის, რომ თ. ვახტანგ ორბელიანი პირად გრძნობათა გამოთქმის, თუმც სულ არა ჰყოფს უარს, ძლიერ ცოტა ადგილს უთმობს თავისს ლექსებში.

მის შეხედულობაში სიყვარულზე მცირედი ნიშანიც აღარ არის ხორციელებისა და მხოლოდ სულიერს მხარეს იქნა მიქცეული ყურადღება. სატრაფოსა ისე „მშედაბედის მედალი“ ჰქალის:

«მზეს ნათლად გხედავ იმედით, დღეს გნახავ, გენად ხგად გნახავ,
ეხვად გნახავ, გისმენ და ჩემს გუდს ნათელი მოეგინება;
დამშერალს, დადალულს სოფლისგან სიცოცხლე მოეგებინება.»
(გვ. 34).

და ბნელის გზის მნათობრუასკულტურუად მიხნეულ არსებას ეუბნება:

«მჯ დღეთზე კითმენ, აიმანვებ არცენ

«ორდესაც ვისმენ ხორციელ იწყოვ მა მშენ

«შენს მაღალს აზრსა, იმავ მიმწ ჩორ

«ტებიდს საუბარსაც ცემა მოვცემოთ

«იდუმლობს უნა, ამავდა შიდე ახალ

«ეკა მხოლოდ სმენა». (გვ. 35).

მას არ ელანდება „ზოლფნი რყევით უარის თქმის მსახენი“ და არც „დალალნი გველად ყრილნი სპეტაკს მკერდზედა“. სატრაფო მისი ნუგეშია, სასოება და იმედი—გრძნობიერებას თუ აქვს მისთვის მნიშვნელობა, იმის გამოქვეყნება საკიროდ არ მიაჩინა.

ეგრეთივე ნუგეშია ბუნება პოეტის აზრით იმისთვის,

კინც სოფლისაგან და ბედისგან არს დაჩაგრული,
 დღენი კეთილი ამ სოფელში კინც გერა ნახა,
 ვისიც ამ ქვეწის შენებისთვის ადარ სიძერს გული,
 კინცა სოფლის უკარგისად და ცრუდ დასახა,
 მან მომცეს ხელი, მას აკიყვან მთასა მაღალსა;
 იქ იმის გული სოფლისთვის კვლავ გაიღვაძეს:
 ღვთიური ცეცხლი განაცხოველებს მის თვალს დამშრალსა,
 სოფლის სისარულს, სოფლის ტანჯვას ის კვალად იგრძნობს,
 შექედოს, ჭახლის მის მდიდარი, ტურია შეგნება
 და მისი გული სოფლისთვის კვლავ გაიშლება» (გვ. 66, 67).

ამ შემთხვევაშიაც კი პოეტისათვის იმდენად ბუნების გა-
 რებან სიმშვერიესა და სილამაზეს არა იქვს მნიშვნელობა,
 როგორც მის ისტორიულს მნიშვნელობას. ბუნების სურათი,
 რა გინდ უბადრუკი იყოს, მაინც იზიდავს პოეტის ყურადღე-
 ბას, თუ კი იკი „დღიადის წარსულის“ მომავარებელია, ამ წარ-
 სულის შესახებ სევდისა და დარდის ამჟღელი:

«დმანისო ძელით, აბა მითხარ, შენგან რას კული?
 სადა ფრიალო, უნაყოფო ხარ აღმართული,
 მწვანე მდელოთი, მწვანე ტეითა არ ხარ მორთული,
 წყარო მცინარით არ ახარებ პატრონის თვალსა;
 კაზის არ ახარებ, რომ რთველითა გული ვიხარო,
 რომ შენის ღვინით გულის ჭმუნეა, სევდა ვიქარეო,
 დარღვეულის გზაზედ შეზედ ასევდას ჭარი ძღვის ბედას,
 მამა ღვთის თვალსა შენზედ მადლით არ მოუქედავს.

• • • • •
«ამ უკანასკნელ კვირაში ბაკშების კონცერტი იქ გამართული; აქ ბაკშები შეეხნენ ომის სხვა-და-სხვა ამბებს, რომელიც მათ ზეპირად დაესწავლათ, რომ შემდეგ გაემეორებინათ. იქვე ერთი სურათი წარმოადგენდა ბრიტანიის დედოფლის კიბერიას და პრეზიდენტ კონფერენცის. უკანასკნელი დედოფლის ფეხზე იქ მიმდევლი. იქვე იდგა პატარა ინგლისელი ბაკში ჭარის-კაცის ტანისამოსში და შეიარაღებული, რომელსაც სიშტრი ჩაუცა კრიუკერისათვის. განა შესაძლებელია, ამგვარი ზენებობრავი შთაგონება, ან უფრო უზნეური, კატები წარმოიდგინოს!» და ისიც 1900 წლის ცეკვალიზაციის ხანაში!

სკოლებში, სცენებზე, ქუჩებზე, სალეში აურცელებენ მსედრულს სულის კეთებას და სიძულევილს მოწინააღმდეგებ ხალხის მიმართ. დემოკრატები მეტად შეაწესა ჭანგო-რეაქციონერულ პალატას. გაეკრითაც კი გერი იცავდნენ დაჩაგრულების ინტერესს. ბურებს ნუ გამოუცხადებ თანაგრძნობას და სხვა რაც გინდათ ის თქვითო, —ეს იქ მათი დედა-აზრი. ამიტომ იძულებული შეიძმნენ დემოკრატები, რომ პრიტივული საშუალება მოაეგონებინათ. ეს იქ ძალა—ძალას წინააღმდეგ. უფრო გაბედულმა დემოკრატებმა შეადგინეს კომიტეტი, ანუ მქადაგებელ-მებრძოლი არმია; შეარაღდნენ ჭახებით და გრებებზე სიტუაციებს ამბობდნენ. ბევრგან მოადა შეტაკება, ბევრს გაუტესეს თავი, ბევრი ციხეში ჩასვა მთავრობამ, მაგრამ საკვირეული ის არის, რომ ის არ შეერია ამ საქმეში და არ დაიცვა სიტუაციის თავისუფლება! აქედან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ მთავრობა ცხადად ჭედავს ჭანგო-პარტიას სიძლიერეს და იცის, რომ ესენი დასძლებენ ცოტა-რიცხვებითან დემოკრატების პარტიას, ამიტომ სადაც მეუშა, თავი დაანება და ამით უღალატა სიტუაციის თავისუფლების პრინციპს.

დღესასწაულებში სრულად დაკარგადა ინგლისელმა ინგლისური მძიმე თვისებები. ეს სალხი დღესასწაულებში უფრო აღტაცებულ ფრანგის სალხი ემსგაესებოდა. ლედი-სმიტის და მეფეების შემოერთება, ბლუმფონტენში და პრეტორიაში შესვლა შესანიშნა-

კად იღლესას წაუგდეს. სახლები, სკეტები, ჭუბები ათას გვარ ბაირა-
ლებით იყო შემგუდი. ომნისუსებზე, დროგებზე და სხვა უოგელგან
ბრიტანიის ბაირალი და ბაირალი. ღენერლების, მეომრების სახეებით
საგუდე ნიშნები ჭუდებზე, გულზე კერა ქალს, კაცს და ბაკშებს.
უოგელ კარგი ამბის გაგონებაზე, უოგელ გამარჯვების ხმაზე, ხალხი
ფეხზე იდგა, ღელაკდა; ჭუბებში გამოადიოდა და ლონდონს თავის
დაღვრებით სახეს უცევიდა. სცენიდა მის საქმიანობას, აკეტინებ-
და უგელაფერს და ჭუბაში ჰატრილოტელი სიმღერების სამღერლად
გამოაქვავდა. სალხის ტალღები სან ერთ ჭუბისაკენ და სან მეორი-
საგნ გრიალით, მუზიკის დაკვრით და სიმღერით გაექანეოდა, ჩაივ-
ლიდა და თან იმატებდა იზრდებოდა. ლონდონის შეაგუდი, სადაც
ინგლისის ბანკია და ბირჟა, მთლიად სალხით იყო გაქვედილი, ისე
რომ განძრევა არ შეიძლებოდა. ეს და ამაზე მეტიც ცხადია. და ეს
სიცხლე ცხადად გვიჩვენებს ინგლისის ერის დახლ სანას», ახალ
დოროლეილებას, რომელიც მიექანება სამსედრო წეობილების შეც-
ლისაკენ. ამაშია მათი «დიდი გამგეთილი», რომელსაც წამ და უწუმ
იმეორებენ სალისბიურ-ჩემბირლენ-ბალფურები.

o. ჭრების გადაწყვეტილებები

შინაური მიმოხილვა

სამი ახალი საყურადღებო კანონი.—ამიერ კავკასიის სახელმწიფო გლეხთა მიწად-მფლობელობის გაწეს-რიგება.—ლირს-შესანიშნავი მუხლები ახალის დებულებისა.—გადასახადთა რეფორმა ამიერ კავკასიაში.—მისი მნიშვნელობა.—ახალი შელავათი ჩვენებურ თავადაზნაურობას.—სამელიორაციო კრედიტი.—ერობა, როგორც საუკეთესო დაწესებულება მეურნეობის გაუმჯობესობისათვის.—ილია ჩონელის გარდაცვალება.

მიმდინარე ზაფხულს გამოქვეყნდა სამი საყურადღებო კანონი, რომელთაგან ორი საკუთრივ ჩვენს ქვეყანას შეეხება და ერთი—მთელს რუსეთს: 1) ამიერ კავკასიის სახელმწიფო გლეხთა მიწად-მფლობელობის გაწესრიგება, 2) გადასახადთა რეორგანიზაცია ამიერ კავკასიაში და 3) ახალი დებულება სამელიორაციო კრედიტის შესახებ. სამსახური კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისაოვის და ამიტომ არ იქნება ურიგო დაახლოვებით მაინც გავიცნოთ მათი შინაარსი და საზოგადო ხასიათი.

გარდა ნაბატონარ გლეხთა, ჩეენში, როგორც იციან მკითხველებმა, არის დიდძალი სახელმწიფო გლეხობა, რომელთაგან უმცირესობა კერძო პირთა მამულებზეა დასახლებული, ხოლო უმეტესობა—სახელმწიფო მიწაზე სცოვრობს. ნაბატონარ გლეხთა და აგრეთვე იმ სახელმწიფო გლეხთა მიწადმფლობელობა, რომელნიც კერძო პირთა მიწა-წყალს ჰქონდენ, უკვე კარგა ხანია გაწესრიგებულია და მოწყობილი განსაკუთრებულ კანონდებულებით; რაც შეეხება მეორე კატეგორიის

შინაური მიმდინარე

სახელმწიფო გლეხებს, ისინი დღემდის მოუწყობელი იყვნენ
და მათი მიწად-მფლობელობა სრულიად გამოუკვეველი
იყო. ეს გარემოება მეტად მავნებელი იყო და საგრძნობლად
აფერხებდა მრავალ ათასის გლეხის წინმსვლელობასა და მათი
მდგომარეობის გაუმჯობესობის საჭმეს. ამიტომაც მთავრობამ
უკვე მეოთხმოცე წლების დასაწყისში გადასწყვიტა ამ გლეხთა
მიწყობა და მაშინვე შეუდგა საჭირო მასალის მოგროვებას
რეფორმის პროექტის შესამუშავებლად. 1884 წელს სახელმწი-
ფო ქონებათა სამინისტრომ დაიწყო ამიერ-კავკასიის სახელმწი-
ფო გლეხთა მდგომარეობის შესწავლა და მაღლ შეაგროვა
ლირს შესანიშნავი მასალა, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ
რა პირობებში სცხოვრობს, კუნიომიურისა და ადმინისტრატი-
ულის მხრით, სახელმწიფო გლეხი. მასალის შეგროვების შემ-
დეგ, უმაღლესის ბრძანებით, დაარსებულ იქმნა ტფილისში სა-
განგებო კომისია მოხელეთა, რომელმაც რამდენისამე წლის მუ-
შაობის შემდეგ შეიმუშავა კანონპროექტი სახელმწიფო გლეხ-
თა მიწადმთლობელობის გაწეს-რიგების შესახებ. ეს კანონ-
პროექტი განხილულ იქმნა პეტერბურგში, სათანადო სამინის-
ტროში, და ბოლოს სახელმწიფო რჩევაში; უკანასკნელშა ამ
წლის პრილში კიდეც დამტკიცა იგი ყველა იმ ცელილება-
თა მოხდენით, რომელიც შეიტანეს თავდაპირელად შემუშა-
ვებულს პროექტში სხვა-და-სხვა ინსტანციებმა.

ახალი კანონი შეეხება სახელმწიფო გლეხებს ტფილისის,
განჯის, ბაქოს, ერევნის და ქუთაისის (გარდა ართვინისა და
ბათუმის ოლქების) გუბერნიებს. მისი უმთავრესი მუხლები, რო-
მელიც საკმაოდ ნათლად გვამცნობენ ახალის დებულების ხა-
სიათს, შემდეგნი არიან:

ნადელები მიეჭრება სახელმწიფო გლეხთა სოფლის საზო-
გადოებათ, სოფელთ და მოსახლეობათ (შოსელკამს) იმ პირო-
ბით, რომ დაცულ იქმნება მიწით სარგებლობის აწ არსებული
წეს-რიგი (მუხლი პირველი). სახელმწიფო გლეხთა ყრილობათ
ნება აქვთ ადგილ-მამულის საერთო მფლობელობის მაგიერ შე-
მოიღონ კერძო, საოჯახო (პირველი) მფლობელობა, თუ

ამის თანახმა გახდება იმ გლეხთა ორი მესამედი, რომელთაც ხმა
აქვთ ყრილობაში (მუხ. მე-2). სახელმწიფო გლეხები, რომელ-
თაც მიეკრებათ ხსენებული ნადელები, მოვალენი იქმნებიან
შეიტანონ ხაზინაში კანონით იღნიშნული ყოველ წლიური
გადასახადი, რომელ საც სახელად ეწოდება „სახელმწიფო საი-
ჯარო გადასახადი“ (государственная оброчная подать) (მუხ.
მე-5). იმ სოფლის საზოგადოებათ, სოფელთ და მოსახლეობათ,
რომელთ უკვე მიეკრათ ნადელები და რომელთ გეგმებიც შე-
დგენილი აქვთ, ეძლევათ უფლება მომავალშიაც შეირჩინონ მი-
ზომილი ადგილ-მამული (მ. მე-6). წინააღმდეგ შემთხვევაში ნა-
დელად მიეკრებათ: ა) სამოსახლო ადგილი, მოსრანი, ბალი,
ვენახი, მუდმივი სახნავ-სათესი მიწა, სანახირე, თეით გლეხთა
მიერ გაშენებული ტყე, საქერე და ის მიწა, რომელიც მიეცა
სოფლებს რამე სამრეწველო დაწესებულებისთვის; ბ) საზო-
გადოდ ყველა ის ადგილი, რომლითაც სარგებლობს დღეს თი-
თოეული კომლი და გ) ყველა ის მიწები, რომელნიც დიდი-
ხანია უკვე სახელმწიფო გლეხთა მფლობელობაშია (მ. მე-7).
იმ სოფლის საზოგადოებათ, სოფელთ და მოსახლეობათ, რო-
მელთაც საოჯახო საჭიროებისთვის სახაზინო ტყეებიდან ეძლე-
ვათ ხე-ტყე და ტყის მასალა, შემდეგშიაც ექმნებათ უფლება
მიიღონ ეს მასალა და ხე-ტყე, სახელმწიფო ქონებათა მინის-
ტრისა და კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ შემუშავებულ
წესის თანახმად (მ. მე-9). იმ შემთხვევაში კი, როდესაც ახლო
დიდი სახაზინო ტყეა, სახელმწიფო გლეხთა მოსახლეობათ და
სოფლებს მიეკრებათ ტყის ნადელები (მ. მე-10). ხე-ტყის სარგებ-
ლობისა ან ტყის ნადელისათვის გლეხები გადაიხდიან განსაკუთრე-
ბულ სატყეო გადასახადს (მ. მე-11). ადგილ-მამული, რომელიც
ნადელად მიეკრება სოფლის საზოგადოებათ, სოფელთ და მო-
სახლეობათ, არ შეიძლება გაიყიდოს ან დაეალიანებულ იქმნა-
სის მამული, რომელიც მიზომილი აქვს ოჯახს, შეიძლება მიე-
ყიდოს მხოლოდ სოფლის საზოგადოების წევრს. ამ გვარ მა-
მულის გაყიდვა გლეხის ვალის გასასტუმრებლიად აქრძალულია
(მ. მე-12). ახალის დებულების ისრულები მოყვანა და საჭი-

რო წესების შემუშავება მიენდო სახელმწიფო ქონებათა და სამიწად-მოქმედო მინისტრს (პ. შე-14), რისთვისც მან კიდეც დაარჩსა საგანგებო კომისია ტყილისში, რომელიც უკვე შეუ-
დგა მუშაობას.

ამ მოკლე აღნუსხევიდანაც დაინახეს მკითხველი, თუ რამდენად საყურადღებოა ეს დებულება *) ჩვენის გლეხებისათვის. ამიერ კავკასიაში, საზოგადოდ, ჰსუფევს ორულობა მიწად-მცენობელობაში, რაც დიდად აფეხებს მის ეკონომიკურს განეითარებას და ამიტომ გაწეს-რიგება სახელმწიფო გლეხთა მიწად-შფლობელობისა საქმაოდ დიდი ნაბიჯია მოქალაქებრივ განკარგების გზაზე...

ახალს დებულებაში უმთავრესს ყურადღებას იწვევენ მე-6, მე-7 და მე-12 მუხლები. ჩევექვსე და მეშვიდე მუხლები შეეხებიან იმას, თუ რამდენი უნდა მიეცეს ნადელად სახელმწიფო გლეხთ. თავდაპირველად განზრახული იყო აღნიშნათ maximum'-ი ნადელისა, რომელიც უნდა მისცემოდა თითო კომლს; სახელდობრ, თითო სულ 12 დესტრინაზე მეტი არ უნდა მოხულიყო. რაც ამ რიცხვის კვალინბაზე გამოანგარიშებულ მიწას იღემატებოდა, ის უნდა ჩამორთმეოდა სოფელს და უნდა მისცემოდა რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხთ. ან გვარი წესი კიდეც შემოიღო ერთ დროს ადგილობრივ სახელმწიფო ქონებითა უწყებამ და, თუ არა ვცდებით, საგარეჯოში სოფელს კიდეც ჩამოართვეს რამდენიმე ასი დესტრინა რუსეთიდან გადმოსახლებულთა დასასახლებლად. ახლად გამოცემულ კანონში ეს საკითხი სხვა რიგად არის გადაწყვეტილი: იქ სრულიადაც არ არის ნაჩვენები, რამდენი უნდა მიეზომოს მიწა სახელმწიფო გლეხთ; მე-6 და მე-7 მუხლები ამბობენ მხოლოდ, რომ სოფლებს უნდა მიეცეს ნადელად მთელად ის მამული, რომელიც ამ ქამად არის მის მფლობელობაში; სახელდობრ,

*) არ იქმნება ურიკო, რომელიმე გამომცემელთაგანი გადაათარგმნინებდეს სრულად და გამოსცემდეს როგორც ამ საყურადღებო დებულებას, ისე დანარჩენ ორ კანონსაც, რომელთ შესახებაც ამ მიმოხილვაშია საუბარი.



აქ უნდა იყოს: სამოსახლო, ბოსტან-ბალი, ვენახი, საძოვარი, ტყე, სახნავ-სათესი, და სხვა. კანონი აქ საზოგადო წესს უჩვეუნებს, რომელიც უფრო სასარგებლო იქმნება ჩვენის გლეხობისათვის, ვიდრე maximum'-ების აღნიშვნა...

მეტად საყურადღებოა აგრეთვე მეთორმეტე მუხლი ახალის დებულებისა. როგორც ყველამ უწყის, ჩვენი გლეხები სოფლის ჩარჩ-ბაცაცებმა მეტად დაავალიანეს. მათ მახეში გამული გლეხი თითქმის მხოლოდ მათვის მუშაობს; ფული, ჭირნახული, საქონელი—ყოველივე მიდის ვალის გასტუმრებისათვის; ბოლოს, დავალიანებული გლეხი იძულებული ხდება ადგილ-მამულის გაყიდვასაც მიჰყოს ხელი, რათა თავიდან აიცილოს ჩარჩის ვალი. ამ გზით კახეთში, მაგალითად, დიდაბალი მამული შეიძინეს ჩარჩებმა. ახალი კანონი (მუხლი მე-12) სპობს ამგარს გზას სახელმწიფო გლეხის მამულის შექნისათვის, რადგანაც ნებას არ აძლევს გლეხს გაჰყიდოს სახაზინო მიწა ნადევლად მიზომილი და რადგანაც ამიერიდან აღკრძალულია ვალის გასასტუმრებლად სანადელო ადგილ-მამულის გაყიდვა. ახალი კანონი არ სპობს სრულიად ადგილ-მამულის მობილაზაციას: გლეხს შეუძლია მიჰყიდოს მიწა თავისავე სოფლის წევრს; ასე რომ უსწორ-მასწორობა მფლობელობაში კვლავაც იქნება, რაც აუცილებელია ეხლანდელ სოციალურ პირობებში, მაგრამ ისიც დიდია, რომ სოფლისათვის უცხოს, უშეტეს ნაწილად ჩარჩის, ახალის კანონით ერთმევა ფართო ასპარეზი სოფელში ფართაშობისათვის...

თუ ზემოდ განხილული კანონი ეხება მხოლოდ ერთ ჯვეულს ჩვენის ქვეყნის მცხოვრებთა, სამაგიეროდ, მეორე კანონი, რომელიც გამოქვეყნდა მიმღინარე ზაფხულშივე, ეხება მთელს ჩვენს ქვეყანას. ეს არის ახალი კანონი გადასახადთა შესახებ. ჩვენ უკვე გვქონდა „მოამბის“ მკითხველებთან საუბარი ამ კანონის შესახებ *), როდესაც იგი დაუმტკიცებელი პროექტი იყო. ეს

*) იხ. „მოამბე“ 1900 წ., № 2.

პროექტი თითქმის შეუცვლელად იქმნა მიღებული სახელმწიფო რჩევის მიერ და დამტკიცებული იქმნა უმაღლესად 12 წარსულ ივნისს. გადასახადთა რეფორმის შესახებ ჩვენ ვწერდით, რომ განზრახული კანონი გააწესრიგებს გადასახადთა სისტემას ჩვენში და გარდა ამისა სამართლიანად გაუთანასწორებს მცხოვრებთ, წოდების განურჩევლად, გადასახადთა ულელსო. 12 ივნისს გამოცხადებული უმაღლესი ბრძანება ასევე უყურებს ახალს კანონს: „ამ ზომასათ“ (გადასახადთა რეფორმას), ვკითხულობთ ხსენებულს ბრძანებაში, „საკუთარ აქვს თანასწორად ჰყოს ყველა მცხოვრებთათვის გადასახადთა ულელი და დამკვიდროს საჭირო სამართლიანობა ქვეყნის გადასახადთა სისტემაში“. მართლაც, ახალი სისტემა ბევრად უფრო მაღლა სდგას ძველ სისტემაზე, რომლის მეფობის დროს გადასახადთა მძიე ულელი თითქმის მხოლოდ გლეხობას აწვა კისერზე. ახალი კანონი სპობს ჩვენში საუკუნეთა უსამართლობას, რომლის ძალით ყველა სახელმწიფო და იდგილობრივი საჭიროების დაკმაყოფილება თითქმის მარტო გლეხობას ჰქონდა ნაკისრი. ამიტომაც ახალი კანონი პროგრესიული ზომაა და კარგ გავლენას იქონიებს ქვეყნის ზრდა-განვითარებაზე.

დღემდის, როგორც იციან მკათხველებმა, სახელმწიფო გადასახადს ჩვენში იხდიდნენ მხოლოდ გლეხები. აქ იყო საკომლო გადასახადიც, მიწის გადასახადიც და სხვა-და-სხვა ბევრაც. ახალი კანონი სრულიად სცვლის ამას. პირკელი მუხლი უმაღლესად დამტკიცებულის კანონისა ამბობს: „მოსპობილიქმნას 1901 წლის 1-ლ იანვრიდან: 1) საკომლო და მიწის გადასახადი, რომელსაც იხდიან სოფლის მცხოვრები ამიერ კავკასიაში და მთიულნი თერგისა და ყუბანის ოლქებში; 2) მიწის გადასახადი, რომელიც შემოაქვთ ყარსის, ბათუმის და ართენის ოლქების მცხოვრებთ და 3) სადესეტინო გადასახადი, რომელიც დადებულია თერგისა და ყუბანის ოლქებში კერძო მემაზულებზე“. სამაგიეროდ ახალი კანონი აწესებს სხვა რიგ გადასახადს. მეორე მუხლში ვკითხულობთ: „1901 წლის 1-ლ იანვრიდან ამიერ კავკასიაში და აგრეთვე თერგისა და ყუბანის ოლქებში დაწეს-



დეს: 5) სახელმწიფო საიჯარო გადასახადი, (государственная оброчная подать), რომელიც უნდა იხადონ სახელმწიფო გლეხებმა მათ მფლობელობაში გადაცემულ მიწაზე და 6) ადგილ-მა-მულის სახელმწიფო გადასახადი (государственный поземельный налогъ), რომელიც უნდა გადიხადონ ყველა მემამულეებმა, გა-ნურჩევლად წოდებისა, გარდა ხაზინისა“.

საიჯარო სახელმწიფო გადასახადი უკვე გამოანგარიშებულია, ადგილ-მამულის რაოდენობის მიხედვით, სამი წლით (1901-დან 1903-მდე). სულ ამ დროს განმავლობაში სახელ-მწიოდო გლეხებმა უნდა გადიხადონ; 5) ტფილისის გუბერნია-ში და ზაქათალის ოლქში—484,000 მანეთი და 6) ქუთაისის გუ-ბერნიაში—145,000 მანეთი; სულ ჩვენებურმა სახელმწიფო გლე-ხებმა უნდა გადიხადონ 629 ათასი მანეთი. ეს სერთო ჯამი უნდა განაწილდეს ჯერ თითოეულ მაზრაზე, შემდეგ თითო-ეულ სოფლის საზოგადოებაზე, სოფელზე და ბოლოს თითოეულ გლეხზე, რომელსაც მიეცემა ნადევლად სახელმწიფო მიწა. ეს განაწილება მოხდება ადგილ-მამულის რაოდენობისა და მისი დაფასების მიხედვით.

სახელმწიფო გლეხების გარდა ამიერ კავკასიის ყველა და-ნარჩენმა მემამულეებმა, წოდების განურჩევლად, უნდა იხადონ, როგორც ვთქვით, სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადი. ამ გადასახადის გაწერა ასე მოხდება: ყოველ სამ წლისთვის მთავრობა გამოიანგარიშებს, შემოსავლის მიხედვით, რამდენი უნდა დაუდევს გადასახადი, შუათანა აღრიცხვით, თითო დესე-ტინას ყოველ გუბერნიაში. მთავრობა იღებს შემოსავალს დე-სეტინა ვენახისას, ბალისას, სახნავ-სათესი მიწისას, საძოვრისას, უვარებისისას და შემდეგ გამოიანგარიშებს შუათანა აღრიცხვით, რა შემოსავალი აქვს ყოველს გუბერნიაში ერთ დესეტინა მი-წის საზოგადოდ; ამ შუათანა აღრიცხვით გამოანგარიშებულ შემოსავლის მიხედვით დაწესდება ყოველ გუბერნიისთვის სადე-სეტინო გადასახადი. მაგალითად, 1901 წლიდან 1904-მდე მთავრობას დაუწესებია დესეტინაზე 5 კაპეკი გადასახადი ტფი-ლისის და ქუთაისის გუბერნიებში. ასე რომ, მთავრობამ უნდა

აღოს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში ყაველ წლის
იმდენი შაური, რამდენი დესეტინა მიწაც აღმოჩნდება ყველა
მემამულეთა ხელში, გარდა სახელმწიფო კლეიხებისა. ჯერ გა-
მოანგარიშდება, რამდენი ხვდება საერთოდ მთელს გუბერნიას
ეს გადასახადი, შეძევ ივე განაწილდება მაზრაზე და ბოლოს
თითოეულ მემამულეზე. ეს განაწილებაც მოხდება შემოსავლის
მიხედვით; ასე რომ, ზოგ მემამულეს შეიძლება თითო დესე-
ტინაზე შეხვდეს შაურზე გაცილებით უფრო მეტი, ზოგსაც—
ნაკლები, შემოსავლის მიხედვით.

როგორც ხედავს მკითხველი, თავი და თავი საქმე აქ ყო-
ფილა შემოსავლის გამოანგარიშება, მიწის დაუსება და იმის
კვალობაზე გადასახადის განაწილება. შუათანა აღრიცხვით გა-
მოანგარიშებული ერთი შაური დესეტინაზე უფრო ხშირად,
რასაკეირველია, არ შეეფერება სინამდეილეს და სამართლიანო-
ბას გადასახადის გაწერის საქმეშა. ზოგს 5 000 დესეტინა კლდე
აქვს, რომლიდანაც გროში არ შემოუდის; მას რომ 250 მან.
(5 000 × 5) შეიწეროს, უსამართლობა იქნება და მიწის გადამე-
ტებული დავალიანება. მეორეს მხრით, 5 დესეტინა ვენახის პა-
ტრონს, რომელსაც წმინდა შემოსავალი 500 მანეთი აქვს, ოც
და ხუთი კაპეიკი გადასახადი (5 × 5) რომ მიეწეროს, დიდი
უთანასწორობა და უსამართლობა იქნება. ამიტომაც ახალი
გადასახადის სიავკარგე სრულიად დამოკიდებული იქნება იმაზე,
თუ რამდენად კარგად იქნება მოხდენილი აფეილ-მამულის რაო-
დენობის ცნობაში მოყვანა და წმინდა შემოსავლის გამოანგა-
რიშება. თუ ეს საქმე რიგითაც იქმნა შესრულებული, მაშინ
ახალი წეს-რიგი და სისტემა გადასახადთა არ შეაწერებს გა-
დამხდელთ და ხელს არ შეუშლის მის ეკონომიურს ზრდა-გან-
ვითარებას...

სახელმწიფო გადასახადის გარდა, აფეილ-მამულზე გაიწე-
რება კიდევ საერთო გადასახადი, რომელსაც ჩევნში უკვე
კარგა ხანია იხდიან როგორც გლეხები, ისე თავად-აზნაურე-
ბიც, პირველნი—კომლეულად, მეორენი—ადგილ-მამულის რა-
ოდენობის მიხედვით. მომავალ წლის 1-ლ იანვრიდან ეს გა-

დასახადიც ადგილშიძულის რეოდენობის მიხედვით გადახდება ყველას. საერობო გადასახადის გაწერა და განაწილება მოხდება იმავე წელთა და რეგიონ, როგორიც დადგბულია სახელმწიფო გადასახადისათვის და, მაშასადამე, მისი სიავ-კარგეც დამოკიდებული იქნება ისევ ადგილ-მამულის სამართლიან დაფასებაზე. აქ მით უმეტეს საჭიროა სიფრთხილით გამოანგარიშება წმინდა შემოსავლისა, რომ დესეტინაზე დიდი გადასახადია გამოანგარიშებული როგორც ტფილისის, ისე ქუთაისის გუბერნიისათვისაც: 24 კაპეიკი. დღემდის საერობო გადასახადი არ აღემატებოდა 9 კ. დესეტინაზე, ეხლა კი ერთბაშად 15 კაპ. მოუმატეს. ეს მომატება გამოწვეულია საგანგებო გარემოებით, სახელდობრ—ამიერკავკასიის საერობო სადარაჯოს რეორგანიზაციით, რამაც 2 მილიონი ხარჯი მოითხოვა...

გადასახადთა ახალმა სისტემამ უნდა დაიწყოს მოქმედება 1-ლ იანვარს 1901 წელს. ამის მოითხოვს კანონი, მაგრამ უმაღლესი ბრძანება შედაგათს აძლევს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურობას და მათთვის ახალის კანონის მოქმედება დაიწყება სამის წლის შემდეგ. ეს დიდი მოწყვალებაა, რომელიც უმაღლესად გმოძა თავად-აზნაური თუკანისკნელ კრებებზე დადგენილ შუამდგომლობათა გამო. უმაღლეს ბრძანებაში ამის შესახებ ასე სწერია: „შეივაჭიდეთ რა უურადღება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურობის ქონებრივ შევიწროებას, ყოვლად უმოწყალესად ვძრიძნეთ, რომ განთავისუფლებულ იქნან სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადისაგან სამის წლით, 1901-დან 1903-მდე, ხსენებულ გუბერნიების თავადნი და აზნაურნი“. გარდა ამისა მათ ეპატიათ ყველა ის „ნედოიმები“, რომელნიც მათზე ირიცხებოდა საერობო გადასახადისა...

მიმდინარე წლის 29 მაისს ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა სამიწად-შოქმედო სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი სამელიორაციო კრედიტის შესახებ. რუსეთში დღემდისაც იძლეოდა მთავრობა სესხს სოფლის მეურნეობის გაუმ-

შინაური მიმოხილვა

ჯობესობისათვის, მაგრამ ეს უფრო შემთხვევით ხდებოდა და ამგვარ კრედიტის საქმე არ იყო მოწყობილი. ახალი კანონი აწესრიგებს ამ ფრიად სასარგებლო საქმეს და, ეპეს გარეშე, სამეურნეო გაუმჯობესობისათვის დაწესებული კრედიტი მაღა მოიპოვებს თანაგრძნობას მთელს რესეფში და შეიქნება ძლიერი იარაღად სოფლის, მცხოვრებთა მდგომარეობის განკარგებისათვის... ჩვენი ქვეყნის მეურნე სრულიად არ სარგებლობდა დღემდის ამგვარ კრედიტით. მან იცის მხოლოდ საადგილ-მამული კრედიტი—იპოთეკა, როდესაც ზემამულე თავის მამულის დაგირავებით იღებს გრძელ ვადიან სესხს; ეს სესხი გაიცემა ბან კების მიერ აღუნიშვნელად საჭიროებისა, რომელსაც უნდა მოხმარდეს; ამიტომ უფრო ხშირად მსესხებელი ტყურ-ლა-უბრალოდ ფლანგებს ფულს, ხოლო დავალიანებული მიწა ვეღარ იხდის სარგებელს და იყიდება. ამგვარს კრედიტს არ შეუძლიან ნამდვილი სამსახური გაუწიოს სოფლის მეურნეს და ამიტომ განათლებულ ქვეყნებში უკვე კარგა ხანია დაწესდა და აყვავდა სხვა გვარი კრედიტიც, რომელმაც, როგორც გამოცდილება ამბობს, ღილი სარგებლობა მოუტანა სოფელს. ამ კრედიტს უწოდებენ სამელიორაციო კრედიტს, ესე იგი, კრედიტი სასოფლო სამეურნეო გაუმჯობესობათათვის დანიშნულიო. ამ შემთხვევაში მსესხებელმა მტკიცედ უნდა აღნიშნოს, რა საჭიროებისთვის უნდა სესხი, და უთუოდ ამ საჭიროებას უნდა მოახმაროს ივი. სამეურნეო გაუმჯობესობა, რომელსაც მოახდენს მსესხებელი, აღიერებს მამულის შემოსვალს და ამიტომ მიწის დავალიანება აღარ არის ისე საშიში, როგორც სააღგილ-მამულო კრედიტის დროს.

ახალის კანონით, სამელიორაციო სესხის აღება შეუძლიან ერობას, სოფლის საზოგადოებას და კერძო მემორიალეთ. ვინც 500 თუმანზე მეტს თხოვულობს სესხს, მან უნდა მიჰმართოს თხოვნით პირდაპირ სამიწად-მოქმედო სამინისტროს, ხოლო ვისაც ამაზე ნაკლები სესხი უნდა, მის თხოვნას გაარჩევს საგუბერნიო კომიტეტი, სადაც ამგვარი კომიტეტი დაარსდება. ჩვენში ჯერ-ჯერობით ამგვარი კომიტეტი არ არსდება, ამიტომ



ყველა თხოვნები სამელიორაციო კრედიტის შესახებ სამინისტროში უნდა გაიგზავნოს. სესხი გაიცემა შემდეგ საჭიროებათა დასაქმაყოფილებლად: 1) გაშრობა ტბებისა, მამულის მორწყვა, მდინარეების ნაპირების გამაგრება; 2) ტყის გაშენება; 3) გაშენება ბალებისა და ვენახებისა; უვარვის მიწის გაწმენდა და სახნავ-სათვალ მომზადება; 5) გლებთა ახალი მასახლეობის მოწყობა; 6) სარდაფების გაკეთება ღვინის შესანახად, მეღვინეობის საჭირო იარაღის შეძენა; 7) აგება ბელლებისა, თავ-ლებისა და სხვა სამეურნეო შენობათა; 8) მოწყობა ერბოს და ყველის საკეთებელ ქარხნებისა და ავრეთვე წისქვილებისა და 9) შეძენა კარგი ჯაშის საქონელისა. ტყის მოშენებისათვის სესხი გაიცემა 30 წლის ვადით, ხოლო დანარჩენ საჭიროებათათვის ერთიდან ოც წლამდე; ვადის დანიშვნა დამოკიდებულია სამინისტროსაგან. იმ სესხში, რომელიც აღებულია მდინარეთა ნაპირების გამაგრებისათვის, მემამულებს გადახდება 20% , დანარჩენ საჭიროებათათვის აღებულ სესხში კი 40% წლიურად. ერთ-ბას სესხი მიეცემა ისეთ გაუმჯობესობის მოსახდენად, რომელ-საც მნიშვნელობა აქვს მთელის გუბერნიის ან მაზრის მეურნეობისათვის. კერძო მემამულებს ათას მანეთამდე სესხის აღება შეუძლიან უგირაოდ, მას ჩამოერთმევა მხოლოდ ვალდებულების ქაღალდი (ვაძმის ინიციატივა); ხოლო ათას მანეთზე მეტის სესხის აღებისათვის საჭიროა გირაო; გირაოდ მიღება როგორც უძრავი მამული, ისე ფასიანი ქაღალდებიც. სოფლის საზოგადოებათ სესხი მიეცემა ან იმ მამულის დაგირაცებით, რომელიც საერთოდ ეკუთვნის სოფლელთ, ან და ყველა სოფლელთა ურთიერთ თავდებობით. მსესხებელმა მტკიცედ უნდა აღნიშნოს თავის თხოვნაში, რა გაუმჯობესობის მოხდენა ჰქონდა თავის მამულში და წარადგინოს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა; სამინისტრო თავის მოხელეების შემწეობით თვალყურს აღვნებს, რომ გაუმჯობესობა უთუთოდ იქმნას მოხდენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ნება აქვს თავის მოხელეებს მოახდენიოს საჭირო გაუმჯობესობა მემამულის ხარჯით.

ჩეუნ გაკვრით განვიხილეთ აქ ახალი დებულება სამელიორაციო კრედიტის შესახებ, მაგრამ მკითხველი აქედანაც და-

ინახავდა, თუ რა საყურადღებოა მეურნეობისათვის ეს ახლად გამოწყობილი საქმე. ამ გეარს კრედიტს, ეჭვს გარეშეა, დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენის სოფლის ცხოვრებაშიაც, თუ, რა-საკვირველია, ჩვენებურმა სოფელმა გაიკო ამბავი და მოახერ-ხა ახალის კრედიტით სარგებლობა... სამელიორაციო კრედიტს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, როდესაც რაიმე დიდი გაუმ-ჯობესობის მოხდენაა საჭირო, რომელიც არ ძალუქს შეასრუ-ლოს ერთმა მემატულებმ ან ერთმა სოფელმა, მაგალითად—დი-დი ტბების გაშრობა, არხების გამოყვანა, ტყეების გაშენება და სხვა. ამ შემთხვევაში სამეურნეო გაუმჯობესობის მოწყო-ბას და გაძლოლის რუსეთის შიდა გუბერნიებში უთუოდ ერთ-ბა იყისრებს, რომელმაც უკვე დაამტკიცა, რომ შეუძლია ღირ-სეულად შეასრულოს ქვეყნისთვის სასარგებლო სამეურნეო საქმე. ჩვენს ქვეყანაში კი, სადაც ძლიერ ცოტაა შეგნებული მეურნე და სადაც არ არსებობს ერთმა, ახალ გვარი კრედი-ტი, სამწუხაროდ, ეერ გავრცელდება ისე, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში და ვერ მთიტანს იმდენსავე სარგებლობას, რამდენსაც იმ იდგილებში, სადაც საერთო დაწესებულება ჰშველის შეუკნებელს სოფლის მეურნეს...

13 ივლისს, ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემ-დეგ, ქ. სოხუმში გარდაიცვალა ილია ლუკას-ძე ხონელი, ცნო-ბილი კავკასიის ლიტერატურაში ილია ხონელის სახელით. გან-სვენებული მეოთხმოცე წლების დასაწყისში შეუდგა კავკასიის ქართულ-რუსულ გაზეთებში მუშაობას და უკანასკნელ წლე-ბამდე არ შეუწყვეტია სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა. რო-გორც ფელეტონისტ-პუბლიცისტი, ის სწერდა ყველა ადგი-ლობრივ საჭირ-ბოროტო საკითხების შესახებ და მის ნიჭიერად დაწერილს წერილებს ყველა ყურადღებით ჰკითხულობდა, თუნდაც არ ყოფილიყო თანამგრძნობელი მისი მიმართულები-სა და ამა თუ იმ საზოგადო საქმეზე შეხედულებისა. ილია ხონელი ენა-მახვილი და ნიჭიერი ფელეტონისტი იყო. ქარ-თულადაც და რუსულადაც მშვენივრად სწერდა; ნამეტურ კარ-

გი სტილი ჰქონდა და ხელოვნურად სწერდა რუსულად. საუკეთესო მისი ნაწირმოებებია — წვრილი ბელეტრისტიული მოთხრობანი, ამბები და დახასიათებანი, რომელნიც ცალკე წიგნაკადც გამოსცა მან ამ რამდენისამე წლის წინად. აღზრდილი მესამოცე და მესამოც და ათე წლების რუსულს ლიტერატურაზე და პუბლიცისტიკაზე, ილია ხონელი თავის ლიტერატურულ მოღვაწეობის პირველ წლებში დამცველი იყო მაშინდელ მოწინავე იდეებისა და ახალგაზრდობის იდეალებისა. სამწუხაროდ, შემდეგ წლებში მისი ნიჭის ერთი მხარე მეტად განვითარდა და მის მოღვაწეობას დამატებია არა-სასურველი კვალი. საქმე ის არის, რომ ილია ხონელს ბუნებით დაყოლილი ჰქონდა მძლავრი იუმორი. ის ყოველისფერში ეძებდა სასაცილო მხარეს, ყბად ასაგდებად და საშასხროდ ასაღებად. ამგვარი მიმართულება გაიტაცებდა ხოლმე განსევნებულს და ის ხშირად სასაცილოდ აიგდებდა და დაპერმობდა ისეთ რასმეს, რაც სრულიადაც არ იყო დაცინვისა და დაგმობის ლირსი. ნამეტნავად დაემზნია ეს განსევნებულს უკანასკნელს წლებში; ამ შემთხვევაში მას თითქმის იგივე დაემართა, რაც რუსეთის ბევრ ნიკიერ ფელეტონისტებს: ისინი დაწვრიშილდნენ და დაიწყეს უსაგნო ოხუნჯობა, სასაცილოდ აღება ყოველისტრისა მხოლოდ სიცილისა და ოხუნჯობასათვის. ვამბობთ „თითქმის“ იმიტომ, რომ ხონელს ცხოველი ხასიათი ჰქონდა და არ შეეძლო, მაგალითად, დოროშევიჩსავით დაწვრილმანებულიყო და გალაზლანდარებულიყა... მიუხედავად ამ ნაკლულევანებისა ილია ხონელი, როგორც ვთქვით, ნიკიერი და მშრომელი მუშავი იყო და მისი სიკვდილი სავრძნობელი დასაკლისია კავკასიის მწერალთა მცირე გუნდისათვის.

დაბლი

უცხოეთის მიმოხილვა

არაულობა ჩინეთში

ორ თვეზე მეტია აკერ, რაც უძველესს აზიურს იმპერიას ში საშინელი არეულობა ჰსუფვეს: დიდის ჩინეთის ერი ამხედრებულია უცხოელთა წინააღმდეგ და ჰლამობს მათ ამოქლებას და განდევნას თავის ქვეყნიდან. რა მოხდა ასეთი, რომ გამოულვიძნია გრძლად ძილის ჩვეულს ქვეყნას? რამ გააბრაზა და გამოიყვანა მოთმინებიდან ეს მშვიდობის მოყვარე ხალხი, ეს მშრომელი და წყნარი ერი? რამ აიძულა იგი ხელიდან გააგდოს ხაყვარელი ბარი და ნიჩაბი და მათ მაგიერ აღლოს „საზიზლარ ეშმაკების“ მოვონილი თოფუიარალი? რა დანაშაული მიუძღვით მათ წინაშე ევროპიელთ, „განათლებულ და კაცთ მოყვარე“ ევროპიელთ, რომელნიც, როგორც თვითონ ამბობენ, მხოლოდ ქრისტიანობრივ კულტურის გავრცელებისთვის მუშაობენ გაუნათლებელ და ჩამორჩენილს ქვეყნებში? ამ საკითხზე პასუხის მიგება არ გაუძნელდება მას, ვინც თვალ-ყურს ადევნებდა ჩინეთის ამბებს ამ უკანასკნელ წლებში და ვინც ამასთანავე იცის ევროპის საზოგადო სურვილი ჩამორჩენილ ქვეყნების შესახებ. ჩინელმა თოფუ-იარალი აისხა თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვისათვის — ეს უტყუარი ფაქტია, რომელსაც ევროპის მჩავალი გაზეთები განზრახ ივიწყებენ და თხზავენ ისეთ რამებს, რაც სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. მათ თუ დაუჯერა კაცმა, ჩინელები იმიტომ ამხედრებულან ევროპიელების წინააღმდეგ, რომ მათ, როგორც

კერპთ-თაყვანის-მცემელ ფანატიკოსებს, სძულთ ქრისტეს სარწმუნოება და ქრისტიანები. რომ ქრისტეს სარწმუნოება აქ არა-უკრს შუაშია და რომ აქ სარწმუნოებრივი ფანატიზმი არ მოქმედებს, ამას ამტკაცებს ევროპიელთა და ჩინელთა ურთიერთობის მთელი ისტორია.

ეს ისტორია გვეუბნება, რომ თავდაპირველად ჩინეთას შუაგულში შევიდნენ და იქ დაბინავდნენ ევროპის მისსიონერები, რომლებმაც დაიწყეს ქრისტიანობის გავრცელება. ჩინეთას ერთ სრულიადაც არ აუღელვებია ამ გარემოებას. ისინი არა თუ არ წინააღმდეგნენ მისსიონერთ, პირიქით დახმარებას უწევდნენ მათ და მალე კიდეც შეიყვარეს თავვანწირული და მაღალის იდეებით გამსჭვალული მქადაგებელნი. ჩინელები, საზოგადოდ, ინდიურენტიზმს იჩენენ სარწმუნოებაში და ამიტომაც მათ შორის ადეილად ვრცელდებოდა ქრისტიანობაც. მაგრამ გავიდა რამდენიმე ხანი და ყოველივე გამოიცვალა. ამის მიზეზი თვით ევროპიელნი იყვნენ. პირველ მისსიონერთ მალე მოჰყვნენ სხვებიც და მათ შორის, ჩინელთა თეალ-წინ, მოხდა საშინელი უთანხმოება. შური, მტრობა, ვერაგობა და ძალ-მომრეობა გამეფდა იმათ შორის, ვინც ქადაგებდა სარწმუნოებას სიყვარულისას, მშვიდობიანობისას და სათნოებისას. მალე ჩინელებმა ისიც დაინახეს, რომ ევროპიელნი უანგარო მქადაგებელნი კი არ არიან ახალის მცნებისა, არამედ რეალური ინტერესიც აქვთ და მას შემდეგ ფრთხილად იყვნენ და ეჭვის თვალით უყურებდნენ მათ მოღვაწეობას. ხოლო როდესაც მისსიონერთ ვაჭრები და დიპლომატებიც მოჰყვნენ, ჩინელებში მტრობაც დაიბადა უცხოელთა წინააღმდეგ. მე-XIX-ე საუკუნის შუაგულამდე ეს მტრობა ნაკლებად და იშვიათად იჩენდა თავს, რადგანაც ევროპიელნი მაინცა და მაინც არ ეტანებოდნენ ჩინეთს: ჯერ ვაჭრობა-მრეწველობა არ იყო იმდენად გაფართოვებული, რომ გარეშე ბაზარი არ ჰყოფნოდა ევროპას, და კაპიტალისტურ-მილიტარისტურ ვეშაპს სახლშიაც სამყოფი მსხვერპლი ჰქონდა... მაგრამ თან-და-თან, ვაჭრობა - მრეწველობის ზრდის მიზედით, ევროპიელები უფრო და უფრო მიესივნენ დიდ ჩი-

ნეთის იმპერიას. იქ მათ ეგულებოდათ აუარებელი სიმდიდრე, რომელიც ჩინელს ვერ მოუძებნია და ვერ გამოუყენებია, და, უმთავრესად, ჩინეთი თავის 400—500 მილიონ მცხოვრებით წარმოადგენდა საუკეთესო ბაზარს ევროპის ნაწარმოებისათვის.

ვას შემდეგ, რაც ევროპაში დამყარდა ფართო მრეწველობა, ის იძულებული გახდა, რაც შეიძლება მეტი გარეშე ბაზარი მოიპოვოს თავის ნაწარმოების გასასაღებლად. ყოველი სახელმწიფო ამზადებს აუარებელს საქონელს, რომლის გასაღება აუცილებლად საჭიროა; წინააღმდეგ შემოხვევაში, თუ საქონელი არ გასაღდა, დადგება სამრეწველო კრიზისი, რომელიც იწვევს სახოგადო კრიზისს, შეფერხებას და შეჩერებას ცხოვრების დანარჩენ მხარეებისას. ამიტომაც დიდ სახელმწიფოებს, რომლებშიაც უფრო განვითარდა კაპიტალისტური წარმოება, საშინელი ქიშპობა აქვთ ერთმანეთში გარეშე ბაზრების გამო. ევროპის სახელმწიფოთათვის მთელი დანარჩენი ქვეყანა წარმოადგენს ერთ ვეებერთელა ბაზარს, სადაც მათ უნდა გაჰყიდონ თავის ნაწარმოებნი და საიდანაც უნდა წამოილონ ოქრო—ფულის გარდა მასალა, საჭირო საფაბრიკო და საქარხნო წარმოებისათვის (ცარე). ევროპიელებმა თითქმის დაიპყრეს აფრიკა, დაიპყრეს აფსტრალია, დაიპყრეს ნახევარი აზია. ვინ ჩამოსთვლის, რამდენი ძალა და ლონე დაუხარჯავს ევროპის თითოეულ დიდ სახელმწიფოს, რამდენი მსხვერპლი მოუტანია ამ ქვეყნების დამორჩილებისათვის? ბრძოლა და ქიშპობა დღესაც არ შეწყვეტილა, დღესაც კაპიტალიზმის მოლობი თხოულობს ბევრს მსხვერპლს...

ერთ გემრიელ ლუქმად, რომლის დამორჩილებისათვის ევროპა ჭარაფერს დაპიროვავს, გამხდარა ამ ეამად ჩინეთიც; მისი ვეებერთელა ტერრიტორია უკანასკნელ ხანებში გარდაქცეულა დიდთა სახელმწიფოთა საქიშპო ასპარეზად. ევროპისათვის ჩინეთი მართლა-და გემრიელი ლუქმაა. ვინ იცის, რამდენს საქონელს გაასაღებს, რამდენს ნაწარმოებს მოიხმარს 400—500 მილიონი ადამიანი და რამდენი სიმდიდრე

აღმოჩნდება ჩინეთის დედა-მიწაში?! სანამ ჩინეთის ერი განვითარდება, სანამ ის შეითვისებს ევროპულ კულტურას და სახლ-ში გაიჩინს ევროპიულს მრეწველობას, მანამდის ის იქმნება საუკეთესო და საიმედო მომხმარებელი ევროპის ნაწარმოებისა და ამიტომაც ევროპისათვის საჭიროა მის ტერრიტორიაზე გაბატონება. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპიელნი ყოველის მხრიდან შეესინენ ჩინეთის. მისი სამხრეთი და აღმოსავლეთი საზღვრების ქალაქები სავსეა უცხოელებით, რომელთაც თავიანთი ქალაქებიც და კოლონიებიც გაიჩინეს; მათ დაუმორჩილეს თავის გავლენას ჩინეთის ტერრიტორიის მოზრდილი ნაწილები და ნელ-ნელა იწევენ შუაგულ ჩინეთისაკენ. ცასქვეშა იმპერია, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კარ-ჩაკეტილი იყო და შეიძულება საკუთარი ცივილიზაცია, უნებლიერ დაემორჩილა „ქერა ბარბაროსების“ გავლენას და თუმცა ჯერ ფრთხილად, მაგრამ მაინც გაულო კარები ევროპის ცივილიზაციას.

თავდაპირველად ევროპიელნი არც ჰქოქრობდნენ ჩინეთის ტერრიტორიის დანაწილებას: მათ ერთის მხრით მორიცება ჰქონდათ ვეებერთელი იმპერიისა, რომლის ძალას არ იცნობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ მათთან ორჯერ-სამჯერ შეტაკება, მეორეს მხრით—მათის ვაჭრობა-მრეწველობისთვის საჭმარისი იყო მშვიდობიანი ეკონომიკური დამორჩილება ჩინეთისა. მაგრამ უკანასკნელმა ჩინეთ-იაპონიას ომშა სრულიად შესცვალა ევროპიელთა აზრი და განზრახვანი. ამ ომშა ნათლად უჩვენა ევროპას, რომ ჩინეთი მხოლოდ გარეგნობით არის დიდი და მძლავრი, ხოლო ნამდვილად ის მძიმე ივალმყოფია, რომლის ორგანიზმი მანდარინების უსვინიდისო გამგებლობასა და თარეშობას დაუყიდა და დაუუძლურებია. მაშინ მორიცებაც გაპტირა და ევროპამ ახლად დაიწყო მზადება ჩინეთის დამორჩილებისათვის. იქედან დაწყებული ევროპის ევრნალ-გაზეთობას აღარ შეუწყეტია სჯა ჩინეთის განაწილების შესახებ... შეიარაღებულმა ევროპამ, მართალია, შეაჩერა იაპონია, რომელსაც ომის დასრულების შემდეგ ჰსურდა ხელში ეკდო ჩინეთის ნაწილი,

მაგრამ ამ შემთხვევაში ევროპა ჩინეთისათვის კი არ ზრუნავდა, არამედ თავისი მომავალი ინტერესები ჰქონდა სახეში. იაპონია თავის ნებაზე რომ მიეშვათ, მაშინ ის მოიპოვებდა დიდ გაფლენას თავის ნათესავ ერჩე, შემოიღებდა იქ რეფორმებს, გაწვრთნიდა ჩინელ ჯარს და შემდეგ ორი შეკავშირებული აზის უდიდესი სახელმწიფოები ცუდ დღეს დააყენებდნენ ევროპას. ამიტომ მაშინ ძლევა-მოსილს იაპონიას გამოუტადეს — საჭიროა ჩინეთში ტერრიტორიული status quo იქმნას დაცულიო, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ თვითონვე დაარღვიეს ეს გარდა-წყვეტილება.

საქმე გერმანიაში დაიწყო. გერმანია ევროპის სხვა დიდ სახელმწიფოებთან შედარებით გვიან გამოვიდა კაპიტალისტურ წარმოების გზაზე და იმიტომაც მსოფლიო ბაზარზე მას იმდენი ალაგი არ ჰქონდა მიზომილი, რამდენიც სხვებმა დაიჭირეს. სხვა-და-სხვა ხელსაყრელ მიზეზებისა გამო გერმანია შესანიშნავის ჩქარის ნაბიჯით წავიდა წინ და მალე მისმა ვაჭრობა-მრეწველობამ საპატიო ალაგი დაიჭირეს მსოფლიო ბაზარზე. მას შემდევ გერმანიის მთავრობა ენერგიულად შეუდგა ახალ-შენების ძებნასა და ახალის ქვეყნების დაპყრობას. გერმანელნი გაჩნდნენ იფრიკაში, სადაც გვერდში ამოუდგნენ ინგლისსა და საფრანგეთს და მოითხოვეს „თავისი წილი“; იფრიკის გარდა მათ ყურადღება მიაქციეს აზიას და უკვე უკი მოიმაგრეს მცირე აზიაში, სადაც ოსმალეთის ნება-დართვით რკინის გზაც გამყიდვო, სავაჭრო კოლონიებსაც ძარსებრნ და გერმანელებსაც ასახლებენ... ბოლოს ძლევა-მოსილო გერმანია ჩინეთშიაც ჩიდება. იქ მან ისარგებლა ერთის შემთხვევით, სახელდობრ, თავის მისისინერის მოკვლით, და გაზავნა ჩინეთისაკენ ესკადრა. მოხდა უცნაური და ყველასათვის მოულოდნელი ამბავი: განთლებულმა ევროპის სახელმწიფომ გაძარცეა უდანაშაულო ჩინეთი, — წაართვა მას ნავთსადგური კიაოჩია. ამგვარი ავაზაკურმა მოქმედებამ ააღელვა ჩინელები, მაგრამ წინააღმდეგობაზე მათ ფიქრიც არ მოსელიათ, რადგანაც იაპონიასთან ომია დაარწმუნა ჩინეთი, რომ ომს დიდი მომზადება უნდა.

ჯერ ჩინეთი გონის არ იყო შოსული გერმანიის ძალმომ-
რეობასაგან, როდესაც ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც მოი-
თხოვეს და წაართვეს ჩინეთს ნავთსალგურები და ტერრიტო-
რიები: ჩრდილოეთ ჩინეთში რუსებმა დაიჭირეს პორტ-არტუ-
რი და ტალიენვინი, ინგლისელებმა ვეი-ხაი-ვეი, ფრანგებმა კი
მიიღეს ტერრიტორია სამხრეთ ჩინეთში. ცხადი იყო, რომ ევ-
როპის დიდი ხახელმწიფონი კიდევაც შეუდგნენ ჩინეთის განა-
წილებას ისე, როგორც ერთ დროს რუსეთმა, გერმანიამ და
ავსტრიამ გაინაწილეს პოლონეთი.

გაოცდა და შეძრწუნდა უდანაშაულო ჩინეთი. მისთვის
ცხადი შეიქნა, რომ განაწილების შეჩერებისთვის საჭიროა მთელ-
ეეროპას ომი გამოუცხადოს, და შეუდგა მზადებას. მთავრობას-
თან ერთად მზადებას შეუდგა თვით ერიც. ჩინეთში ყოველთვის
ბევრი იყო სხვა-და-სხვა საიდუმლო საზოგადოება, რომელთაც
ხშირად დიდი გავლენა და ძალა მოუპოვნიათ. უკანასკნელ ხა-
ნებში ჩინეთში მრავალი იყო ამგებრი საზოგადოება, რომელ-
თაგან უმეტეს ნაწილს პოლიტიკური ხასიათი აქვთ. გერმანიი-
სა და შემდეგ სხვა სახელმწიფოების ძალმომრეობამ გამოაფ-
ხისლა ეს საზოგადოებანიც და ბევრნი მათგანი შეერთდნენ
ერთის გზნისათვის. სწორედ ამრიგად დაარსდა საზოგადოება
„დიდი მუშტისა“, ანუ „მოკრივეთა“, რომელთაც თავის საგნად-
დაისახეს ევროპიელთა განდევნა ჩინეთიდან. საზოგადოებამ მა-
შინვე მოიპოვა თანაგრძნობა მთელს ერში და მის მიმდევართა
და მომხრეთა რიცხვი დლითი-დლე მატულობდა. მომხრენი და
თანამგრძნობელნი აღმოუჩნდნენ მას თვით მთავრობის წრეებ-
შიაც...

არ გაუვლია კიაო-ჩაოს დაპყრობის შემდეგ სამ წელიწად-
საც, რომ ჩინეთმა კიდევაც დაიწყო მოქმედება: ხალხმა ველარ
ითმინა დიდი ხნის მზადება და აჯანყდა. შორეულს აღმოსავ-
ლეთში დაინთხა სისხლი ევროპიელთა და იმ ჩინელთაც, რომ-
ლებმაც ქრისტიანობა მიიღეს. აჯანყება მალე მოედო თითქ-
მის მთელ ჩრდილოეთ ჩინეთს, ესე იგი იმ ადგილს, საიდანაც
დაიწყეს ევროპიელებმა ცისქვეშა იმპერიის განაწილება. აჯან-

ყებაშ თავი იჩინა მაშინვე პეკინშიც, საღაც გაძრაზებულმას
ხალხმა პირველადვე მოჰკლა გერმანიის ელჩი კეტელერი. ამ რი-
გად ევროპასთან ომი ჩინეთის ერთა დაიწყო იმ სახელმწიფოს
წარმოშადგენელის მოკვლით, რომელმაც სხვებს მისცა მაგალი-
თი ჩინეთის განაწილებისა და რომელმაც უცელაზე უწინ შე-
ბლილა აზიის იმპერიის დამოუკიდებლობა. । ხვა ელჩებს აჯან-
უებულებმა ილყა შემოარტყეს და რამდენჯერმე კიდევაც და-
ესხნენ თავს ამოულეტისათვის...

მთელი ევროპა შეანძრია აშ ამბებმა. საკვირველი ის
არის, რომ არავინ — არც ევროპაში, არც ჩინეთის ევრო-
პიელთა წრეებში — არ მოელოდა აჯანყებასა და ომს. რო-
გორ მოხდა, რომ ჩინეთის მთავრობა, ამაგრებდა პოზიციებს
და ამზადებდა ჯარებს, მოკრივენი კი აშკარად ქადაგებდნენ
ევროპიელების წინააღმდეგობას და ვერავინ ვერ შენიშვნა,
რაც ხდებოდა? ეს უცნაური გარემოება ჯერ საიდუმლოე-
ბით არის მოცული და გამოცანას ილბად შემდეგში გამოვიც-
ნობთ, როდესაც ცოტაოდნად მაინც დალაგდება საქმეები...
პეკინში ყველა ევროპიელების და ელჩების საერთო განსაკ-
დელში ჩავარდნამ შეაკავშირა ყველა სახელმწიფოები: რუსეთი,
ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ამერიკის შეერთე-
თებული შტატები, ავსტრ-უნგრეთი და იტალია — ყველა შე-
ერთდნენ ერთის მიზნისათვის, სახელდობრ — ელჩების ხსნისათ-
ვის; მაშინვე ჩინეთისაკენ გაიგზავნა დიდი საექსპედიციო შეერთე-
ბული კორპუსი და ხომალდები. აჯანყების დაწყებისთანავე ცხა-
დი შეიქნა, რომ მთავრობა თანაუგრძნობდა მოძრაობას, შემ-
დეგ კი პეკინში გაიმარჯვა იმ პარტიამ, მთავრობის წევრთა იმ
ნაწილმა, რომელიც მომხრე იყო ევროპასთან ომისა. იმ დღი-
დან ჩინეთის უმთავრესი ჯარები მიემზნენ მოკრივეთ და დაიწ-
ყო ომი, თუმცა უკანასკნელი არავის გამოუცხადებია ოფი-
ციალურად.

ომი დაიწყო ორ მხარედან: აღმოსავლეთიდან და ჩრდი-
ლოეთიდან. აღმოსავლეთიდან ჩინეთს შეესინენ შეერთებულ სა-
ხელმწიფოების რაზმები, ჩრდილოეთიდან კი მარტო რუსეთი.

აღმოსავლეთის ბრძოლის ველზე უფრო ჩქარა წავიდა საქმე: მოკავშირეთა ჯარმა აიღო ტაკუ, შემდეგ ტიანცხინი და ძლევა-მოსილი გაემართა პეკინისაკენ. მისი მამაცური მოძრაობის შე-ჩერება ჩინელებმა ვერ შესძლეს, თუმცა სასტიკი წინააღმდე-გობა გაუწიეს, უმთავრესად ტიანცხინის დაპყრობის დროს. გობა გაუწიეს, უმთავრესად ტიანცხინის დაპყრობის დროს.

რამდენმამე პირველმა შეტაკებამ ცხადად ჰყვეს, რომ ჩინეთი ვერ გაუმაგრდება ექროპის იერიშს, მიუხედავად იმისა, რომ საქმარისად არის მომზადებული საომრად. იაპონიასთან ომის შემდეგ სულ გავიდა ოთხი წელიწადი; ამ ომმა სრულიად გაანადგურა ჩინეთის ხმელეთისა და ზღვის მხედრობა, ასე რომ ჩინეთს ხელ ახლავ დასჭირდა შეიარაღება და ჯარების შედეგი. ნა. თუმცა ოთხი წელიწადი მეტად მცირე დროა ამისთვის, მაგრამ ჩინეთს კარგად უსარებლივა ამ დროთი და გაუჩინია 100 ათასამდე ეკროპიულად გაწრთვნილი ჯარი, შეუძენია დიდ ძალა თოფ-იარალი და საომარი მასალა, გაუმაგრებია საზღვრები და სხვა. მაგრამ ეს მზადებაც არ ყოფილა საკმარისი ეკროპასთან საბრძოლველად. რამდენიმე შეტაკებაც ცხადად გვიჩვენებს, რომ ეკროპასთან საბრძოლველად მარტო შეიარაღება და ციხეების აგება არაფერია. ამ ქამად სამხედრო უპირატესობა ჩინეთის მხარეზეა; მას უფრო მეტი ჯარი ჰყავს, ვიღრე მოკავშირეთა რაზმია; მისი ჯარი კარგად არის შეიარაღებული და გაწრთვნილი; არტილერია ჩინეთისა გაცილებით სჯობია მოკავშირეთა არტილერიას; ჯარებს აჯანყებული ხალხიც ეხმარება; ციხეებიც კარგად გამაგრებული აქვს და სხვა. მაგრამ არაფერმაც არ უშველა: ეპროპამ ერთ თვეში დასტა სამხედრო ძლიერება ხმელთა შუა

იმპერიისა. აქედან კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რამდენად მაღლა სდგას ევროპის კულტურა და განათლება აზიის კულტურა-განათლებაზე. სანამ ჩინეთი არ განათლდება ევროპიულად, არ განათლებას ძველს იმპერიას ევროპიულის წესებითა და არ შეიარაღდება მისი ცოდნა-განათლებით, მანამდის ყოველი ტურილია, ყოველი შეიარაღება ფუჭად ჩაიგდის. ხოლო, პირიქით, ევროპის განათლება მის ძველებურ კულტურის ნიადაგზე დიდ საწაულს გააჩინს, რაც მშვენიერად დაგვანახვა იაპონიის მაგალითშიც...

რაკი ყველა დარწმუნდა, რომ ჩინეთი დამარცხებული იქნება, თვით ომის მხელელობამ დაპარგა ინტერესი და ამ ემად ყველა ომის შედეგზე პირიქრობს და სჯის. ყველას აინტერესებს, მართლა და საყურადღებო საკითხი, რას იზამს გამარჯვების შემდეგ ეროვნა: გაინაწილებს ჩინეთს თუ არა? ამ საკითხზე პასუხის შეგება ჯერ ძნელია. ევროპის სახელმწიფოთა ოფიციალურ განცხადებათ თუ ვერწმუნეთ, სახელმწიფოებს მტკიცედ სურთ დაიცვან statu quo ante bellum. გერმანიის იმპერიატორის, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა, შეერთებულ შტატების მთავრობამ საქვეყნოდ აღიარეს, —ჩვენ ფიქრადაც არ გვაქვს შევეხოთ ჩინეთის დამოუკიდებლობასათ; რუსეთის მთავრობის განცხადებაც გარკეევით ამბობდა — რუსეთს მხოლოდ წესიერება ბის აღდგენა უნდა ჩინეთში და სხვა არაფერით; მაგრამ ზოგი ფაქტი იმასაც გვეუბნება, რომ თვით მთავრობათ არ იციან ჯერ, როგორ უნდა მოიქცნენ. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოთა შუა არსებულს ქიშპობასა და ერთმანეთის უნდობლობას. შესაძლებელია, ისინი ვერ მორიგდნენ იმ ზომების შესახებ, რომელნიც საჭირონი არიან ჩინეთის წინააღმდეგ, რათა აღარ განმეორდეს ამ გვარივე შემთხვევა. სახელმწიფოთა ერთსულოვნება და თანხმობა დღემდის იმიტომ იყო მტკიცე, რომ მათი ელჩები ერთნაირს განსაცდელში ჩავარდნენ, მტკიცე, როგორც კი იხსნიან ელჩებს განსაცდელისაგან, როგორც დასრულდება ომი და საქმე დიპლომატებზე მიღება, გორც კი დასრულდება ომი და საქმე დიპლომატებზე მიღება, მაშინ საეჭვოა ისეთივე თანხმობა დარჩეს მათ შორის, როგორიც დღეს არის. ევროპის სახელმწიფოებმა და მათთან იაპონიც დღეს არის. ევროპის სახელმწიფოებმა და მათთან იაპონიც დღეს არის.

ნიამაც დიდი ზარალი ნახეს და უეჭველია მოისურვებენ ამ ზა-
რალის დაფარვას; აი აქ გაჩნდება სახითათო საცილობელი სა-
ვანი, რადგანაც ზოგიერთი სახელმწიფო მოისურვებს, რომ ზა-
რალი ტერრიტორიის დამობით იქმნას ზღვეული, ზოგი კი
წინააღმდეგი იქნება ჩინეთისთვის ადგილის ჩამორთმევისა...

სახელმწიფოთა უთანხმოება და ქიშიობა დღემდისაც შვე-
ლოდა ჩინეთს და, მის იღბალზე, შეიძლება დღესაც უშველოს
მას. თუ სახელმწიფოები ეხლა ვერ მორიგდნენ ერთმანეთში და
ვერ გაინაწილეს ჩინეთი, მაშინ ჩინეთი სამჯდამოდ გადარჩება, —გა-
დარჩება მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა განათლე-
ბულ ქვეყნების ძალმომრეობასა და კლანებს. გადარჩებაო
ვაშბობთ იმიტომ, რომ ყოვლად შეუძლებელია ჩინეთმა არ ისა-
რგებლოს იმ საშინელის გაკვეთილით, რომელიც მის ევროპამ
მისცა დღეს. ამგეარივე გაკვეთილი ჩინეთს რამდენიმე წლის
წინედ იაპონიამაც მისცა. მაშინაც ცხადად დაინახა ჩინეთმა,
თუ რაშია იაპონიის უპირატესობა და ჩინეთის უძლურება.
ბევრი გამჭვიახი ჩინელი და მათ შორის იმპერატორი კუანგ-
სუც დარწმუნდნენ, რომ საჭიროა რეფორმების მოხდენა და
კიდევაც შეუდგნენ საქმეს, მაგრამ რეაქციონერებმა სძლიერ და
რეფორმების განხორციელება შეჩერებულ იქმნა. ჩინეთის ძველ-
მა ელემენტებმა კიდევ ერთხელ სცადეს, ძველის სისტემის და
ყოფა-ცხოვრების დაცვა. მათ ხელი არ ახლეს არაფერს, უკუ
აგდეს რეფორმები და ევროპიდან მხოლოდ თოფ-ზარბაზანი
წილებს. მაგრამ ახალია გაკვეთილმა ყოველივე იმედი უნდა
გაუქარწყოლოს რეაქციონერთ და უნდა დაანახვოს მათ, რომ სსნა
მხოლოდ ძირითად რეფორმების მოხდენაშია და არა კრუპპის
ზარბაზების შეძენაში. თუ ჩინეთი ამას მიხვდა და შეუდგა თავის
ცხოვრების გაუმჯობესობას, მაშინ მისი დამოუკიდებლობა
უზრუნველ-ყოფილია, როგორც უზრუნველყოფილია იაპონიის
თავისუფლება; თუ არა და ჩინეთის განაწილება აუცილებლად
მოხდება, ადრე იქნება თუ გვიან...

დადა